ქართველობის გადასარჩენად

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ილორი

www.ilori.ge

№ 86 (147) 28 სექტემბერი 2010 სახალხო მოძრაობა "საქართველოს" ორგანო 30 თეთრი

კვლავ ერთად, კვლავ ერთმანეთის იმედით...

2

ეს წიგნი 1908 წელს გამოიცა თავად პ.ი. თუმანიშვილის მიერ. აღსანიშნავია, რომ იგი იმდენად ობიექტურად ასახავს ქართველი ერის წარსულს, რომ კომუნისტებს დიდი ივანეს ეს ნაშრომი არც ცალკე წიგნად გამოუციათ და იგი არც 80-იან წლებში გამოცემულ ივანე ჯავახიშვილის 12-ტომეულში შეუტანიათ. ჩვენც შემთხვევით მივაგენით ამ წიგნს ერთ-ერთ ბიბლიოთეკაში და აუცილებლად მივიჩნიეთ მისი გამოქვეყნება, რადგან დიდი ქართველი მეცნიერისა და მამულიშვილის მიერ მეტად საინტერესო მოსაზრებებია მოყვანილი მეგრული, სვანური და ლაზური ფენომენის თაობაზე.

9

ივანე ჯავახიშვილი ქართველ ერის ისტორია

11

რუხის ციხე

(ჩანახატი)

გიო გოგეჩია, ზუგდიდი

გაზეთი "ილორი" უძღვება რუბრიკას "მსოფლიოს დიდი ფეხბურთელები"

12

რა ენაზე მეჯყველებდნენ იბერები?

6

კუკური ფიფია

ტურიზმი: გამდიდრება თუ გაღატაკება?

"ნაციონალების" მარწუხებში მოქცეულმა საქართველომ დაჰკარგა კავკასიაში განმანათლებელი და უმაღლესი კულტურის მქონე სამყაროს ისტორიული ფუნქცია და გადამთიელ ტურისტთა სათარეშო არენად იქცა. გლობალისტებმა და სხვა ჯურის ჟიდომასონებმა მიაღწიეს საწადელს – საქართველოს გამოაცალეს სულიერ-ზნეობრივი და მორალური ლიდერის ფუნქცია და იგი გაუნათლებელი და სოდომური ვნებით ანთებული უცხოელი ტურისტების დროის გატარების დაღდასმულ ზონად ჩამოაყალიბეს. ჩვენ დღეიდან იმ მოსამსახურე ერად ვიქეცით და ისეთ სამუშაოებს ვყაბულდებით, რომელსაც ქართველი უცხოტომელთა მონობაშიც კი არ ეგუებოდა. მაგრამ, მაშინ თუ ქართველი მონობიდან გაქცევით შველოდა თავს, დღევანდელ ქართველს, სამწუხაროდ, თანამედროვე მონობიდან გაქცევის უნარიც აღარ აქვს და მხოლოდ ღვთის იმედად დარჩენილი, სასოებით შეჰყურებს ხვალინდელ დღეს!

სწორედ საქართველოში უცხოთ თარეში გახლავთ იმის მიზეზი, რომ კვების პროდუქტები კატასტროფულად ძვირდება ბაზარზე და, საუბედუროდ, ეს გაძვირებული პროდუქციაც აღარ გამოაქვს გლეხს გასაყიდად, ვინაიდან მას ადრევე ურიგდებიან და პირდაპირ მისი სახლიდან ეზიდებიან სოფლის მეურნეობის პროდუქტს უცხოელი მუშტრები თუ იმ სასტუმროთა ქართველი მფლობელები, რომლებიც მუდამ მზად უნდა იყვნენ სარფიანი სტუმრების მისაღებად. აი, სადამდე მიგვიყვანა საქართველოში ტურიზმის გაუაზრებლად განვითარებამ – პერმანენტულად ძვირდება კვების პროდუქტები, ქვეითდება ადგილობრივი მოსახლეობის ყიდვისუნარიანობა, პენსიები და შემწეობები კი ძველ ნიშნულზეა გაყინული და არავინ ფიქრობს მათ მომატებაზე. მთელი საქართველო რომ ერთ დიდ ტურისტულ ბაზად იქცეს (რაც ჩაფიქრებული აქვს კიდეც საქართველოს ხელისუფლებას), გარკვეული მიზეზების გამო მოსახლეობის დიდი ნაწილი მაინც ვერ მოახერხებს ამ ბიზნესში მონაწილეობას. განა ჭეშმარიტება არ არის: დღევანდელი საქართველოს სოფლის მეურნეობა (**"საზიზღარი"** სოციალისტურისაგან განსხვავებით) იმასაც ვერ ახერხებს, რომ საკუთარი თავი გამოკვებოს და სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამოყენების კუთხით, ძირითადად, სომხეთზე, აზერბაიჯანზე, თურქეთსა და ირანზე ვართ მიბმული. ამდენად, საქართველოში ფასებს სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე არეგულირებს არა ჩვენი შიდა ბაზარი, არამედ საზღვარგარეთის ქვეყნებში არსებული საბაზრო ბალანსი (უფრო მეტად კი – დისბალანსი!). როგორ ფიქრობთ, ადგილობრივთა მოთხოვნას ჩამოსული დამსვენებლების მოთხოვნაც რომ დაემატება, საჭმელ-სასმელი კიდევ უფრო მეტად არ გაძვირდება?

ტურიზმის ინდუსტრიის დასახვედრად ხომ აუცილებელი იყო, რომ საქართველოში განვითარებულიყო სოფლის მეურნების პროდუქციის წარმოება?! ჩვენთან კი ყველაფერი გაკეთდა იმისათვის, რომ სოფლის მეურნეობა გაჩანაგებულიყო: კახელ გლეხებს ვენახი გააკაფინეს, მეგრელ და გურულ მეჩაიეებს, რომელიც ერთ დროს მთელი საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური ბანაკის ქვეყნების მოთხოვნას აკმაყოფილებდნენ ამ პროდუქციით, ერთ დროს წალკოტად ქცეული ჩაის პლანტაციები გაუვალ ბუჩქნარად უქციეს... აღარ მოგვყავს ბოსტნეული, სათანადო ბაზის უქონლობის გამო ძნელდება გემრიელი ქართული ხილისა და ბახჩეული კულტურების მოყვანა...

მოუვლელობის გამო უდაბნოდაა ქცეული დედოფლისწყაროს რაიონის ერთ დროს უხვმოსავლიანი მიწები...

რომელი ერთი ჩამოვთვალოთ!

ნუთუ ვინმეს ჰგონია, რომ რაც უფრო მეტი საწოლი ადგილები გვექნება ტურისტების მისაღებად, მით უფრო გაუმჯობესდება ჩვენი ყოფა. როგორ გგონიათ, დასასვენებლად ჩამოსულ ტურისტს საწოლის მეტი არაფერი სჭირდება? ამაზე ხომ ადრევე უნდა ეზრუნა ჩვენს ხელისუფლებას, რათა შესაბამისი მატერიალური ბაზა შექმნილიყო ასიათასობით სტუმრის მისაღებად.

გაიარეთ მარნეულის ან კაბალის ბაზრობაზე, რომელიც წლის ყოველ დროს გადავსებული იყო ხოლმე სოფლის მეურნეობნის პროდუქციით. ახლა შემოდგომაა, მოსავლის აღების პერიოდი, ამ ცნობილ ბაზრობებზე კი მხოლოდ ანწლის კენკრას (კუჭის აშლის უებარი წამალია!) და უმწიფარ ქლიავს თუ შეიძენ, იმასაც საკმაოდ ძვირად...

"მაძღარს მშიერიც მაძღარი ეგონაო" – ასე ჰგონია ჩვენს ხელისუფლებას. იმით არიან გახარებულები, რომ დამსვენებელ უცხოელებს ბათუმში პროდუქტებზე და მომსახურეობაზე სიიაფე აკვირვებდათო. რა თქმა უნდა, იმ ქვეყნის მოქალაქეს, სადაც ხალხი დასაქმებულია, პენსია რამდენიმე ათას დოლარს შეადგენს, ხოლო კომუნალური ხარჯი მისი შემოსავლის 7 პროცენტს არ აღემატება, შეუძლია ჩათვალოს, რომ ბათუმის ბაზარი იაფია. მაგრამ ჩვენს მოქალაქეს თავიანთი 100-ლარიანი პენსიით (ახალგაზრდა, ჯანიან უმუშევრებზე არას ვამბობ, რომელიც შემთხვევიდან შემთხვევამდე თუ იშოვნიან პურის ფულს), საიდანაც ნახევარზე მეტი კომუნალური ხარჯების დასაფარავად მისდის, არა მგონია ისეთივე სიხარულის განცდა გაუჩნდეს რომელიმე ქალაქის ბაზარში შესვლაზე, როგორც ამას აღტაცებული უცხოელები გადმოგვცემენ.

ქვეყანა მხოლოდ საკუთარი ეკონომიკის განვითარებით შეიძლება გამდიდრდეს, თორემ, ირანში ათ ლარად ნაყიდ ნიორს აზერბაიჯანელს ან სომეხს თხუთმეტ ლარად რომ შეაჭმევ, ეს ელემენტარული სპეკულაციაა და ამით აშენებულ-დამშვენებული ქვეყანა ჯერ არავის უნახავს!

ასე რომ, გაუაზრებლად დავეტაკეთ ტურიზმს და არავინ იცის, ხვალ საიდან შემოგვიტევს შიმშილი. ეს რომ პირველი გაუაზრებელი ქმედება იყოს ჩვენი ხელისუფლების მხრიდან, ასე მწარედ არ შევიცხადებდით, მაგრამ სხვა სახელისუფლებო რეფორმებმა და ინიციატივებმა რა ხეირი მოგვიტანეს, რომ ასე უაზროდ და ბრმად შემოჩეჩებულმა ტურიზმმა აგვაშენოს!

ასე რომ, ქართველებო, კიდევ ერთხელ შემოიჭირეთ ქამრები, წელში გაწყვეტამდე!..

"ილორის" რედაქცია

კვლავ ერთად, კვლავ ერთმანეთის იმედით...

გაზეთ "ილორის" მკითხველებს ვთავაზობთ ნაწყვეტებს 2008 წელს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს და გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრის მიერ ერთობლივად გამოცემულ, პროფესიით ექიმის პაატა ქურდოვანიძის მიერ ქართულ-აფხაზურ ენებზე შესრულებულ ილუსტრირებულ "ქართულ-აფხაზური ალბომი"-დან, რომელშიც XIX საუკუნის დასაწყისში ქართველებისა და აფხაზების ურთიერთობაა აღწერილი. წერილს თან ერთვის უნიკალური ფოტომასალა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ქართულ-აფხაზური ურთიერთობების ეს პერიოდი ორივე ხალხისათვის დიდი კულტურულ-ისტორიული ეპოქის მეტად მნიშვნელოვანი მონაკვეთი იყო.

მივიწყებული სახელები

როგორც აღვნიშნეთ, გრიშა დადიანი არ მიელტვოდა უმაღლეს ოფიციალურ წრეებთან ახლო ურთიერთობას, მაგრამ ერთხელ მასაც მოუწია კომპრომისზე წასვლა. პეტერბურგიდან ჩამოსულმა უმცროსმა ძმამ, უჩამ იმპერატორ ნიკოლოზ II-ის სურვილი ამცნო: გრიშა ბატონიშვილს ზუგდიდის მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლობა უნდა ეთავა. იგი ამ წინადადებას დათანხმდა. მაღალი ზნეობისა და დირსებათა გამო, გრიშა დადიანს საზოგადოება ემადლიერებოდა. ხორშის სასახლე იმდროინდელი სამეგრელოს ერთგვარ კულტურულ ცენტრადაც იქცა: სამშობლოს ისტორიაზე მსჯელობა, პოლიტიკური საკითხების განხილვა, შაირმთქმელობა, ექსპრომტი...

აფხაზი საზოგადო მოღვაწის, სამურზაყანოელი თავადის პეტრე ანჩაბაძის კუთვნილ საოჯახო ალბომში, თავმოყრილი იყო სწორედ ასეთი შეხვედრებისას დაწერილი თუ ზეპირად წარმოთქმული ქართველი და აფხაზი მეგობრების პოეტური გაპაექრებები. მათ შორის იყო გრიშა დადიანის ლექსიც.

გრიშას მრავალშვილიანი და ხელმოკლე ოჯახი სტუმრიანობით გამოირჩეოდა. აფხაზი მოყვრები აქ იშვიათნი ნამდვილად არ იყვნენ. როგორც წესი, უამრავი ძიძიშვილი, ნათლული და გაზრდილი ცხოვრობდა. ქცევისა და ზრდილობის ძველებური წესების დაცვა სავალდებულოდ მიიჩნეოდა.

ყველა პირობა იყო იმისათვის, რომ გრიგოლ დადიანის ტრადიციულად აღზრდილი, სათანადო განათლებამიღებული შვილები ქვეყნის სამსახურში ჩამდგარიყვნენ, მაგრამ გასაბჭოების შემდეგ ბედისწერამ ყველაფერი სხვაგვარად განსაზღვრა...

ტრაგიკული იყო ამ ოჯახის თითოეული წევრის ცხოვრება. კონსტანტინე გამსახურდიამ რომანში **"მთვარის მოტაცება"** განსაცვიფრებელი სიმძაფრით და სიმართლით აგვიწერა იმ ეპოქის საქართველოში აღზევებული ავზნეობა და უკეთურობა, სიკეთისა და ბოროტების მარადიული ბრძოლა. ისე მესახება, თითქოს გრიშა დადიანის შვილები თარაშ ემუხვარისა და თამარ შარვაშიძის პროტოტიპებია... გრიშასა და მისი მეუღლის ციცუ დადიანის ოჯახის ისტორია ტრაგიზმით იყო სავსე. 1913 წელს, ჯერ კიდევ ახალგაზრდა გრიშა დადიანი გარდაიცვალა. ტრადიციული გლოვის შემდგომ, მისმა მეუღლემ ოჯახი უფროს რძალს, მემე ჯაიანს გადააბარა და თეკლათის დედათა მონასტერში მონაზვნად აღიკვეცა.

პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე ვაჟები სამხედრო სამსახურში გაიწვიეს. შემდეგ იყო რუსეთის ორი რევოლუცია და სამოქალაქო ომის სისხლიანი ბატალიები. აღფრთოვანებული შეეგებნენ დადიანები თებერვლის დემოკრატიულ რევოლუციას. უფროსი ძმები ომიდან შინ დაბრუნდნენ. თითოეული მათგანი მომავალს იმედით შეჰყურებდა.

1921 წლის თებერვალი... სიზმარივით გაქრა საქართველოს დამოუკიდებლობა... ემიგრაციაში გაემგზავრა გრიშას უფროსი ძმა, უჩა დადიანი. მან თან წაიყვანა ყველაზე უმცროსი ძმისშვილი – დავითი (ქუქურია). საქართველო დატოვეს გრიშას უფროსმა ქალიშვილებმა – ნინომ (ჩაქურია) და მარიამმა (ჟოჟო). მალე მთელი ოჯახის ემიგრირების საკითხიც დადგა, მაგრამ უცხოეთში წასვლაზე კატეგორიული უარი განაცხადა გრიშას დედამ, საუკუნეს მიღწეულმა, აწ უკვე თეკლათის დედათა მონასტრის იღუმენია ელეონორამ. უმძიმესი შეიქმნა ბოლო ნაბიჯის გადადგმა, უცხოეთში გადახვეწას დადიანებმა შინ დარჩენა ამჯობინეს. ბათუმის პორტიდან უკან დაბრუნდნენ.

ხორშში დარჩა გრიგოლ დადიანის ვაჟი კოკი და მისი ოჯახი. მოთმინებით გადაჰქონდათ ცხოვრებისეული სიდუხჭირე, ქრისტიანულ სულიერებაზე და ძირძველ ტრადიციებზე აღზრდილნი მშვიდად უყურებდნენ ახალი ხელისუფლების ამბიციურ მმართველებს.

ქართველი ბოლშევიკები, მოიმაგრეს თუ არა ფეხი, საშინლად გაუსწორდნენ მათთვის მიუღებელ ადამიანებს. გრიშა დადიანის ათი შვილისა და საერთოდ დადიანების საგვარეულოს წარმომადგენელთა ტრაგიკული ბედის გაცნობა, საკმარისია ამაში დასარწმუნებლად. თუმცა ისინი გამონაკლისნი არ იყვნენ. იგივე ხვედრი გაიზიარა ასი ათასობით ქართველმა.

დადგა 1924 წელი... აჯანყებულთა რიგებში ჩადგნენ ძმები: გელა, ლევან (ჯონჯი) და კონსტანტინე (ჯუგუ) დადიანები. გაუბზარავი ძმობის ფიცით შეკრულნი იმ გზის გასაყარზე აღმოჩნდნენ, რომლის ერთ მხარეს ცხოვრების სანთლის უსახური და ნელი ქრობა, ხოლო მეორე მხარეს კი ამაღლებული ვნებათა ღელვა და სამშობლოს ხსნის მცირე იმედი ისახებოდა. თუ რა სისხლისღვრა გაიმართა შემდეგ საქართველოში ყველასათვის ცნობილია.

გრიშას ვაჟი კოკი, ამბოხებისადმი ლოიალურად იყო განწყობილი და მრავალშვილიან ოჯახს დასტრიალებდა, აჯანყებაში არ მონაწილეობდა, მაგრამ ბედისწერას ვერსად გაექცა. ხელისუფლებამ მისი უმცროსი ძმები ხელთ რომ ვერ მოიგდო, მასზე იყარა ჯავრი. კოკი დააპატიმრეს და ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე ადგილზე დახვრიტეს. შეძრწუნებულ მეზობლებს იმის ნებაც არ დართეს, რომ იგი ქრისტიანული წესით დაესაფლავებინათ. კოკისთან თანაშეზრდილ სიყრმის მეგობრებს დამით, მალულად, ცხედარი მოუპარავთ და მამისეულ საძვალეში დაუკრძალავთ.

1924 წელს დაიჭირეს ძმები – გელა და ჯუგუ, სიძეები გაგი ძაძავა და კონსტანტინე შარვაშიძე, ნათესავ-მოყვრები. დახვრიტეს ბიძები – მუშნი და ოთარ დადიანები, ყველას ვერ ჩამოთვლი... ხელისუფლება სასტიკი მეთვალყურეობის ქვეშ ამყოფებდა ქალებსაც, გამზრდელებში შეფარებულ ბავშვებს სწავლის უფლებაც არ ჰქონდათ.

ვინც 1924 წლის სისხლიან ამბებს შემთხვევით გადაურჩა, შემდგომში, 1937 წლის ტრაგიკული მოვლენების მსხვერპლი გახდა...

გრიშა დადიანის ერთ-ერთი ქალიშვილი ქეთევანი (მიცი) სვანეთის მთავრის მურზაყან დადეშქელიანის უფროსი ვაჟის, კონსტანტინეს რძალი გახლდათ.

კონსტანტინე დადეშქელიანსა და მის მეუღლეს, დატალი ანჩაბაძეს შვილი არ გასჩენიათ. ერთ დღეს, კონსტანტინესა და მის ცოლისძმას პეტრე ანჩაბაძეს ახლობლებში, ოხურელი ალექსანდრე (შერემ-ბეი) შარვაშიძის მრავალშვილიან ოჯახში უქეიფიათ. გაჭირვეულებულა მასპინძლის უმრწმესი ვაჟი და ტირილით აუკლია სახლი. შექეიფიანებულმა სვანმა სტუმარმა დანანებით ჩაილაპარაკა თურმე: **"რა იქნებოდა უფალს ჩემთვისაც ერთი ვაჟიშვილი ეჩუქებინაო!"** წამსვე წამოიმართა შერემ-ბეი შარვაშიძე და დევკაც სტუმარს თავისი ნაბოლარა აკვნიანად ჩაუსვა კალთაში. აღფრთოვანებულმა და უსაზღვროდ ბედნიერმა დადეშქელიანმა გათენებას არ დაუცადა და იმ ღამესვე აახმიანა ბავშვის ტირილით ორსანტიის სასახლე.

კონსტ. დადეშქელიანი და პეტრე ანჩაბაძე აფხაზ მეგობრებთან

პატარა კონსტანტინე ღირსეულ პიროვნებად გაზარდეს. შერემ-ბეის კი ის პატივი მიაგეს, რომ დადეშქელიანების ოჯახში გაზრდილი ვაჟი შარვაშიძის გვარის მატარებელი დარჩა.

პირველი მსოფლიო ომის ფრონტებზე, იგი **"ველურ დივიზიაში"**, გვერდიგვერდ იბრძოდა მომავალ ცოლისძმებთან – ლევანთან და კონსტანტინესთან. იმავე დივიზიის ერთ-ერთ ასეულს ქეთევანის ბიძა, უჩა დადიანი მეთაურობდა. სწორედ მან შეურჩია ძმისშვილს საქმროდ ორგზის გიორგის ჯვრის კავალერი და ბრწყინვალე ოფიცერი – კონსტანტინე ალექსანდრეს ძე შარვაშიძე.

საოცრად ლამაზი წყვილი პირველი ნახვისთანავე შეიყვარებს ერთმანეთს. შემდგომ ქორწილი, წლის თავზე ვაჟიანობა და ორსანტიის სასახლის მრავალრიცხოვანი სტუმრების ლაღი ქეიფი.

მრავალი ფაქტის გახსენება შეიძლება აფხაზთა და ქართველთა ურთიერთობის ისტორიიდან: ძიძიშვილობა-მორდუობა, ფიცვერცხლნაჭამობასა და ნათესაობა-მოყვრობის ინსტიტუტების მრავალსაუკუნოვანი ტრადიციებისადმი უსაზღვრო ერთგულება. ასეთი ძმობისა და მეგობრობის გამღვივებელი ერთ-ერთი კერა იყო ეს ოჯახიც.

რევოლუციის შემდგომ კი... აირია ყველაფერი, წუთისოფლისაგან განაწამები, 26 წლის ასაკში აღესრულა ქეთევანი, რომელიც თეკლათის მონასტრის მიწას მიაბარეს. ათიოდე წლის შემდეგ, 1937 წელს, სიღნაღში გადახვეწილმა კონსტანტინემ თვითმკვლელობით დაამთავრა სიცოცხლე და სიკვდილის წინ ასეთი ბარათი დატოვა: **"ძალა აღარ მყოფნის ამდენ სისაძაგლეს ვუყურო, სიცოცხლე აღარ ღირს!"** იავარიქმნა ორსანტიის სამოსახლო...

არანაკლებ მძიმე იყო გრიშა დადიანის უმცროსი ასულის – თამარის (ძაღუ) ცხოვრებაც. მისი შვილი კიკი ძიძავა იგონებს: **"დედა იყო ამაღლებული პიროვნება, წიგნიერი, მეტად სასიამოვნო მოსასმენი. სწავლობდა ქუთაისის წმინდა ნინოს კეთილშობილ ქალთა პანსიონში. იყო თავდაუზოგავი გონებრივსა თუ ფიზიკურ შრომაში, მეგობრებისა და ნათესავების გაჭირვებაში ტალ-კვესი. ნეტარება იყო მისი სიმღერის მოსმენა, გულის წამღები – მისი მეგრული მოთქმა.**

მამა – გაგი ხარიტონის ძე ძიძავა ახალგაზრდობიდანვე სოციალ-დემოკრატიული იდეებით იყო გატაცებული. მას უამრავი მეგობარი ჰყავდა, მათ შორის აფხაზებიც, რომლებიც აფხაზური ფოლკლორის შემსწავლელ ექსპედიციაში მონაწილეობისას გაიცნო. მისი იშვიათი ხმითა და მუსიკალური სმენით ბევრი იყო მოხიბლული. ერთხელ საშა გეგეჭკორს მამა ბერიასთან წაუყვანია. ბერიას მისთვის ემიგრაციაში მყოფი მეგობრების საგინებელ ტექსტზე ხელის მოწერა მოუთხოვია. მამას უხმოდ დაუბრუნებია. იმ დღიდან დაიწყო მისი უბედურება. ირკუტსკი, ულიანოვსკი, ვოლგისპირეთი, კოკანდი, ვინ უწყის სად არ იყო გადასახლებული. დედა მამას მუდამ თან ახლდა. იმ წლების გაუთავებელი ტანჯვა-წამება მე და ჩემმა დებმა სრულად გავიზიარეთ. იგი ბოლო გადასახლებიდან 1938 წელს დაბრუნდა და მაშინვე დააპატიმრეს. იმავე თვეში დახვრიტეს..."

გრიშა დადიანის უფროს ვაჟს გელას, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი აგული დადიანი თავის გამოუქვეყნებელ მოგონებების წიგნში ასე ახასიათებს: **"გელა ბიძია მთელი ოჯახის კერპი იყო და ასეთად დარჩა. ძმებში უფროსის მდგომარეობით სარგებლობდა. მაღალი იყო, გოლიათური აგებულების. ბავშვური გული ჰქონდა. კარგი გემრიელი მოყოლა იცოდა ამბებისა, და იმდენ იუმორს, სიცილსა და უშუალობას ჩააქსოვდა მონაყოლში, რომ ვეღარ მოშორდებოდა მსმენელი".**

თებერვლის რევოლუციის შემდეგ, გელა დადიანი ფრონტიდან სამშობლოში დაბრუნდა, ხიბულაში დასახლდა. დაოჯახდა, ხუთი შვილი ეყოლა. განათლებული კაცი იყო. ხელოსნობასაც არ თაკილობდა, რასაც კი ხელს მოჰკიდებდა, ყველაფერი გამოსდიოდა. ხიბულაში პირველმა მან ჩამოიტანა ინგლისური გუთანი, სახნისი და კულტივატორი. მეზობლებთან ერთად მიწა დაამუშავა და ჩაის პლანტაცია გააშენა. წერა-კითხვის ასე მცოდნენი მაშინ იშვიათად იყვნენ, მით უმეტეს რუსულის და ამის გამო სოფელი დიდად აფასებდა. 1920-იან წლებში სკოლის აშენება ანდეს. ააშენა კიდეც. მეუღლე ადრე გარდაეცვალა, უკურნებელმა სენმა ორი ბავშვი შეიწირა, არ გამტყდარა, შრომაში ატარებდა დღეებს...

1937 წელს გაუხსენეს, რომ 1924 წლის გამოსვლებში მიიღო მონაწილეობა და დააპატიმრეს. ობლად დარჩნენ პატარები...

გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ალექსანდრე (შირინ-ბეი) შარვაშიძე და კონსტანტინე დადეშქელიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოლხეთი — ჩვენი სამყაროს კარიბჭე

(გთავაზობთ ნაწყვეტს აკადემიკოს კლიმენტი შელიას წიგნიდან)

საქართველოს უშიშროების მინისტრად დანიშვნამდე ა. კოჭლავაშვილი მუშაობდა სინოპში – სოხუმის სამეცნიერო-კვლევითი (ფიზიკო-ტექნიკური) ინსტიტუტის დირექტორად, ინსტიტუტი ატომური ენერგეტიკის საკითხებზე მუშაობდა. მე ინსტიტუტის დამთავრებისთანავე (1947 წლის ივნისი) ერთი წელი ვმუშაობდი სოხუმის პარტიის საქალაქო კომიტეტში ლექტორთა ჯგუფის ხელმძღვანელად და მიკვირდა, რომ გენერალ-მაიორი ალექსანდრე კოჭლავაშვილი თითქმის ყოველდღე, დღის მეორე ნახევარში დადიოდა პარტკაბინეტის ბიბლიოთეკაში, წიგნებში იყო თავჩარგული და ყველა ჩემს ლექციას ესწრებოდა, თუმცა, არც ერთ შეკითხვას არ მისვამდა.

გენერალ-პროფესორ ალექსანდრე კოჭლავაშვილზე ასე ბევრი იმიტომ ვილაპარაკე, რომ წარმოდგენილი მაქვს ამ უნიჭიერესმა, ზეამაღლებულმა პიროვნებამ რა დეტალურად გამოიკვლია ე.წ. **"მეგრელთა საქმე"** და რა დიდი გავლენა მოუხდენია ი. სტალინზე, რომელმაც შეხედულება კი შეიცვალა, მაგრამ შესაფერისი ზომების მიღება ვერ მოასწრო. ცხადია, გონებიდან არასოდეს ამოიშლება ამ ნათელი კაცის კეთილშობილი სახე.

ცხადია, იოსებ სტალინი არავის აპატიებდა მოტყუებას, შეცდომაში შეყვანას (დამნაშავეებს თავი უნდა გადაერჩინათ, ჩანს, ისინი ყველაფერზე, ყოველგვარ დანაშაულზე წავიდნენ)...

...ომის შემდეგ ქვეყანა თითქმის არ ვითარდებოდა. აუცილებლად იყო საჭირო რადიკალური გარდაქმნა, რადიკალური ცვლილებები. სტალინმა დაიწყო რეფორმები, მაგრამ არ აცალეს, სწორედ ამიტომ მოკლეს. უკვე 1947 წელს, 14 დეკემბერს საბჭოთა კავშირში გაუქმდა საბარათო სისტემა, ხუთი წლის განმავლობაში, ყოველი წლის ადრე გაზაფხულზე, საქონელზე ფასები მცირდებოდა, ზოგიერთ პროდუქტზე სიმბოლური ფასი იყო, ძალიან დაბალი იყო კომუნალური გადასახადები. ინგლისში საბარათო სისტემა წლების შემდეგ გაუქმდა. თ. მირიანაშვილი აღნიშნავს, რომ **"სტალინს უნდოდა არა მემკვიდრის დატოვება, ანუ ახალი ბელადის მოვლინება ხალხისათვის, არამედ ქვეყნის დემოკრატიზება, მერე ხალხი თვითონ აირჩევდა ღირსეულ ლიდერს, თუმცა, მემკვიდრე სჭირდებოდა"**, ვისაც დაეყრდნობოდა მომავალი რეფორმების პროცესში. ცნობილი იყო აზრი, რომ მემკვიდრედ ჟდანოვი უნდოდა, მაგრამ ის 1948 წელს გარ-დაიცვალა 54 წლის ასაკში, ასევე გარდაიცვალა სტალინის უახლოესი ადამიანი შჩერბაკოვი, რომელიც ცკ-ის, მოსკოვის საქალაქო და საოლქო კომიტეტების მდივნად დაინიშნა, მერე, თურმე, მემკვიდრედ ბერია მიაჩნდა.

აღსანიშნავია პარტიის XIX ყრილობის (1952 წელი) და ყრილობის შემდეგ ჩატარებული პლენუმის შედეგები, რომელმაც შოკში ჩააგდო **"პატარა ბელადები"** – ცხადი გახდა, მათ განუყოფელ ხელისუფლებას, მათ ბელადობას წყალი შეუდგა. ყრილობაზე სტალინმა ხუთწუთიანი სიტყვა თქვა, მაგრამ პლენუმზე, რომელიც ორი საათი გაგრძელდა – საათნახევარი ილაპარაკა. მანამდე პოლიტბიუროში იყო 10 წევრი და 5 კანდიდატი, ახლა კი პოლიტბიუროს ნაცვლად სტალინმა შექმნა პრეზიდიუმი უკვე 25 წევრით და 11 კანდიდატით. უკანასკნელ წლებში პოლიტბიუროს შემადგენლობაში ცვლილებები არ მომხდარა და, ალბათ თავი ეგონათ მუდმივ ბელადებად (დარგობრივ ბელადებად მაინც), თავი მუდმივად გარანტირებული ჰქონდათ, მაგრამ უკვე 36-კაციანი ბელადობა არ გამოდიოდა, შეუძლებელი იყო.

ასევე, ადრე ცენტრალურ კომიტეტს ჰყავდა ხუთი მდივანი – ზოგი პოლიტბიუროს წევრი იყო, ზოგი – კანდიდატი, ზოგი კი – მხოლოდ რიგითი მდივანი, – ამ დროიდან 10 მდივანი, ისე რომ გაუქმდა ცეკას სამდივნო და ყველა ათივე მდივანი შედიოდა პრეზიდიუმის შემადგენლობაში. გაუქმდა ცეკას მთავარი ორგანო – საორგანიზაციო განყოფილება, გაუქმდა საკავშირო პარტიული კონფერენციის მოწვევა. სტალინმა განაცხადა, რომ ცეკას პრეზიდიუმი უნდა ახორციელებდეს წმინდა პარტიულ სამუშაოს და არაფერი უთქვამს პრეზიდიუმის პოლიტიკურ ხელმძღვანელობაზე.

ყოველივე აქედან, გარკვევით ჩანს, რომ სტალინი დიდ რეფორმას, უთუოდ დიდ დემოკრატიულ რეფორმას იწყებდა, ყველანაირად ამცირებდა პარტიის როლს. ამას ისიც უნდა ადასტურებდეს, რომ ბოლოს, სტალინმა პლენუმს სთხოვა გაენთავისუფლებინა ის ცკ-ს მდივნის თანამდებობიდან, მაგრამ არ მიდიოდა მინისტრთა საბჭოდან – მთავრობის თავმჯდომარის პოსტიდან. ამ შემთხვევაში რა ავტორიტეტი ექნებოდა პარტიას სტალინის გარეშე. პლენუმმა სტალინს ცეკადან წასვლაზე უარი უთხრა. ასეთ შემთხვევაში სტალინმა გააუქმა გენერალური მდივნის მთავარი თანამდებობა, რომელსაც სამი ათეული წელი ასრულებდა და ათი მდივნიდან დარჩა ერთ-ერთ მდივნად. აქედან ყველაფერი ნათელია. უთუოდ მართალი უნდა იყოს თ. მირიანაშვილი, როცა ამბობს: **"სტალინი, ჩემის ღრმა რწმენით, ქვეყნის დემოკრატიზებაზე ფიქრობდა! სხვაგვარად მისი მოქმედების ახსნა შეუძლებელია!"**

ის ფაქტიც მნიშვნელოვანია, რომ პრეზიდიუმის ახალი წევრებიდან თითქმის ყველა არ იყო პარტიული, არამედ საბჭოთა, სახელმწიფო მოხელე. ხრუშჩოვი იგონებდა: სტალინის მოხსენებამ პლენუმზე პოლიტბიუროს ძველი წევრები გაგვაოგნაო. ისინი, მალე, აღსასრულს ელოდნენ. სტალინის სიკვდილის შემდეგ ენვერ ხოჯა (ალბანეთი), რომელსაც უკვე გამწვავებული ურთიერთობა ჰქონდა ხრუშჩოვთან, მიუთითებდა, რომ მისთვის ანასტას მიქოიანს – **"ყველა დროისა და ხალხის ქამელეონს"** (თ. მირიანაშვილი) – უთქვამს: მე და ხრუშჩოვს სტალინის მოკვლა გვინდოდაო.

პლენუმის შემდეგ პატარა ბელადები მიხვდნენ ყველაფერს, რაც მთავარია, მიხვდნენ, რომ პარტიულ ტოტალიტარიზმს ბოლო ეღებოდა, ანუ ბოლო ეღებოდა მათ – ბელადუკებს. და რომ ეს **"უბედურობა"** არ დატყდომოდათ თავს, თვითონ უნდა მოედოთ ბოლო იმისათვის, ვინც ეს ყველაფერი ჩაიფიქრა. სტალინმა პლენუმზე მოულოდნელად მკაცრად გააკრიტიკა პოლიტბიუროს ყველაზე ძველი წევრები: მოლოტოვი, ვოროშილოვი, მიქოიანი – ამით, ფაქტობრივად პარტია გააკრიტიკა. სტალინმა ისიც თქვა, რომ საერთო ენის გამონახვა შეგვიძლია ამერიკასთანო. ხოლო სიკვდილამდე ერთი წლით ადრე გამოსცა გასაკვირი ნაშრომი **"სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში"**, რომელშიც აღნიშნა, რომ მცირე და საშუალო საწარმოების ექსპროპრიაცია დაუშვებელია, რომ ისინი კაპიტალიზმის რესტავრაციის საფრთხეს არ ქმნიან, რომ დირებულების კანონი და სასაქონლო წარმოება არ არის მხოლოდ კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელი და სხვა მისთანები. სტალინი იმასაც წერდა, რომ კაპიტალიზმმა მიაღწია ცხოვრების დონის ამაღლებას და ჩვენთვისაც ეს უმთავრესი ამოცანააო. ერთი სიტყვით, იოსებ სტალინს მართლაც გრანდიოზული რეფორმა ჰქონდა ჩაფიქრებული.

სტალინმა, სამწუხაროდ, დაიწყო რეფორმა ისე, რომ არავითარი საკადრო ცვლილება არ განუხორციელებია. გაუგებარია, რატომ არ იფიქრა, რა რეაქცია მოჰყვებოდა მის რეფორმებს **"ბელადობას"** შეჩვეულ პოლიტბიუროს წევრებში. კიდევ მეტი, ყველაფერი ეს თქვა პლენუმზე და არა ყრილობაზე. პლენუმის მასალებს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა არ იცნობდა და ამიტომ შესაფერისი მხარდაჭერაც არ ჰქონდა. ყველაფერი, რასაც აკეთებდა, ხმამაღლა, საჯაროდ უნდა ეთქვა ხალხისათვის, აი, მაშინ ის გაიმარჯვებდა. ყველაფერი ყრილობაზე უნდა ეთქვა. ეს არ გაკეთდა. ამან ხელი გაუხსნა სტალინის მოწინააღმდეგეებს.

სხვა მრავალ საკითხთან ერთად **თ. მირიანაშვილი** აყენებს ასეთ კითხვას: ვისი ბრალია 1937 წლის ამბები? და თვითონვე პასუხობს: ვისი და მათი, ვინც ამ ამბების მთავარ მსხვერპლად ითვლება! ამის დასამტკიცებლად მრავალი დოკუმენტური მასალა მოჰყავს. ჩვენ აქ მხოლოდ ორიოდ მაგალითს მოვიყვანთ. თ. მირიანაშვილი წერს: **"დიახ, მსხვერპლთა ბრალი იყო და არა სტალინის სისტემის. მთავარ მსხვერპლებს ვგულისხმობ – ტროცკის, ზინოვიევს, კამენევს, ბუხარინს, რიკოვს, ტომსკის, ტუხაჩევსკის, ქართველიშვილს... ამის დამტკიცება იოლზე იოლია... რეპრესიების გარდა სხვა არავითარი გამოსავალი არ ჰქონდათ სტალინს და მის მომხრეებს. ცინიკურად ჟღერს, მაგრამ ასეა! სტალინმა ყველაფერი სცადა. მოწინააღმდეგეებმა არ დაუტოვეს სხვა გზა. ან სტალინს უნდა მოესპო ისინი, ან ისინი მოსპობდნენ სტალინსაც, მის მომხრეებსაც, მათ საქმესაც. სტალინი კი ყოველნაირად ცდილობდა თავი აერიდებინა სისხლისღვრისათვის. რამდენ ხანს იცავდა ტროცკის! ტროცკი ცდებოდა, მაგრამ თავისას არ იშლიდა, გააფთრებით იბრძოდა ყაზარმული სოციალიზმის დასამკვიდრებლად. რა უნდა ექნა სტალინს? სტალინმა ტროცკის შესთავაზა კონფლიქტის საჯაროდ განხილვა. ჯერ ცეკას პლენუმზე გაიტანა საკითხი, შემდეგ ყრილობაზე. ორივეჯერ ტროცკი თითქმის იზოლირებული აღმოჩნდა. შემდეგ სტალინმა პარტიის რიგითი წევრების გამოკითხვა მოაწყო. ხმების ოთხმოცდათხუთმეტ პროცენტზე მეტი სტალინის პოზიციამ მიიღო. ტროცკი იმხანად მასზე გაცილებით ძლიერი იყო. გენერალური მდივნის პოსტიც დიდად არაფრად ითვლებოდა იმ დროს, ხოლო ტროცკი სამხედრო მინისტრი გახლდათ. 1922 წელს, რევოლუციის მეხუთე წლისთავზე, გამოიცა წიგნი სათაურით: "100 ყველაზე ცნობილი ბოლშევიკი". სტალინი ამ წიგნში საერთოდ არ არის ნახსენები. მიუხედავად იმისა, რომ ლენინის დროს პოლიტბიუროს წევრები იყვნენ: ლენინი, სტალინი, ტროცკი, კამენევი, კრესტინსკი; პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატები: ზინოვიევი, ბუხარინი, კალინინი..."**

შემდეგ აგრძელებს: სტალინმა აბსოლუტურად დემოკრატიულად, ცივილიზებულად დაამარცხა ტროცკი შიდაპარტიულ პაექრობებში. ცეკას წევრებმა ჯერ კიდევ 1925 წელს დააყენეს ტროცკის პარტიიდან გარიცხვის საკითხი, შემდეგ – 1926 წელს. ორივეჯერ სტალინმა დაიცვა თავისი მთავარი ოპონენტი, არ გარიცხა პარტიიდან.. ტროცკი აშკარად კონფრონტაციის გზას დაადგა, დაიწყო მუქარა და გუნდის შექმნა, არ ემორჩილებოდა პარტიულ დისციპლინას. ის 1927 წელს გარიცხეს პარტიიდან და გაასახლეს ალმა-ათაში, სადაც სრულიად თავისუფლად ცხოვრობდა, მაგრამ თავისას არ იშლიდა. მოგვიანებით, ბუხარინსაც ასევე მოეპყრო სტალინი, მაგრამ იმასაც ვერაფერი შეაგნებინა. საკითხი 1929 წელს გაიტანეს პლენუმზე, მერე ყრილობაზე და ბუხარინი ორჯერვე დამარცხდა. ტროცკის სიძე კამენევი სამჯერ გარიცხეს პარტიიდან (მაშასადამე, ორჯერ აღადგინეს). ცნობილია, რომ ზინოვიევ-კამენევი ჯერ კიდევ ლენინის დროიდან ითვლებოდნენ დეზერტირებად, მუხანათებად, რომლებმაც გასცეს შეიარაღებული აჯანყების სამზადისი 1917 წლის ოქტომბერში.

პარტიიდან გარიცხული ოპოზიციონერები მრავალი წლის განმავლობაში მაღალ თანამდებობებზე მუშაობდნენ და თავისუფალი ცხოვრების შესაძლებლობა ჰქონდათ, მაგრამ ხელისუფლების საწინააღმდეგო საქმიანობას არ წყვეტდნენ. ტროცკი უცხოეთიდან ამბოხებისაკენ მოუწოდებდა.

ოგპუ-სთან არსებულმა განსაკუთრებულმა თათბირმა 1929 წლის 18 იანვარს მიიღო გადაწყვეტილება ტროცკის გასახლების შესახებ, რომელიც მას 20 იანვარს ეცნობა. პოლიტბიუროს სხდომაზე ტროცკის **სსრკ**-ის ფარგლებიდან გასახლების წინააღმდეგ ხმა მისცა პოლიტბიუროს სამმა წევრმა – რიკოვმა, ბუხარინმა და ტროცკიმ. არც ერთ ქვეყანას არ სურდა მიეღო ტროცკი, ამიტომ დაპატიმრებულმა ტროცკიმ 12 დღე დაჰყო განსაკუთრებულ მატარებელში, რომელიც კურსკის ოლქის ერთ პატარა სოფელში იდგა. ბოლოს თურქეთი დათანხმდა მიღებას და 1929 წლის 10 თებერვალს იგი გემ **"ილიჩით"** გაიგზავნა თურქეთში, სადაც 4 წელი იცხოვრა. შემდეგ ცხოვრობდა დანიაში, ნორვეგიაში, საფრანგეთში (პარიზში), ბოლოს მექსიკაში, მეხიკოს შემოგარენ კოიეთანში, ვენის ქუჩაზე, ვილაში, რომელსაც იცავდნენ. 1940 წლის 21 აგვისტოს **სსრკ**-ის შინსახკომის აგენტმა ალპინისტური ძალაყინი თავში ჩაარტყა და 19 საათსა და 20 წუთზე იგი კლინიკაში გარდაიცვალა. ტროცკის დაუსწრებლად სიკვდილი ჰქონდა მისჯილი. თავდასხმა განახორციელა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომისარმა ლეონიდ ეიტინგონმა (ფსევდონიმები – კოტოვი და გენერალი ლეონოვი).

1939 წელს მექსიკაში დაიბეჭდა ტროცკის ანტისაბჭოთა სტატიები: **"სტალინი ჰიტლერის ინტენდანტი"** და **"ტყუპი ვარსკვლავები "ჰიტლერი-სტალინი"** (უფრო ზუსტად: **"ორმაგი ვარსკვლავები – ჰიტლერი-სტალინი"**).

საინტერესოა სტალინის რეზოლუცია: **"ტროცკისტულ მოძრაობაში ტროცკის გარდა მნიშვნელოვანი პოლიტიკური ფიგურები არ არიან. თუ ტროცკის ბოლო მოეღება, კომინტერნს საშიშროება აღარ დაემუქრება. ისინი უნდა დაიხვრიტონ, როგორც ცოფიანი ძაღლები".**

პირველი თავდასხმა ტროცკიზე ჩავარდა. მექსიკაში, ვილაში, ოთახი, სადაც ის და მისი ცოლი იმყოფებოდნენ, მთლიანად დაიცხრილა. ტროცკი კუთხეში, საწოლის უკან დაიმალა და გადარჩა. მუთიითებენ: თავდასხმა განუხორციელებია საყოველთაოდ ცნობილ მხატვარს, კომუნისტს (მონუმენტალისტ დავით ალფაროს სიკეიროსს – **"ილორი"**), რომელსაც დიდი ბათქა-ბუთქი აუტეხია და ამით დამთავრდა ყველაფერი.

ტროცკი საბჭოთა აგენტებმა მოკლეს, მაგრამ არის ერთი ურთულესი და თითქმის დღემდე პასუხგაუცემელი საკითხი: ყველა გახმაურებული სასამართლო პროცესი – ეგოროვის, ენუქიძის, ზინოვიევის, კამენევის, კრესტინსკის, ბუხარინის, რუძუტაკის, ტუხაჩევსკის და სხვათა, გამჭვირვალედ მიმდინარეობდა, ესწრებოდნენ უცხოელი დიპლომატები, ჟურნალისტები. ყველა განსასჯელი აღიარებდა თავის დანაშაულს. ამბობდნენ – აიძულებდნენ, აწამებდნენ – სწორია, მაგრამ ყველა ისინი გამოწრთობილი რევოლუციონერები იყვნენ და პროკურორის (ვიშინსკი) გამოსვლის შემდეგ, რომელმაც მათი დახვრეტა მოითხოვა, საბოლოო სიტყვაში მაინც, რატომ რომელიმემ არ თქვა დამნაშავე არ ვართო. მეორეჯერ ხომ არ დახვრეტდნენ?

ლტოლვილი ქალბატონები სამშობიაროდ აფხაზეთში გადადიან

ზუგდიდში განთავსებული დევნილების განმარტებით, ისინი არასოდეს ყოფილან ისეთ მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში, როგორც ახლა არიან. **"ჩვენი ქალები აფხაზეთში გადადიან და იქ მშობიარობენ, რადგან იქ მათ დახმარების სახით 8.000 რუსულ რუბლს აძლევენ, ეს 450 ლარამდეა. ჩვენთან კი პირიქით, 450-500 ლარი უნდა გადაიხადო მშობიარობისათვის. სწორედ ეს არის გენოციდი. ჩვენზე არავინ ზრუნავს"**, – განაცხადა აფხაზეთის მკვიდრმა, ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელმა **ვახტანგ ქეცბაიამ**.

"17 წელია ამ ხელისუფლების მოლოდინში ვართ, მაგრამ ჩვენთვის სასიკეთო არაფერი გაუკეთებია; პირიქით, უფრო გაუსაძლის მდგომარეობაში ვართ, ყურადღებას არავინ გვაქცევს, ამიტომაც აუცილებელია პრეზიდენტის გასაგონად და დასანახად საპროტესტო აქციების გამართვა და ხმამაღლა ლაპარაკი ჩვენს გაჭირვებაზე. ძალის დემონსტრირების გარეშე ხელისუფლების მხრიდან ყოველთვის იგნორირებული ვიქნებით", – განაცხადა **ვახტანგ ქეცბაიამ**.

საქინფორმი

სერგეი კრემლიოვი

ბერია — XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი

თარგმანი როლანდ ჯალაღანიასი

სწორედ ამაზე იყო საუბარი 1941 წლის 19 ივნისის №0042 ბრძანებაში:

"აეროდრომების შენიღბვითი სამუშაოების ჩატარების საქმეში გამოვლენილი უპასუხისმგებლობა, სამწუხაროდ, ნიშანდობლივი აღმოჩნდა საარტილერიო და მოტომექანიზებული ნაწილებისთვისაც. მათი თავმოყრა მტერს საშუალებას აძლევს არა მხოლოდ იოლად აღმოაჩინოს ისინი, არამედ ყოველგვარი სირთულის გარეშე გაანადგუროს კიდეც.

ტანკები, ჯავშანტრანსპორტიორები, სამეთაურო და სხვა სახის სპეცმანქანები ისეთი მკვეთრი ფერის საღებავებითაა დაფარული, რომ მათი აღმოჩენა ჰაერიდანაც გაუადვილდება მტერს და მიწიდანაც.

არაფერია გაკეთებული სამხედრო ქვედანაყოფთა არსენალების, საწყობების და სხვა მნიშვნელოვანი ობიექტების შესანიღბად".

და, პატივცემულო მკითხველო, ეს კიდევ არ არის ყველა ჩავარდნა ომის დაწყების წინა დღეებში, რაზედაც მოგვიანებით მოგახსენებთ...

მაგრამ ჯერ ოდნავ უკან დავიხიოთ და ახლო წარსულს დავუბრუნდეთ და ვნახოთ, თუ როგორ **"არ ემზადებოდა"** ომისათვის უკვე არა მესაზღვრე ბერია, არამედ მზვერავი ლავრენტი ბერია... 1941 წლის 3 თებერვლიდან საბჭოთა კავშირში საგარეო დაზვერვის სისტემას განაგებდა სსრკ სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარი ვსევოლოდ მერკულოვი. მაგრამ 3 თებერვლამდე იგი მხოლოდ ლავრენტი ბერიას მოადგილე და შინსახკომის უშიშროების მთავარი სამმართველოს უფროსი იყო. ესე იგი, 1941 წლის 3 თებერვლამდე ჩეკისტურ დაზვერვას, საბოლოო ჯამში, განაგებდა პირადად ლავრენტი ბერია და ნებისმიერი სერიოზული სადაზვერვო აქციის ჩატარება მისი სანქციის გარეშე შეუძლებელი იყო.

ასე რომ, მხოლოდ სახალხო კომისარ ლავრენტი ბერიას უნდა დაერთო უფლება იმ ოპერაციის ჩატარებაზე, რომელსაც შემდეგ ასე პედანტურად იხსენებდა ზოია ივანეს ასული ვოსკრესენსკაია-რიბკინა... ეს სექსუალური გარეგნობის მქონე რუსი მზეთუნახავი, შინსახკომის საგარეო დაზვერვის პოლკოვნიკი, რომელმაც მეოცე საუკუნის 20-იან წლებში დაიწყო მუშაობა და ომის დაწყების წინ შედიოდა გერმანული განყოფილების ხელმძღვანელობაში, ნამდვილად იმსახურებს, რომ მასზე წიგნები დაიწეროს. თავად მან დასწერა კიდეც წიგნი საკუთარ პერსონასა და დაზვერვაზე — **"ფსევდონიმით ირინა"**.

სამწუხაროდ, ეს წიგნი არაა დაზღვეული მრავალრიცხოვანი უზუსტობებისაგან (თუნდაც ომისწინა მოვლენების აღწერა, სადაც ფიგურირებს სამხედრო კონტრდაზვერვა **"სმერში"**, რომელიც მხოლოდ 1943 წელს შეიქმნა, და სხვა ამგვარი). კიდევ უფრო მეტად სამწუხაროა ის, რომ წიგნში ფიგურირებს სხვა უამრავი სერიოზული ნაკლიც. მიუხედავად ამისა, ვოსკრესენსკაია-რიბკინა მაინც ნათელი ფიგურა გახლავთ უხილავი ფრონტის პირველ რიგში მდგარ მეომრებს შორის. მან ძალიან ბევრი რამ იცოდა, რადგან უამრავ სადაზვერვო საქმეებში იღებდა მონაწილეობას... იგი მტრის ორ, უაღრესად ინფორმირებულ მზვერავთან მუშაობდა, რომლებიც პოლონეთის კუთვნილ ქალაქ ლვოვის ციხეში ისხდნენ 1939 წლის 17 სექტემბრის შემდეგ, როცა საბჭოთა მუშურ-გლეხური წითელი არმიის ნაწილებმა დაიკავეს დასავლეთ უკრაინა.

1940 წლის ზაფხულში **სსრკ** შინსახკომის უშიშროების მთავარი სამმართველოს მე-5 (უცხოეთის) განყოფილების უფროსმა ფიტინმა რიბკინას დაავალა, რომ მას **"აემღერებინა"** პოლონელების მიერ დაპატიმრებული აბვერის გამოცდილი აგენტი, მეფის რუსეთის შტაბს-კაპიტანი ალექსანდრე სერგეის ძე ნელიდოვი. აგენტი თავდაპირველად ჯიუტობდა, ბოლოს კი **"გატყდა"**. ნელიდოვი მონაწილეობას იღებდა გერმანიის გენერალური შტაბის საშტაბო სამხედრო თამაშებში და მრავალი ფასეული ინფორმაცია დაუდო მაგიდაზე ჩვენს უშიშროებას. სიტყვისათვის — მე ნელიდოვი, რიბკინა და მთელი ეს ამბავი დაწვრილებით გავიხსენე იმიტომ, რომ, მართალია აღნიშნული ოპერაცია მიმდინარეობდა ლუბიანკაზე მდებარე **სსრკ** შინსახკომის ციხეში, მაგრამ გამორიცხული იყო მისი ჩატარება ბერიასთან წინასწარი შეთანხმების გარეშე. მართალია, რიბკინა ამის თაობაზე დუმს, მაგრამ წარმოუდგენელია, რომ ეს ყველაფერი სხვაგვარად მომხდარიყო.

კიდევ უფრო აუცილებელი იყო ბერიას სანქცია პოლონეთის გენშტაბის მე-2 (სადაზვერვო) განყოფილების უბადლო სპეციალისტ სოსნოვსკისთან დაკავშირებული ოპერაციის ჩატარებაზე. ეს გახლდათ ბერლინში მოქმედი პოლონეთის დაზვერვის გენიალური, ბრწყინვალე რეზიდენტი, რომელიც არისტოკრატთა ცხოვრების წესით გამოირჩეოდა და თავისი საყვარელი ქალების წყალობით შესანიშნავი სადაზვერვო კავშირები გაანდა გერმანიის უმაღლეს წრეებში. მაგრამ, სამწუხაროდ, მათ შორის იყვნენ ჰიმლერის მიერ **"მიჩენილი"** მსტოვრებიც. გერმანელებმა სოსნოვსკი დააპატიმრეს, მაგრამ პოლონელებმა მოახერხეს მისი გაცვლა აბვერის ორ აგენტზე. მხოლოდ იმისათვის, რომ ბერლინის ციხიდან სოსნოვსკის ლვოვის ციხეში გადაეცვლა.

სოსნოვსკი განსაკუთრებით ეფექტურად **"აამღერეს"**. გესტაპოში ჩანერგილი ჩვენი აგენტის მეშვეობით, რომელსაც სოსნოვსკის საქმე მიჰყავდა (შეიძლება ეს იყო ლემან-ბრაიტენბახი), ჩვენთვის ცნობილი გახდა სოსნოვსკის ყველა სადაზვერვო-ინტიმური შემოქმედების შედეგი. და პოლონელი ლუბიანკაზე წაიყვანეს ორმაგი დამუშავებისათვის. რიბკინას მიჰყავდა დაკითხვა, მაგალითად გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთი მაღალჩინოსნის მეუღლის **"დავერბოვკების"** დეტალების დასაზუსტებლად. სოსნოვსკი ჭირვეულობდა, წუწუნებდა იმაზე, რომ არაფერი აღარ ახსოვს. მაშინ საკანის კუთხეში ჩუმად მჯდომი ვასილი მიხეილის ძე ზარუბინი (თავადაც დაზვერვის დიდი სპეციალისტი) იწყებდა მოყოლას სოსნოვსკის მაგივრად... მას ყველაფერი **"ახსოვდა"**: რესტორნის ანგარიშები, იმ მდიდრულ აგარაკთა კოორდინატები, სადაც ტარდებოდა შეხვედრები, ყოველი ავტომანქანი მარკა და ნომერი...

და ეს ეხებოდა სოსნოვსკისთან დაკავშირებულ ყოველ კონკრეტულ პოზიციას, ყოველ საყვარელ-აგენტ ქალბატონს.

ყველაფერი დამთავრდა იმით, რომ საბჭოთა დაზვერვის სრულყოფილად ინფორმირებით ერთიანად შეძრულმა და თავზარდაცემულმა სოსნოვსკიმ ყველაფერი **"დაფქვა"**. და ყოველივე ეს კომბინაცია ბერიას სანქციის გარეშე ხომ დარჩებოდა მხოლოდ ქადალდზე დაწერილ (დიახ!) მახვილგონივრულ გეგმად? დიახ, უსარგებლო თეორიულ ექსპერიმენტად, თუ მის ჩატარებაზე არ დათანხმდებოდა სახალხო კომისარი! იგი კი ამ ოპერაციის ჩატარებას დათანხმდა იმიტომ, რომ თავად იყო ბრწყინვალე პროფესიონალი.

ნელიდოვსა და სოსნოვსკისთან დაკავშირებული ოპერატიული სამუშაოები მიმდინარეობდა 1941 წლის თებერვალის შემდეგაც, ამ უწყებათა ორ სახალხო კომისარიატად ერთმანეთისაგან გამიჯვნის შემდეგ, რომელიც 1941 წლის 20 ივლისს კვლავ ერთ უწყებად გაერთიანდა ლავრენტი ბერიას ხელმძღვანელობით.

სხვადასხვაგვარად წარიმართა რიბკინას გამოძიებაში მყოფი ამ ორი მზვერავის საქმე. სოსნოვსკი დახვრიტეს. სამწუხაროდ, ეს გახლდათ მკაცრი, მაგრამ აუცილებელი ღონისძიება, რადგან გერმანელები უკვე მოსკოვთან იდგნენ. რაც შეეხება ნელიდოვს...

ნელიდოვი... გაანთავისუფლეს და წინადადება მისცეს, რომ გადაბარგებულიყო მისთვის კარგად ნაცნობ თურქეთში როგორც შინსახკომის დაზვერვის სამსახურის თანამშრომელი. ეს წინადადება აგებული იყო ზუსტ ფსიქოლოგიურ გათვლაზე, იმის განჭვრეტის საოცარი უნარით — თუ ვის და როდის უნდა ანდო მნიშვნელოვანი დავალების შესრულების საქმე.

ნელიდოვის ბედის გადაწყვეტაში ბერიას როლზე რიბკინა არაფერს ამბობს. მაგრამ ვის, გარდა სახალხო კომისრისა, შეეძლო საბოლოოდ მიეცა სანქცია საზღვარგარეთ გასაგზავნად ადმირალ კანარისის ნდობით აღჭურვილ პირზე, რომელიც პირადად კარგად იცნობდა ნელიდოვს!

ჩვენ კი გვიჩიჩინებენ: **"ბერია არავის ენდობოდაო"**.

მზვერავ ბერიადან დავუბრუნდეთ მესაზღვრე ბერიას.

ერთის მხრივ, არის აშკარა და უტყუარი მტკიცებულება იმისა, თუ როგორი იყო საბჭოთა კავშირის ბერიასეული სასაზღვრო ჯარები დიდი სამამულო ომის დაწყების წინ. მეორე მხრივ კი... მეორე მხრივ კი ისიც ფაქტია, რომ სტალინმა და, რადა თქმა უნდა, ბერიამ, ყველაფერი იღონეს საიმისოდ, რომ მომზადებულები შეხვედროდნენ მოსალოდნელ იმს, რაც შეეხება გენერლებს...

არის ასეთი წიგნი **"მე — გამანადგურებელი"**, რომლის ავტორია ავიაციის გენერალ-მაიორი, საბჭოთა კავშირის გმირი გიორგი ნეფედის ძე ზახაროვი. ომის დაწყების წინ იგი გახლდათ დასავლეთის განსაკუთრებული სამხედრო ოლქის ავიაგამანადგურებელთა 43-ე ავიადივიზიის მეთაური. მაშინ იგი პოლკოვნიკის სამხრეებს ატარებდა და და საჰაერო ბრძოლის გამოცდილება ესპანეთში (6 თვითმფრინავი პირადად ჩამოაგდო, 4 კი ჯგუფთან ერთად) და ჩინეთში (სამი პირადად ჩამოგდებული თვითმფრინავი) ჰქონდა მიღებული. მისი წიგნიდან ამოღებული ფრაზა საკმაოდ დიდია, მაგრამ ეს ჩემი ბრალი არ გახლავთ. ამ ციტატიდან ერთ სიტყვასაც კი ვერ ამოაგდებს ადამიანი:

"სადღაც, გერმანელების მიერ საომარი მოქმედების დაწყებამდე ერთი კვირით ადრე — სავარაუდოდ, ეს იყო 1941 წლის 17 თუ 18 ივნისს,— მე მივიღე დასავლეთის განსაკუთრებული სამხედრო ოლქის სარდლის ბრძანება, რომ გადამეფრინა დასავლეთის სასაზღვრო ხაზზე. საფრენი მანძილი 400 კილომეტრზე მეტი იყო და უნდა მეფრინა სამხრეთიდან ჩრდილოეთის მიმართულებით, ქალაქ ბელოსტოკამდე.

მე თვითმფრინავ "У-2"-ით გავფრინდი, რომლის შტურმანად გამომყვა 43-ე გამანადგურებელთა ავიადივიზიის ოფიცერი მაიორი რუმიანცევი. დასავლეთის საზღვრის მიმდებარე ტერიტორიები ჯარებით იყო გადავსებული. სოფლებში, ხუტორებში, ტყე-ბუჩქნარებში იდგნენ ცუდად შენიღბული, ან სულაც შეუნიღბავი ტანკები, ჯავშანმანქანები, საარტილერიო დანადგარები. გზებზე დაუსრულებლად მიმოდიოდნენ მოტოციკლები და მსუბუქი (ალბათ შტაბების კუთვნილი) ავტომანქანები. სადღაც ქვეყნის შუაგულში დაწყებული მოძრაობა აქ თითქოს დიდ კედელს იყი მიმწყდარი და ლამის გადაენგრია იგი.

ჩვენს მიერ მხოლოდ მზერით დაფიქსირებული ჯარების ასეთი უთავბოლო თავმოყრა სახელმწიფო საზღვართან იმის მიმანიშნებელი გახლდათ, რომ მალე დიდი ომი დაიწყებოდა. სხვა ვარიანტი აქ არ არსებობდა.

ჩემი საომარი წარსულის გათვალისწინებით, ამგვარი სურათის ხილვა სულ უფრო და უფრო მინერგავდა იმის აზრს, რომ ომი, დღეს ან ხვალ, უეჭველად ატყდებოდა.

ჩვენ მაშინ სამ საათზე მეტი დროს დავყავით ჰაერში. მე რამდენჯერმე დავეშვი მიწაზე და ეს არავის მოეჩვენებოდა აეროდრომის სპეციალურ ტრასაზე დაშვებად, ჩემთან იმავ წამს მესაზღვრეები რომ არ გაჩენილიყვნენ. მესაზღვრე თითქოს მიწიდან ამოიმართებოდა ხოლმე, ქუდთან ხელის მიტანით სამხედრო სალამს მომცემდა (ესე იგი, ინფორმირებული იყო იმის თაობაზე, რომ მალე საბჭოთა თვითმფრინავი დაჯდებოდა და უახლეს ინფორმაცია მოიტანდა — ს.კ.) და რამდენიმე ხანს მელოდა, ვიდრე მე თვითმფრინავის ფრთაზე დაყრდნობილი შეტყობინებას ვადგენდი. ცნობის მიღების შემდეგ მესაზღვრე ისევე შეუმჩნევლად გაქრებოდა ხოლმე, როგორც გამოჩნდა. ჩვენ ცაში ავფრინდებოდით და 40-50 კილომეტრის გადაფრენის შემდეგ კვლავ ვჯდებოდით. და კვლავ ვწერდი შეტყობინებას, მესაზღვრე კი უხმოდ იდგა და მელოდა, ცნობას მიიღებდა, სამხედრო სალამს მომცემდა და ქრებოდა. ამრიგად, საღამოს ჩვენ ბელოსტოკში ჩავფრინდით და სერგეი ჩერნიხის დივიზიის განლაგების ადგილზე დავეშვით..."

აი, როგორ ორგანიზებულად ჰქონდათ ყველაფერი აწყობილი ბერიას მესაზღვრეებს! ეს უპირველესია, რაც თვალში გვხვდება ადამიანს. სხვათა შორის, რომელ უწყებასაც არ უნდა ჩადგომოდა სათავეში ლავრენტი ბერია, იქ მკაცრი წესრიგი და მუშაობის მწყობრი სისტემა ცხოვრების ჩვეულებრივ ნორმად იქცეოდა ხოლმე. ეს გახლდათ არა შიშზე დაფუძნებული მოვლენა, არამედ ადამიანების ფსიქოლოგიის, ეფექტური ორგანიზაციისა და ყოველი სამუშაო ადგილის ზუსტად ცოდნის შედეგი. ზახაროვის მიერ მოძიებული **"საიდუმლო"** მონაცემები სწრაფად გადაეცემოდა სასაზღვრო საგუშაგოს, იქიდან — სასაზღვრო რაზმის შტაბს, იქიდან — სასაზღვრო ოლქის შტაბს, საიდანაც ინფორმაცია ხვდებოდა შინსახკომის მთავარ სასაზღვრო სამმართველოში...

ჩვეულებრივ შემთხვევებში, სახალხო კომისრამდე რაიმე სახის ინფორმაცია, გარკვეულ დროში აღწევდა. მაგრამ ზახაროვის შემთხვევა გახლდათ არა მხოლოდ განსაკუთრებული, არამედ უნიკალურიც. ეს ამბავი დიდი ასოებით უნდა ჩაიწეროს სამამულო ომის ისტორიაში, და თუ რატომ, მკითხველი ალბათ უკვე ხვდება.

სასაზღვრო ჯარების დაზვერვის ინფორმაცია (ჩვენ კი ვიცით, რომ ეს ინფორმაცია ვრცელი და ზუსტი იყო) დღეში ორჯერ მიეწოდებოდა არა მხოლოდ შინსახკომის ქვედანაყოფებსა და ხელმძღვანელობას, არამედ სხვადასხვა სახეობის ჯარების სარდლობასაც, რომელთა ოპერატიული სამსახურები სწრაფად აგზავნიდნენ ხოლმე მას გენერალურ შტაბში. მაგრამ, აკეთებდნენ კი ამ ინფორმაციებიდან გამომდინარე, სათანადო დასკვნებს გენერალურ შტაბსა და სამხედრო ოლქების შტაბებში?

"ბელოსტოკში დასავლეთის განსაკუთრებული სამხედრო ოლქის სარდლის მოადგილე გენერალი ი.ვ. ბოლდინი საგანგებო თათბირზე არჩევდა ახლახან დამთავრებულ სამხედრო სწავლებას. მე მოკლედ მოვახსენე მას ფრენის შედეგების თაობაზე და ჩერნიხის მიერ გამოყოფილი ავიაგამანადგურებლით დავბრუნდი მინსკში..."

საკმაოდ უცნაურია ყოველივე ეს!

მაგალითად, კაპიტალური ნაშრომის **"დასავლეთის განსაკუთრებული"** ავტორი რუსლან ინინარხოვი სტანდარტულად სდებს ბრალს სტალინს იმაში, რომ იგი ზღუდავდა სამხედროების ინიციატივას, რათა არ გაეღიზიანებინა და საომრად არ გამოეწვია გერმანელები. მაგრამ რა გამოდის? იმის მაგივრად, რომ მინდვრის თაგვებივით გასუსულები, შეუმჩნევლად მსხდარიყვნენ ერთ ადგილას, საზღვრის მიმდებარე ტერიტორიაზე სამხედროები სწავლებებსა კი აწყობდნენ. ნიშნავს კი ეს იმას, რომ ინინარხოვის თქმით, **"ჩვენები ომს ნიფხავ-პერანგის ამარად შეხვდნენ"**?

გაგრძელება იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეგრული პოეზიის რაფსოდია

გაზეთი "ილორი" აგრძელებს ლექსების ციკლის ბეჭდვას ცნობილი ქართველი პოეტის ლაშა გახარიას წიგნიდან "ირიათონი" (ბექილია-ნაბორდიშა).

– ქომიჩქ, მარა... ასე მიკვე –
მუთ გაყუნუნ ოსურამსუ?!
– ქოიჩქუნა, რგებულ მელა
ირო იშინც ოშურალცუ.

უწი: ფატუ, მოლმაყუნი,
ვემკუანჭუქუ ოშუმალცუ.
ვაჯერდ, მარა მირჩქილედუ,
მათ უთუხუნდ... ოშუალცუ.

მებჭარ: ფატუ, გურ მაწურუ
სქანი ყოროფაში გეშა,
ჯოჯოხეთი მუმელ, მარა
სო გოიტე სამონთხეშა.

უშქურცალო გორფუჩონუ –
გვალო ქაშაიხიჭა ხეშა,
ღურადღაშა ვაგორთირა
გეშნაგორა ზესნახეშა!

დუდშათ იფცვანდ, არგამათი:
"ბოშ გოხოლუქ კაკალამი!
სით მურიცხიშ ძია რექი –
გურშა გიოკაკალარი!

მუკაწილარ ტატალი რექ –
ართო ქუნცამ-კაკლარამი
სო მიგალე შხვა ცირეფი –
განო გილმაკარკალარი!"

– ვამპასუხუ... კინ ქიმებჭარი:
"ჩქიმი ფატუ, მაფალუ,
ქოიჩქ, ჩილი ჩეფრთხინე დო
სკან მეტ მუთა მაპალუ.

ჩქინ ყოროფათ განწარებულქ
დახე ქიგმოფაფალუ!
მოლმაყუნი, ვარა ჭყელქი,
ირფელ მიდაქვაქვალუ!.."

ათექ ოკო წკირუკონი...
ცოდაქ დაჩხირ ქუდომკუმუ
დო თიშ უკულ ვემებრკებუ
ლებია დო მარკვა ღუმუ.

მოთალეფით მიჭაჭილცი
წკონდა წყარი ვამიშუმუ.
შხვეფშა ვალმანჯირუ, მარა
მუქუთ ხესი ქაშმოხუმუ...

ყალმათიას ქიგნაჯინეს,
უნძესი დო უჩილესი, –
სით ქოთქვია მუდგაინი
ღურელ გეგნაფუჩინესი.

ბრელი ვადუნძალებუნა, –
გურიშჭუა ქუჩინესი...
ყალმენც ქუმულანძგუეს დო
ნწარას გეგნოპურჭყონესი.

– ვიცი, მაგრამ მაინც მიკვირს,
როგორ გაგყვა ნაცოლარ კაცს?
გეტყვით: მოხერხებულ მელას
არ აკლდება სასუსნავი.

ვუთხარ: ფატუ, წამომყევი,
უარს ვიტყვი ღვინის სმაზე,
არ სჯეროდა, თუმც მისმენდა,
და მეც ვფქვავდი, ვქსოვდი ბადეს.

და მივწერე: "ჩემო ფატუ
ვდნები შენი სიყვარულით,
ჯოჯოხეთი მელის, მაგრამ
შენ გაგიშვებ სამოთხეში...

ჩაგკბეჩ სამოთხის ვაშლივით –
და გაგათბობ ხელის გულით...
სიკვდილამდე აღარ გაგცვლი
მე სხვა მზეთუნახავებში".

თავიც ვიქე: "მე გახლავარ
ბიჭი, მართლაც, გულიანი,
შენ მძივი ხარ ვარსკვლავისა, –
გულში ჩასახუტებელი.

შენ ვარდი ხარ მოსაწყვეტი,
ველური და ეკლიანი.
შენ ვერავინ შეგედრება,
გარე-გარე მოარული".

პასუხი რომ არ მაღირსა,
კვლავ მივწერე: "ჩემო ფატუ,
იცი, ცოლს რომ გავეყარე
და შენს მეტი არავინ მყავს.

ჩვენი სიყვარულის გამო
ლამის სახლი გადამიწვა...
წამომყევი! იმ წყეულმა
სულ ყველაფერი წაიღო."

მგონი ამან გასჭრა კიდეც...
და ამინთო კვლავ კერია.
ჰოდა, დღემდე არ მაკლია –
ლობიო და მურკლა ღომი.

რაც შვილისშვილთ მოვესწარით,
სუფთა წყალი არ გვისვია,
სხვა ქალებთან არ მიშვებდა,
თვითონ შემომაჭკნა ხელში...

ყალმათიას გადახედეს –
უცოლოს და უძეოსა,
რაიმე შენც გვითხარიო –
ცოცხალ-მკვდარი დააფიცეს.

ბევრი არც დაუძალებიათ,
მიხვდნენ მისსა გულისტკივილს,
ჩიბუხს ტარი გაუძიძგნეს
და გრძლად გადააპურჭყეს.

გთავაზობთ ნაწყვეტებს ნაპო მესხიას წიგნიდან როგორ გასხვისდა აფხაზეთი...

თამაზ ნადარეიშვილის თანხმობის შემდეგ, ისინი, ეტყობა, ჩემგან სრულიად უსიტყვო მორჩილებას მოელოდნენ!

ასეთი ღამის შემდეგ, უძინარი და აფორიაქებული ვისმენდი ტელეფონით **თამაზ ნადარეიშვილის** დამოძღვრას და არაფერს იმაზე, თუ რა სიურპრიზი მომიწყო წინა ღამეს. სწორედ ამან გამომიყვანა მწყობრიდან და ამიტომ შევწყვიტე მასთან საუბარი. ამ დროს მან კარგად იცოდა, რომ ეს საკითხი უკვე იდგა კენჭისყრაზე, სადაც, სხვათაშორის, ბატონ **ლეონარდო დევდარიანის** კანდიდატურაც იხილებოდა, მაგრამ დეპუტატთა უმრავლესობამ უპირატესობა **დავით გვაძაბიას** მიანიჭა და ეხლა ამის გადათამაშება არ შეიძლებოდა.

ვიმეორებ, ეს მან სხვებზე უკეთესად იცოდა, მაგრამ მაინც დგამდა ასეთ არასწორ ნაბიჯს და, ამავდროულად, მეც მაყენებდა დარტყმის ქვეშ!

ჩემთვის ეს არ იყო ახალი – იგი, როგორც წესი, ყველას ჰპირდებოდა და აკეთებდა არა იმას, რაც საქმეს სჭირდებოდა ან განმუხტავდა სიტუაციას, არამედ იმას, რაც მეტ დაპირისპირებასა და დაძაბულობას გამოიწვევდა.

ეს მისი მუშაობის სტილი გახლდათ!

ასეთი გადახვევის შემდეგ, მინდა მივუბრუნდე ისევ **თამაზ ნადარეიშვილთან** სატელეფონო საუბარს. თურმე, ჩემს მიერ საუბრის უხეშად შეწყვეტის შემდეგ, ისევ რეკავს ბატონი თამაზი, ახლა უკვე ყურმილს იღებენ დეპუტატები **თემურ მჟავია** და **ჯემალ გამახარია**. მათაც იგივე დავალებას აძლევს: **"არ შეხვიდეთ სესიაზე, სანამ თბილისიდან ზარი არ იქნება. მე მივდივარ თბილისში ბატონი ნაპო მესხიას კანდიდატურის დასამტკიცებლად"**. ესენი შემოდიან კაბინეტში და ყველას გასაგონად ამას ხმამაღლა აცხადებენ.

იმ დღეს პირველ საკითხად გადიოდა გულრიფშის გამგებლის არჩევა და სესიაზე მიუსვლელობა არ ივარგებდა. ამიტომაც ვიყავი იქ მისული.

სესიაზე **დავით გვაძაბიას** კანდიდატურა დამტკიცდა. ამის შემდეგ გამოცხადდა შესვენება. თამაზ ნადარეიშვილის კაბინეტში, სადაც ყველანი ვიმყოფებოდით, შემოდის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის თანაშემწე, ადგურ ბარგანჯია და მთხოვს მისვლას არძინბასთან. მე უსიტყვოდ ვდგები და მივდივარ მასთან. ამ დროს ხდება მოულოდნელი რამ: არძინბა, თამაზ ნადარეიშვილის კაბინეტის წინ, დერეფანში მხვდება, ფანჯარას მიყრდნობილი, მარტო, დაცვის გარეშე. დერეფანში იმყოფებოდნენ აგრეთვე, ჩვენი კოლეგები. მე მივუახლოვდი, მივესალმე და ვეკითხები: **"Слушаю Вас, Владислав Григорьевич, что случилось?"** ის მეუბნება: **"Рухнули наши планы, Госсовет предлагает другую кандидатуру?"** მე ვეკითხები: **"Почему, откуда Вы знаете?!"** ის მპასუხობს: **"По поручению Госсовета звонил господин Джаба Иоселиани и предлагает кандидатуру Ломинадзе!"**

ამის გაგონებაზე თავზარი დამეცა, იმწამსვე გამიელვა თავში წინა დღით **თამაზ ნადარეიშვილის** სატელეფონო საუბარმა ჯერ ჩემთან, მერე **თემურ მჟავიასა** და **ჯემალ გამახარიასთან**. ხდებოდა გაუგონარი რამ: ეს ცბიერების გასაოცარი, არნახული ნიმუში გახლდათ, თუმცა ჩემთვის ნათელი იყო, თუ რატომ წამოვიდა **გივი ლომინაძის** კანდიდატურა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე. როგორც ზემოთ აღვნიშნე, მისი გასვლა აპრიორი გამორიცხული იყო – ასჯერ რომ დამდგარიყო, ასივეჯერ ჩავარდებოდა.

ეს ყველამ კარგად იცოდა, მაგრამ ყველაზე კარგად კი – თავად **თამაზ ნადარეიშვილმა**. ამიტომაც იყო ეს სვლა მზაკვრული, ისედაც უარყოფითად დამუხტული და დაძაბული პოლიტიკური სიტუაციის კიდევ უფრო დამძიმებისაკენ გადადგმული ნაბიჯი. გივი ლომინაძის კანდიდატურის ჩავარდნით კიდევ უფრო აიმღვრეოდა წყალი და ამით დაინტერესებულ ჯგუფს სხვა პერსპექტივა უჩნდებოდა.

სხვა ახსნა ამ ფაქტს, უბრალოდ, არ აქვს.

არძინბა მეკითხება: **"Что делать?.. Может замнем все это и проведем ту кандидатуру, которую мы с вами и с Озганом обсуждали?!"**

მკითხველმა, რომ იცოდეს, თუ რაზე მიმანიშნებდა არძინბა, უნდა გაცხადდეს, რომ რამდენიმე დღის წინ მქონდა მასთან შეხვედრა და, ოზგანთან ერთად, განვიხილეთ თავმჯდომარის შესაძლო კანდიდატურები. მაშინ მე მათ შევთავაზე აწ განსვენებული **ოთარ ზუხბაიას** კანდიდატურა.

იგი გამოკვეთილ ქართულ პოზიციაზე მდგომი პიროვნება იყო, თანაც – ადგილობრივი კადრი და, რაც მთავარია, ამ თანამდებობაზე მუშაობის გამოცდილება გააჩნდა. მაშინ მან კატეგორიულად არ მიიღო ეს წინადადება. **არძინბამ** იგი ყველა მიწიერ ცოდვაში და, მათ შორის, სოხუმის უნივერსიტეტის გაყოფაში, ამის ნიადაგზე კი – აფხაზეთში სისხლის დაღვრაში დაადანაშულა. ვერაფრით ვერ დავარწმუნე, რომ მას არ მიუძღოდა ამაში ბრალი, თუმცა, სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ბატონი ოთარი გულშემატკივრობდა მათ, ვისაც ეს ხელს აძლევდა.

როდესაც **ოთარ ზუხბაიას** კანდიდატურა ჩავარდა, შევთავაზე **ვახტანგ ყოლბაიას** კანდიდატურა. ამაზე სულ გადაირია. ვხედავდი, რომ ჩიხში შევედით და შევეკითხე მას: **"Скажите, кого бы вы хотели видеть в этой должности?"** ის მპასუხობს: **"Вот, подошел бы Важа Зарандия, он тоже гальский. Его кандидатуру гальцы поддерживают, пишут коллективные письма и т.д."**

მე გავუღიმე და ვეუბნები: **"Гальцы его и вовсе не знают! Не обижайте гальцев и не делайте это от их имени. Они это просто не поймут"**. მცირე პაუზის შემდეგ განაცხადა: **"А кого, может Рамаза Сичинава?!"...** მე დავფიქრდი: ახალგაზრდა კაცია, განათლებული, თუ შემოთავაზებული კანდიდატურები არაა გამსვლელი, მაშინ – რატომ არა? და მივეცი თანხმობა მასზე. რაღა თქმა უნდა, ჩემი თანხმობა მდგომარეობდა იმაში, რომ ეს კანდიდატურა წარდგენამდე განხილული იქნებოდა დეპუტატთა ქართულ ფრაქციაში. თუმცა, მოვლენათა შემდგომმა განვითარებამ და ზემოთ მოტანილმა ფაქტებმა შეცვალეს მასზე შეხედულება.

შევთანხმდით, რომ არძინბა იმუშავებდა აფხაზურ დეპუტაციაში, მე კი ქართულში. ამით დავამთავრეთ მაშინ საუბარი. მოხდა ისე, რომ **გივი ლომინაძე** შემოგვხვდა დერეფანში და დაინახა, მე და არძინბა როგორ გამოვედით ერთად ოზგანის კაბინეტიდან. იგი მომესალმა და მეკითხება თუ რაზე გვქონდა საუბარი მათთან. მე არ დამიმალავს, ორიოდ სიტყვით ვუთხარი ის, რაზედაც ვისაუბრეთ. მას ეს არ მოეწონა და თქვა: **"ეს კანდიდატურა არ არის საუკეთესო"!** მე პასუხი არ გამიცია, ავედი ზევით და შევუერთდი ჩემს ქართველ კოლეგებს. შემდეგ კი აფხაზურ მხარესთან გამართული დიალოგის თაობაზე მოვუყევი ჩემს ახლო მეგობრებს.

რა ენაზე მეტყველებდნენ იბერები?

ე.ი. საგრამატიზაციო საშუალებები, რაც დღეს საკმაოდ უხვად გაგვაჩნია, ძველად არ იყო, ამიტომ, შესაძლებელია, **დაბადების** ავტორი სიტყვა **ედემში**, მრავალჯერადი თარგმნა-გადმოთარგმნის შემდეგ შეეცვალა აზრი, თორემ, "ღმერთმა გააშენა ბაღი ედემში"-ს ნაცვლად დედანში გულისხმობდა ასეთ აზრს: "ღმერთმა გააშენა ბაღი **შადამისათვის**" (ე.წ. მეგრულად, **შადამიშო - შგდგმგშ**). როგორც აღვნიშნეთ, **შ**ნიშნავს ქმნას; **დ**-დოს, დასვა-ს; **ნ**- წყალს (წყაროს სიცოცხლისა, ანუ ღმერთს); **შ** კიდევ, ახსოვს, ზოგადად ხსოვნას; **ვ**-ვაებას, ტანჯვას, უსიამოვნებას. მაშინ **შგდგმ (-შადამი-ადამი)** ნიშნავს: **ქმნილი, დასმული მე** (შეად: დაბ. 2-8).

[ღმერთმა] "დედაკაცს უთხრა: სატანჯველს გაგიმრავლებ და გაგიძნელებ ორსულობას, ტანჯვით შობ შვილებს, ქმრისკენ გექნება ლტოლვა, ის კი იბატონებს შენზე" (დაბ. 3-16). ე.ი. ყველა დედაქალი გამოდის **ტანჯვისთვის ქმნილი,** ანუ ღმერთისგან აქვს დაბეჭდებული ტანჯვა. **შგვ (-შევა-ევა)** ნიშნავს: **ქმნილი ტანჯვისთვის** (შეად. დაბ. 3-16).

„შვა ცილამ თუბალ-კაინი, რვალისა და რკინის საჭურველთმჭედელი"(დაბ.4.22.) იბერიული მოდგმის ენებში სიტყვათწარმოქმნის კანონზომიერების თანახმად, სახელში **კაინი ა** და **ე** ბგერებს შორის თანხმოვანი ბგერა უნდა მჯდარიყო და ეს ბგერა უეჭველია, შ(ტ) ბგერა უნდა ყოფილიყო. დაიკარგა იმის გამო, რომ ფინიკიურ და ბერძნულ ენებს, რომელზეც ითარგმნა **დაბადების** ტექსტი შ(ტ) ბგერა არ ჰქონდათ. დედანში კშგნგ უნდა ყოფილიყო. **კ** ნიშნავს **კვერა, აწრთო, ჭედა**-ს; **თუბალი, შ**და **ნ**მნიშვნელობები ცნობილია. მაშინ თუბალ-კაინი ნიშნავს: **თავბმადყოფიერი მჭედელი ქმნილი უფლისგან** [კაინი(-კაშენი-კშგნგ)=მჭედელი ქმნილი უფლისგან] (შეად. დაბ.4.22.).

"კვლავ შეიცნო ადამმა თავისი ცოლი; შვა ქალმა ვაჟი და უწოდა სახელად **შეთი, რადგან მომმადლაო უფალმა სხვა ნაშიერი ნაცვლად აბელისა,** კაენმა, რომ მოკლა" (დაბ. 4.25). **შგთ** (-შეთი) ნიშნავს: **ხსოვნა თავისა** (თავკაცისა, ანუ ადამისა).

შგბგრგ (- შგბგრე - შგბგლე - შაბელე - შაბელი – აბელი). ნიშნავს: **ქმნილი მემკვიდრეობის უწყვეტობისთვის** (ბგ=ბმა= მემკვიდრეობის უწყვეტობა) **არის,** ანუ **ქმნილ-ყოფიერი მემკვიდრეობის უწყვეტობისათვის,** ე.ი. **თავკაცის ხსოვნისათვის** (შეად. დაბ. 4.25). ამდენად, **შეთს** დაეკირა ის ფუნქცია, რაც **აბელს** ეკისრა.

ხსოვნა ადამისა, ფაქტიურად, მხოლოდ იბერთა მოდგმამ შეინარჩუნა. ადამიანს რუსულად **человек** ჰქვია, ინგლისურად – **men** სომხურად - ყოტ და ა.შ. სიტყვა **ადამიანი** (- ადამი(სი)ანი – ადამი(ში)ანი, ანუ ადამის მოდგმისანი) მხოლოდ ე.წ. ქართველურ ენებს აქვთ შენარჩუნებული.

„შეთსაც შეეძინა ვაჟი და უწოდა სახელად ენოში, მაშინ დაიწყო უფლის სახელის ხსენება" (დაბ. 4. 26).

შგნგშ (- შენოში – ენოში) ნიშნავს: **ქმნილი უფლის ხსოვნისთვის** [აქ ნგ=წყალი (წყაროსიცოცხლისა, იგივე ღმერთი, უფალი)] (შეად. დაბ. 4.26).

„იცოცხლა ლამექმა ასოთხმოცდა ორი წელი და შვა ძე. უწოდა მას სახელად ნოე. ასე თქვა: ეს გვანუგეშებს ჩვენს შრომასა და ჯაფაში ამ მიწაზე, რომელიც დასწყევლა უფალმა" (დაბ. 5.28-29)

სახელ **ნოე**-ს თავდაპირველ დედნურ ფორმაში ო და ე ბგერებს შორის შ(ტ) ბგერა უნდა მჯდარიყო და წერებულიყო ფორმით ნგშგ (გახმოვანების შემდეგ - ნოშე), რაც ნიშნავს **უფლისგან ქმნილს**.

რასაკვირველია, უფლისგან დაწყევლილ მიწაზე შრომასა და ჯაფაში ოფლისმღვრელ ლამექს **უფლისგან ქმნილი** ძე ანუგეშებდა (შეად. დაბ. 5.29).

ყოვლისშემძლე შემოქმედს არ მოეწონა, რომ ადამიანები „ყოვლისშემძლეობაში ეჯიბრებოდნენ" და „თქვა უფალმა: აჰა ერთი ხალხია ეს და ერთი ენა აქვს ყველას: რაკი ეს საქმე წამოუწყიათ, ამიერიდან გააკეთებენ ყველაფერს, რასაც კი განიზრახავენ.

აბა ჩავალ და ენას ავურევ მათ, რომ ვერაფერი გააგებინონ ერთმანეთს.

გაფანტა ისინი უფალმა იქიდან მთელს დედამიწის ზურგზე და მათაც შეწყვიტეს ქალაქისა და გოდოლის შენება.

ამიტომ ეწოდა სახელად ბაბილონი, რადგან სწორედ აქ აღრია უფალმა მთელი დედამიწის ენა და აქედან გაფანტა ისინი უფალმა მთელი დედამიწის ზურგზე (დაბ. 11.6-9).

ბაბილონი დედანში **ბგბგლგნგ** ფორმით უნდა წერებულიყო.

არქაული ფორმის წინადადებაში **ბგბგლგნგ ლგ** ნიშნავს ვარდება –ს, **ბგ** და **ნგ**-ს მნიშვნელობანი უკვე ცნობილია. მაშინ თანამედროვე მეტყველების დონეზე ბგბგლგნგ სიტყვა-სიტყვით ნიშნავს: **ბმა-ბმად ვარდება უფლისგან.** ბმა-ბმად, ანუ ცალ-ცალკე ოჯახებად, თუ საგვარეულოებად გავარდება (განიდევნება) უფლისგან და, სადაც ეს მოხდა, იმ ადგილს ეწოდა ბრამ-ბრმად ვარდნა უფლისგან, ანუ **ბგბგლგნგ** (-ბაბილონი) (შეად. დაბ. 11.9).

ღვთისგან გამოგზავნილ და სოდომის გასანადგურებლად მოსულ კაცებს (ანგელოზებს) შეხვდა სოდომის კარიბჭესთან მჯდარი ლოტი. ლოტმა მათ თავისი გულწრფელი სამსახური შესთავაზა, მათ თავიდან იუარეს ლოტის სამსახური, მაგრამ ბოლოს მაინც დათანხმდნენ და სახლში შეყვანენ ლოტს, რომელმაც გულუხვად უმასპინძლა მათ. „ვიდრე დასაძინებლად დაწვებოდნენ", გარს შემოეხვივნენ ლოტის სახლს სოდომის მოსახლეობა, დიდი და პატარა, რომ მოეკლათ ლოტის სტუმრები, მაგრამ ლოტი წინ აღუდგა. მაშინ მასაც დაემუქრნენ და უთუოდ მოკლავდნენ, მაგრამ „ხელი გამოიწოდეს" უფლისგან მოვლენილმა ცის კაცებმა, შეიყვანეს ლოტი, შიგნიდან კარი ჩარაზეს, ხოლო მათ ყველას სიბრმავე მოჰგვარეს, რომლის შემდეგ უვნებელნი დარჩნენ.

შემდეგ ლოტს აუწყეს ღვთის დანაბარები: სოდომი უნდა გავანადგუროთო და როცა „ყველანი გარეთ გაიყვანეს, უთხრა ერთმა: თუ გინდა ცოცხალი გადარჩე, უკან არ მოიხედო, არც სადმე გაჩერდე ამ მხარეში, მთას შეეფარე, თორემ დაიღუპები.

უთხრა ლოტმა: არა უფალო.

აჰა, მადლი მიპოვნია შენს მორჩილს შენს თვალში; დიდია შენი წყალობა ჩემდამი შენ, რომ მოიღე და გადამარჩინე, მაგრამ მთას ვერ შევეფარები, ვაითუ უბედურებას გადავაწყდე და დავიღუპო. აგერ, ეს ქალაქი უფრო ახლოსაა გასაქცევად, პატარაც არის, იქ შევაფარებ თავს. პატარა ქალაქია და გადავრჩები.

უთხრა [ანგელოზმა]: კეთილი, შეგისრულებ ამ სათხოვარსაც არ დავამხობ ამ ქალაქს, შენ რომ ახსენე.

აბა, იჩქარე, შეაფარე იქ თავი, რადგან შენს იქ მისვლამდე ამ საქმეს ვერ აღვასრულებ (ე.ი. ცის კაცმა ღმერთთან შეუთანხმებლად თავის თავზე იღო პატარა ქალაქის უვნებლად დატოვება, რომლის გადარჩენა ლოტმა ითხოვა, კ.ფ.). ამიტომ ეწოდა ამ ქალაქს **ცოღარი**" (დაბ. 19. 17 -22).

ცოღარი დედანში უნდა წერებულიყო ფორმით: **ცგღგრგ**, სადაც ცგ(-ცა) გამოყენებულია **ცისელი** –ს აღსანიშნავად, **ღგ** ნიშნავს **იღო** –ს. მაგ., „გოგიქ ონადირუშა თოფი მიდე-**ღგ**" (-გოგიმ სანადიროდ თოფი წა-**იღო**), ან კიდევ, „გოგიქ ტყაშე დიშქა ქგმი-**ღგ**" (-გოგიმ ტყიდან შეშა მო-**იტანა**). იბერიული **მიდე**=ქართ. **წა** –ს, ხოლო **ქგმი** = **მო** –ს, **ღგ** კი = **იტანა, იტვირთა, იღო** –ს. მაშინ **ცგღგრგ** სიტყვა-სიტყვით ნიშნავს: ცისელმა იღო (იტვირთა) არის. თანამედროვე მეტყველების დონეზე კი შეიძლება ასე გამოვთქვათ: **ცისელის ტვირთად ყოფიერი** (შეად. დაბ. 19.21-22).

დაბადებაში ვკითხულობთ, რომ აბრაამი ცხვრის ფარას თავისი სარდლის, აბიმელექის ტერიტორიაზე აძოვებდა და მის ტერიტორიაზე წყლისთვის ჭა ამოთხარა, მაგრამ მისმა მსახურებმა წაართვეს აბიმელექის დაუკითხავად. ეს აბრაამმა არ იცოდა და განაწყენებულს აბიმელქმა შეამჩნია წყენა. მდგომარეობის გარკვევის შემდეგ შერიგდნენ. „უთხრა აბიმელექმა აბრაამს: რა არის ეს შვიდი ბატკანი, ცალკე რომ გამოასხი?

უთხრა აბრაამმა: მიიღე ჩემგან ეს შვიდი ბატკანი იმის დასტურად, რომ ჩემი ამოთხრილია ეს ჭა. ამიტომ უწოდა ამ ადგილს **ბერშება** (ხაზი ჩემია, კ.ფ.), რადგან აქ შეჰფიცეს ერთმანეთს. **შეკრეს კავშირი** . . ."(დაბ. 21-29-32)

როგორც ზემოთ დავინახეთ, **ბგ** ნიშნავს **ბმას, კავშირს, რშ** კიდევ, მეორე პირის ზმნაა და ნიშნავს **გახსოვს** ე.ი. ბგრშგბგ (- ბერშება) ნიშნავს: **კავშირი გახსოვდეს, კავშირი.**

ასეთი თანხვედრები ე.წ. მეგრული ენის ლექსიკასა და დაბადების ტერმინებს შორის, ალბათ, კიდევ ბევრი მოიძებნება. მაგრამ ზემომოყვანილი ციტატები და მათი მეცნიერული ანალიზი საკმაო საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ **დაბადება** დედანში იბერიულ ენაზე იყო დაწერილი.

როცა მტკიცებებს წარმოვუდგენთ და მის გასანეიტრალებლად არგუმენტები ვერ აღმოაჩნდებათ ოპონენტებს, მაშინათვე მატაკებენ კითხვას:

თუ ყველაფერი, რასაც თქვენ წერთ სწორია, რატომ არ შემორჩა რაიმე ძეგლი, ერთი სიტყვა მაინც მეგრულ ენაზე დაწერილიო?

მართლაც, საინტერესოა, როგორ გაანადგურეს ყველაფერი ისე, რომ რაიმე თვალსაჩინო ძეგლი აღარ შემორჩა. მაგრამ, ცხადია, ეს ასე მოხდა და არა გარეშე მტრის, არამედ შინაური **ძეცდომილების** მიერ, რომლებმაც კარგად იცოდნენ იბერიული ხილული ძეგლების ადგილსამყოფელი, ოღონდ ზუსტად არ ვიცით, რატომ გაანადგურეს ლეგენდარული წინაპართა ყველა მონაპოვარი, რამ გააბოროტა თვისტომი ისე, რომ ასეთი სისასტიკე ჩაიდინა. უეჭველია, არსებობდა ამის მიზეზი და ეს გამოწვლილვით შესასწავლია. ცხადია, ეს დაიწყო 523 წლის შემდეგ და დღემდე გრძელდება.

1940 წელს ივ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით მცხეთის რაიონში, არქეოლოგიური გათხრების წარმოების დროს აღმოაჩინეს სამარხი, რომელიც ცარიელი იყო. აქ აღმოჩნდა ორი ქვის სტელა: ერთი შემდგომ წოდებული „წარწერა №1"-ით და მეორე, წოდებული „არმაზის ბილინგვის" სახელით.

როგორც მოგეხსენებათ, **ბილინგვა** ერთიდაიმავე შინაარსის ორ სხვადასხვა ენაზე შესრულებული წარწერაა. ეს ძეგლი ინახება ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში და წარმოადგენს 192 სმ სიმაღლისა და 64-66 სმ სიგანის ბაზალტის ქვის სტელას, რომლის ზედა ნაწილი მომრგვალებულია. მომრგვალებული ნაწილის ქვემოთ, სიმაღლის შუაში, 63X61,5 სმ² სივრცეზე მოთავსებულია არამეულ (ნაბატეური და პალმირული) – სპარსულ (ფარსული და ფალაური) – ფინიკური ასოებით შესრულებული საიდუმლო ტექსტი. სტელის ქვედა მარჯვენა მხარე ჩამოტეხილია, დარჩენილ ზედა ნაწილში, მომრგვალების ქვემოთ, მოთავსებულია კლასიკური ბერძნული დამწერლობითა და ენით შესრულებული ტექსტი, რომელიც შედგება 10 სტრიქონისგან და უჭირავს 31X62 სმ² ფართი. მეტი ვერც დაეტეოდა ამ ფართზე. 10 სტრიქონის ტექსტი, რომ დაეწერათ იმავე ზომის ასოებითა და ინტერვალით, როგორც საიდუმლო ტექსტია დაწერილი 31 სმ სიმაღლის ნაცვლად დასჭირდებოდა 57,5 სმ, მაგრამ ბერძნული ტექსტი დაწერილია უფრო პატარა ზომის ასოებითა და შემჭიდროებულად, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ბერძნული ტექსტი უფრო მოგვიანებით არის დამატებული.

ბერძნული ტექსტის თარგმანი ასეთია:

„სერაფიტი, ასული ზევახ მცირისა პიტიახშისა, მეუღლე პუბლიკიოს აგრიპა პიტიახშის ძის იოდმანგანისა, ივერთა დიდი მეფის ქსეფარნუგის მრავალთა გამარჯვებათა მომპოვებელი ეპიტროპისა. გარდაიცვალა ახალგაზრდა 21, წლისა, მქონებელი შეუდარებელი სილამაზისა".

მკითხველი უეჭველად იკითხავს: თუ საიდუმლო ტექსტი იგივე შინაარსისაა, როგორც ბერძნული, რა საჭირო იყო გასაიდუმლება? ასეთი ეჭვი დაებადება ნებისმიერ მკითხველს და საიდუმლო ტექსტის ამომკითხავი აკად. გიორგი წერეთელი წერს:

„იყო თუ არა დაწერილი არამეული ტექსტი (ასე უწოდებს აკად-სი საიდუმლო დამწერლობას, კ.ფ.) განკუთვნილი ისე საკითხად, როგორც იგი ეწერა, თუ მის ქვეშ იგულისხმებოდა რომელიმე სხვა ენა? ამგვარი კითხვა ბუნებრივად წამოიჭრება ისეთ გამოთქმათა ანალიზის დროს, როგორიცაა „ . . . ძლევამოსილისა და მრავალი გამარჯვების მომპოვებელი ეზოს მოძღურისა (ხსეფარნუგ მეფისა)" (გ. წერეთელი, არმაზის ბილინგვა, გვ.28), რადგან ისტორიაში ცნობილი არ არის მრავალი გამარჯვების მომპოვებული ეზოს მოძღვარი დიდი ხსეფარნუგ მეფისა – იოდმანგანი და თვით მეფე ასეთი სახელით – ხსეფარნუგი. ცნობილია მეფე ფარნუკი და ისიც აღდგენილია დამახინჯებული სახელიდან არუკII [ფ]არ[ნ]უკII.

საიდუმლო ტექსტის ქართული ტრანსლიტერაცია ასეთია:

'ნჰ სცრფჲტ ბრთჲ ზჲ
ზჲვხ კლჲლ პტხშ ზჲ ფრსმნ
მლ 'ნთთ ზჲ ჲვდმნგნ ვნსჲჰ
ვქბჲრ 'რვსთ ცბჲდ რბ
5. თრბს ზჲ ხსჲფრნვგ მლქ ბრჲ
6. ზჲ 'გრჲფ რბ თრბს ზჲ
7. ფრსმნ მლქ ჰბლ ჰბლჲქ მ'
8. ზჲ ფრნვშ ლ' გმჲრ ვჰქჲნ
9. ტბ ვშფჲრ ჲჰვჰ ჰჲქ ზჲ ბრ
10. 'ანშ ლ' დმცჲ ჲჰვჰ მნ
11. ტბ ვთ ვმ'ჲთჲნ ბშნთ 21

ეს საიდუმლო ტექსტი თითქოსდა არამეული ენით დაწერილი ასე თარგმნა აკად. გ წერეთელმა:

მე (ვარ) სერაფიტი, ასული
ზევახისა, მცირისა პიტიახშისა ფარსმან
მეფისა, მეუღლე იოდმანგანისა – ძლევამოსილისა
და მრავალი გამარჯვების მომპოვებელი ეზოჲს
მოძღურისა ხსეფარნუგ მეფისა – ძისა
აგრიფა ეზოჲს მოძღურისა
ფარსმან მეფისა, ვაება, ვაებისა. ის
რაც [=ის ვინც] იყო
არა დასრულებული [ე.ი. ახალგაზრდა?] და იმდენად
კეთილი და მშვენიერი იყო, რომ არა – ვინ იყო [მისი]მსგავსი
სილამაზით და გარდაიცვალა 21 წლისა.

თვითონ აკად. გ წერეთელი გამოთქვამს ეჭვს საიდუმლო ტექსტის ენის არამეულობაში (იხ. არმაზის ბილინგვა).

კუკური ფიფია,
ფაზისის მეცნიერებათა
აკადემიის წევრი.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით გიორგის ძე ანჩაბაძე (აჩბა)

აფხაზეთის ღირსეული შვილები

როგორც ჩვენი გაზეთის წინა ნომერში ვიუწყებოდით, ამას წინათ ჩვენმა აფხაზმა მეგობრებმა აფხაზეთიდან მოგვაწოდეს ცნობილი აფხაზი ისტორიკოსის, ღვაწლმოსილი პროფესორის ბატონ არველოდი კუპრავას სქელტანიანი წიგნი "ხალხი: დრო და ცხოვრება", რომელშიც შესულია ბიოგრაფიული ნარკვევები და ისტორიული პორტრეტები იმ აფხაზი მოღვაწეებისა, რომელთაც ნათელი კვალი გაავლეს აფხაზეთის მდიდარ ისტორიაში. ამიერიდან ჩვენ გაზეთ "ილორში", რუბრიკით "აფხაზეთის ღირსეული შვილები", ვიწყებთ აღნიშნულ წიგნში დასტამბული ბიოგრაფიების გამოქვეყნებას, ხოლო გაზეთ "გალის" მთავარ რედაქტორს ბატონ ნუგზარ სალაყაიას დიდ მადლობას მოვახსენებთ ამ ფასდაუდებელი წიგნის საჩუქრად გამოგზავნისათვის.

დავით გიორგის ძე ანჩაბაძე (აჩბა)

(გარდაიცვალა 1888 წელს – დაბადების თარიღი უცნობია)

დავით გიორგის ძე ანჩაბაძე გახლდათ სახელგანთქმული აფხაზი იურისტი, აფხაზთა სათავადაზნაურო ინტელიგენციის ბრწყინვალე წარმომადგენელი, რომელიც მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწეობდა. იგი დაიბადა სამურზაყანოს მაზრის ულამაზეს სოფელ დარჩელში, აფხაზი მემამულის ოჯახში.

მის თაობაზე არსებული მწირი ინფორმაცია მისი ბიოგრაფიის ყველა მოვლენას, სამწუხაროდ, არ ასახავს. სავარაუდოდ, დავით ანჩაბაძეს ქუთაისის გიმნაზია უნდა ჰქონდეს დამთავრებული. 1871 წელს მან წარჩინებით დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, სამართლის კანდიდატის სამეცნიერო წოდებით. დიდი გამოცდილება შეიძინა მაშინ, როცა მუშაობდა ცნობილი რუსი ადვოკატის, პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორის ვიქტორ დავითის ძე სპასოვიჩის თანაშემწედ. სწორედ ამ გამოცდილების წყალობით გახდა იგი სანქტ-პეტერბურგის სასამართლო პალატის ნაფიცი მსაჯული, რაც საკმაოდ ავტორიტეტული თანამდებობა გახლდათ.

რუსეთის იმპერიის დედაქალაქში ახალგაზრდა ნიჭიერმა იურისტმა შესანიშნავი პროფესიული წვრთნა გაიარა და დიდი პრაქტიკული გამოცდილების მქონე იურისტის სახელით დაუბრუნდა სამშობლოს.

გარკვეული დროის განმავლობაში დავით გიორგის ძე ანჩაბაძე ქუთაისში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. აქ იგი საქმით დაუკავშირდა გუბერნატორ გიორგი მიხეილის ძე შარვაშიძეს და მისი რწმუნებული გახდა. იგი მონაწილეობდა დავით ჩხოტუას გახმაურებულ სასამართლო პროცესში დაცვის მოწმის ამპლუაში. სწორედ ამ პროცესის მოგების შემდეგ გაუვარდა მას უბადლო იურისტისა და ადვოკატის სახელი. მისი სახელი მთელ საქართველოს მოედო.

დიდი ილია ჭავჭავაძის მიწვევით დავით გიორგის ძე ანჩაბაძე აქტიურად თანამშრომლობდა გაზეთ **"ივერიასთან"** და თავისი მაღალპროფესიული, საინტერესო პუბლიკაციებით უჭერდა მხარს ამ ორგანოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ სულისკვეთებას.

1887 წელს დავით გიორგის ძე ანჩაბაძე მშობლიურ აფხაზეთს დაუბრუნდა, სადაც მას მიწის ნაკვეთი გამოუყვეს. სახლის მშენებლობას შეუდგა, დიდი სამუშაო გეგმებიც ჰქონდა, მაგრამ არ დასცალდა – შერყეული ჰქონდა ჯანმრთელობა, რადგან ნესტიან პეტერბურგში წლებით ცხოვრებამ ბავშვობაში აყოლილი ფილტვების დაავადება გაურთულა.

დავითი ახალგაზრდა ასაკში გარდაიცვალა, ისე, რომ ვერ მოასწრო თავისი დიდი ნიჭისა და მდიდარი იურიდიული პრაქტიკის სამშობლოს საკეთილდღეოდ სრულად გამოყენება. სამწუხაროა, რომ ჩვენთვის ჯერჯერობით ცნობილია მისი მდიდარი ბიოგრაფიის სრულიად უმნიშვნელო ნაწილი. ამიტომ, ქართველი და აფხაზი მკვლევარები მოვალენი არიან საგანგებოდ შეისწავლონ და გამოამზეურონ ამ ნიჭიერი და შრომისმოყვარე იურისტის ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან დაკავშირებული ფაქტები.

ეს ჩვენი უპირველესი ვალია.

დავით გიორგის ძე ანჩაბაძე გარდაიცვალა 1888 წელს და დასაფლავებულია მშობლიურ სოფელ დარჩელში.

„მოსკოვ-ქალაქს მგზეს გელოდით"...

ამაოდ არ ანდო ბედი დაღესტანში გზააბნეულმა გურამიშვილმა ჩრდილოეთის ვარსკვლავს. პირველი გაქცევის მერე გული ერთთავად რუსეთისაკენ მიუწევდა. იქ ეგულებოდა ქართველთა მეფე ვახტანგ მეექვსე. იქ რუსთა იმედით ელოდნენ ქართველები სანუკვარ სამშობლოში დაბრუნების სანეტარო წამებს, გარნა საქართველოს ცას ისევ ისპაჰანიდან მოეძალნენ შავი ღრუბლები. დავითი მტკიცედ დაადგა უვალსა და ხნარცვიან გზას მოსკოვისაკენ. იგი სოლაღის, ასტრახანისა და ცარიცინის გავლით მშვიდობით ჩააღწევს კიდეც მოსკოვის 1729 წელს.

მოსკოვი იმ დროისათვის ქართველებით **„დასახლებული"** ქალაქი იყო და დავითს იქ მრავალი მამულიშვილი ელოდა. **პირველი სამოსახლო მოსკოვს იმერეთისა და კახეთის მეფემ არჩილმა დააფუძნა. ამ ნიჭიერმა პოეტმა და დაუღალავმა მოღვაწემ მშვენივრად იცოდა რუსული, სპარსული, თურქული და ბერძნული ენები. მანვე გამართა პირველი ქართული სტამბა მოსკოვში 1703 წელს. დავითი კი მაშინ დაბადებულიც არ იყო. არჩილი მოსკოვს 1685 წელს ჩავიდა. მას თან ახლდა თავისი ვაჟი, თორმეტი წლის ალექსანდრე, რუსეთის მომავალი იმპერატორის პეტრეს კბილა, მეგობარი და თანამებრძოლი. ეს ის ალექსანდრე ბაგრატიონია, რომელიც რუსეთის დიდმა გარდამქმნელმა პეტრემ სამხედრო ხელოვნების დასაუფლებლად ჰააგაში გააგზავნა, მერე სწავლაგასრულებულს, გენერალფელდცეხმაისტერობა უბოძა და რომლის სახელთანაც დაკავშირებულია რუსეთის არტილერიის დაარსება.** ალექსანდრე ბაგრატიონი შვედებთან ბრძოლის დროს ტყვედ ჩავარდა, ათი წელი იტანჯა საპყრობილეში, არა და არ მოხერხდა მისი სხვა ტყვეებზე გაცვლა, რადგან შვედების უფალმა – კარლოსმა იცოდა ტყვის ფასი. მხოლოდ ამ ერთ კაცში პეტრეს რამდენიმე გენერლის განთავისუფლება და ათი კასრი ოქრო მოსთხოვა. ბავშვობის მეგობრისა და თანამებრძოლის გულისათვის პეტრე შვედთა ტყვე გენერლებს კი შეელია, მაგრამ იმდენი ოქრო ვერ იშოვა და სტოკჰოლმის საპყრობილის დილეგში დასნეულებული ალექსანდრე ბაგრატიონი პიტერში აღესრულა. მისი ნეშტი, როგორც იყო, პატივით ჩამოასვენეს მოსკოვს და დონის მონასტერში, სადაც პეტრე დიდმა ქართველებს ძვალთშესალაგი უბოძა, დაკრძალეს.

პეტრე პირველი დიდ პატივს სცემდა არჩილ მეფეს. მის ოჯახს არჩილის გარდაცვალების შემდეგაც არ მოჰკლებია მისი მაღალი ყურადღება. ტანად ახოვანი, პირმშვენიერი, მეფე-რეფორმატორი დიდად აფასებდა მისდამი ერთგულების სულისკვეთებით გამსჭვალულ ქართველების ნიჭსა და სიმამაცეს. და მაინც განსაკუთრებული პატივით ექცეოდა და-ძმას – ალექსანდრესა და დარეჯანს. ისტორიკოსებს დღემდე ვერ ამოუხსნიათ საიდუმლო, პოლტავის ბრძოლიდან მოსკოვს დაბრუნებულმა მეფემ გამარჯვების ლხინი დარეჯანის სასახლეში რად გამართა?

ასეთი მეგობრობა იყო მყარი ნიადაგი, რომელზედაც აღიმართა ქართველთა და რუსთა დიდი მეგობრობის ზღუდე. სამწუხაროდ, დავით გურამიშვილის მოსკოვს ჩასვლის დროისათვის უკვე წაქცეულია ამ ზღუდის უმთავრესი სვეტი – პეტრე პირველი. ხოლო მის უხერხემლო მემკიდრეებს დიდი მბრძანებლის განზრახვათა და ჩანაფიქრთა განხორციელებისათვის ძალა და გონი აღარ შესწევთ. დიდი ხელმწიფის შორსმჭვრეტელურ მიზნებს მისი მემკვიდრენი თვითონ უქცევია თოჯინებად და ისინიც შეგუებულნი იმ აზრს, რომ დიდთა საქმეთათვის არ დაჰბადა საწუთრომ, ქედმაღლურად, მაგრამ მარტივა, თითქოს სცენაზე ასრულებენ დიდი რუსეთის, „შვიდთა იყლიმთა მპყრობელი" იმპერატორების ურთულეს როლს. გაიძვერა კარისკაცთა და ფავორიტთა ხელში პეტრეს მომდევნო დიდმპყრობელნი თვითონ აქცია ბედის განჩინებამ სათამაშო თოჯინებად. პარიკებით მორთულ-მოკაზმულნი, გაპუბრულნი, სუნამო უხვად ნაფრქვევნი ისხდნენ ისინი უდიდეს ტახტზე, იძლეოდნენ განკარგულებებს და ქვეყნის ნამდვილი გასაჭირის, მისი მომავლისა, აწმყოსი, წარსულისა და რაც მთავარია, რუსი ხალხის ინტერესებისა არაფერი ესმოდათ და გაეგებოდათ.

ვახტანგ მეფემ ლტოლვილი მამაშვილურად მიიღო, ცრემლი შეაშრო, შვება მოჰგვარა, ანუგეშა, თავის ამალაში მიუჩინა ადგილი. სამკვიდრომოკლებულმა მეფემ ბოგანოსა და იდუმალ ლტოლვილს არც სხვა წყალობა დააკლო. ეტყობა, იმთავითვე პატივით მიუღია და მოსწონებია, რომ აბჯართსაცავის მზირობა დაუვალებია: **„მითხრეს სჭვრეტდე ჯაბახანასაო"**, გვაუწყებს მოხუცებაში წელთა სიმრავლით დამძიმებული პოეტი. ასე და ამრიგად, აღმოჩნდა დავითის ხელში სანუკვარი იარაღი, რაც ჰაერივით სჭიროდა დაღესტანში. აქ კი აბა რას აქნევს ნომინალურ ქართველ მეფეთა იარაღს ერთგული ჯაბადარბაში!

მარიფათი კი მაშინვე გამოუჩენია. ტულაში გამგზავრებულა იარაღის შესაძენად, მაგრამ ვაგლახ, რომ ამ იარაღის სამშობლოსათვის გამოყენება მისი ბედის კარაბადინში არ ეწერა.

რაღა თქმა უნდა, მოსკოვს მყოფ ერთ მუჭა ქართველებს დიდი ვერაფერი არსენალი ექნებოდათ, მაგრამ არც ისე უმნიშვნელო უნდა ყოფილიყო მათი იარღის საწყობი. რაც არ უნდა იყოს, იმ დროისათვის ხუთი ათასი მოლაშქრის თოფიარაღი და ისიც დარჩეული ხარისხისა, სახუმარო საქმე არაა! ეს იარაღი მერე ბრწყინვალედ ჩააბარებს გამოცდას პრუსიასთან ომში და ერთხელ კიდევ უჩვენებს ქვეყანას ქართველთა გულოვნებას, ხმლის ფხიანობასა და შემართებას.

ნივთიერად რა უნდა მიეცა ჩვენი პოეტისათვის ჯაბადარ-ბაშობას? წელიწადში ორმოცი მანეთი დაუწესებიათ მისთვის, ორასი ფუთი ხორბალი და ერთი საჟენი შეშა. ასეთი ყოფილა ჯაბადარ-ბაშის გასამრჯელო. ხელმოკლედ მყოფ დავითს თურმე უფროსი ძმა ქრისტეფორე გურამიშვილი ეხმარებოდა. რა განძსა და სალაროს იშოვიდა სამკვიდროწართმეული მეფის კარზე მყოფი, თუნდაც ისეთი პოეტი, როგორიც დავით გურამიშვილი იყო იმ დროში? ნივთიერად, რაღა თქმა უნდა ვერაფერს! მხოლოდ წუთიერ სიამოვნებას თუ იგემებდა პაექრობაში გამარჯვებული. სახელსა და დაფნას თუ მოიპოვებდა მცირერიცხოვან თანამემამულეთა შორის. სახელს, რომელიც მის თანამედროვეთა ამქვეყნიდან გასვლასთან ერთად განქარდებოდა, რომ სასწაულებრივად გადარჩენილ „დავითიანს" ჩვენს დრომდე არ მოეღწია. დაფნას, რომელიც სულ მალე ჭკნება.

განდიდება მეფისა, მისი სიბრძნისა და ბატონიშვილთა ქება-დიდება, მათი გონიერების, შემართების, ზნისა და სიუხვის ხოტბა, საუკეთესო სურვილები, მომავლის იმედით ცქერა და სამშობლოს ურჩხულთაგან დახსნის ოცნება ჯერ კიდევ არ იყო დიდი პოეზიის სარბიელი და რაკი იმ დროს ჰონორარიც არ არსებობდა, კარის ახალგაზრდა მგოსანს მხოლოდ პოეტური ვარჯიშით მიღებული კმაყოფილება რჩებოდა. ასე იწერებოდა **„მცირე ლექსი", „სანადიმოდ და სამღერელად"** გამიზნული, ეს იყო პირველყოვლისა დრო-ჟამის ხარკი. მერე ახალგაზრდობაში რომელ პოეტს არ უთქვამს **„სალაღობოდ და ამხანაგთ სათრეველად"** ლექსი. მუხთალმა საწუთრომ არ შემოგვინახა პოეტის იმდროინდელი ჩანაწერები. ისინი ჯერ კიდევ პოეტის სიცოცხლეშივე, უკრაინაში, მისი სახლ-კარის დაწისას განადგურებულა. ჩვენთვის სამუდამოდ დაკარგულია იმ წლებში დავითის მადლიანი კალმით შექმნილი მნიშვნელოვანი ქმნილებები.

მაგრამ, რაც მთავარი და მთავარია, გურამიშვილი თავისუფალია! სხვათა ტყვე აღარაა. ნება ეძლევა ხელთ კალამი აიღოს, წეროს, გაერთოს, სულითა და გულით გაიხაროს მოსკოვის მაღალ საზოგადოებაში. მის წინაშეა ორი ერის რჩეული არისტოკრატია, მომხიბლავი ასულნი, დიდება... მაგრამ ჩრდილოეთის ქვეყანას სამადლოდ შეკედლებული, მამულიშვილი პოეტისათვის მძიმეა **„სხვის კიბეებზე ასვლა-ჩამოსვლა"**, ძნელი ასატანია სამშობლოს სიშორე და დანაღვლიანებული მგოსნის დაკოდილი გული და ქნარი უდარდელად ვერასოდეს იძგერებს და იჟღერს.

პოლიტიკური ლტოლვილი ვახტანგ მეექვსე ჯერ კიდევ ესაჭიროებოდა რუსეთის სამეფო კარს სპარსეთთან აწეწილ-დაწეწილ საქმეთა მოსაკვარახჭინებლად და დიპლომატური პაექრობის ჟამს. სწორედ ამიტომ ჰყავდათ იგი დიდ პატივში და მისი ამალის წევრებიც, კარისკაცთა ენით რომ ვთქვათ, უზრუნველ ცხოვრებას ეწოდნენ.

პოეტის ძმის ქრისტეფორეს და მის თანამდგომთა ძიებას უკვალოდ არ ჩაუვლია. თუ დაუცხრომელი ისტორიკოსი და დიდი გეოგრაფოსი ვახუშტი ბაგრატიონი, ლათინური ენის დიდი მცოდნე ივანე ბაგრატიონი, ვახუშტის ძმა არტილერისტი პაატა ბაგრატიონი, ფილოსოფოსი და მთარგმნელი ლევან ბაქრაძე, უებრო მათემატიკოსი დიმიტრი ციციშვილი და სხვები ფუტკრებივით დაუღალავად იღვწოდნენ, დიდი პოეტი და პატრიოტი დავით გურამიშვილი გულხელდაკრეფილი ვერ დაჯდებოდა. ვინ იცის, რამდენი ძვირფასი ხელნაწერი გააცამტვერა დროის მსახვრალმა ხელმა.

თვითონ ვახტანგ მეფე, შესანიშნავი პოეტი, ჩვენთვის ცნობილ მოღვაწეთაგან რუსთაველის პოემის პირველი გამომცემელი, კომენტატორი და განმმარტებელი, მკვლევარი, ისტორიკოსი, ფილოლოგი, ასტრონომი და იურისტია. ცხადია, სიახლოვე ისეთ უნივერსალურ და დაუზარელ კაცთან, რომელიც ქირმანის გადასახლებაშიც კი არ ისვენებდა და ქართულად ათარგმნინებდა მაჰმადიანური სამყაროს გენიით აღბეჭდილ თხზულებებს, უქმად არ ჩაუვლიდა დავით გურამიშვილს. დავითი, მისი ძე ქრისტეფორე, ბიძა მერაბ გურამიშვილი სწორედ იმ წრეში ტრიალებდნენ, რომელშიაც შედიან დიმიტრი ბაგრატიონი, ლექსწყობის დიდი მსაჯული – ქართველთა ბუალო – მამუკა ბარათაშვილი, თომა ბარათაშვილი, დიმიტრი სააკაძე, შიოშ ჯავახიშვილი და სხვანი...

იმდროინდელი რუსეთის ლიტერატურა უკვე საკმაოდ მდიდარი, მრავალფეროვანი და თავისებური იყო. საკმარისია ითქვას, რომ იმ ხანებში მოღვაწეობდნენ კანტემირი, ტრედიაკოვსკი, სუმაროკოვი, პროკოპოვიჩი და ახალგაზრდა ლომონოსოვი.

გურამიშვილის რუსეთში ცხოვრების წლებში შლის ფრთებს ნამდვილი რუსული ლიტერატურა, აღმოცენებული მდიდარი ფოლკლორისა და ძველი რუსული დამწერლობის ნიადაგზე. რუსული მწერლობა ევროპის ლიტერატურათა ოჯახში მტკიცედ იმკვიდრებს კანონიერ ადგილს. განმანათლებლურ იდეეს გზას უკაფავენ პეტრე პირველის რეფორმები. რუსეთში თანდათანობით ყალიბდება დიდი ლიტერატურული მიმდინარეობა, რასაც **კლასიციზმი** ეწოდება და რაც მთელ მე-18 საუკუნეს მოიცავს. მწერლები მრავალ სერიოზულ ნაწარმოებებს: ლექსებს, იგავებს, პოემებს, პროზაულ თხზულებებს ქმნიან. ტრედიაკოვსკის პოემა **„ტელემაქიადაში"** თავს ესხმის ტირანებს.

ეჭვგარეშეა, ქართველი ემიგრანტები რუსულ ლიტერატურას ევროპულთან ერთად, როგორც მაცოცხლებელ წყაროს, ისე ეწაფებოდნენ. პოეტის ძმას ბერ ქრისტეფორე გურამიშვილს განსაკუთრებული მნიშვნელობა მიუცია თეოფანე პროკოპოვიჩის **„სახელმძღვანელო ბავშვებისათვის"** და ქართულ ენაზე აუჟღერებია იგი.

ელგუჯა მაღრაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეგრისის სამეფო და ქართული სახელმწიფოებრიობა

(გთავაზობთ ნაწყვეტს ბატონ ანზორ შონიას წიგნიდან)



ლეონტი მროველის ეპოქაში საქართველო ერთიანი იყო, რაც მას აძლევდა მორალურ უფლებას ქართველი ხალხისთვის ერთი წინაპარი მიეჩინა, ქართლოსი იქნებოდა ეს, ჰეროსი თუ ეგროსი; მით უმეტეს, მას არავინ შეედავებოდა კავკასიის ხალხებს რვა ეთნარქი ეყოლებოდა, თუ ექვსი. არადა, ეს რომ ასე არ გაკეთდა, ამით სათავე დაედო აღმოსავლეთ-დასავლეთის ქართველების ერთმანეთისგან გამიჯვნას, ერთმანეთზე არასწორი შეხედულების ჩამოყალიბებას, კუთხური ცნობიერების დამკვიდრებას, რამაც ამდენად და გაახანგრძლივა ერთიანი ერის ჩამოყალიბების პროცესი და უაღრესად უარყოფითი როლი შეასრულა საქართველოს ისტორიაში.

შესაძლებელია, მროველს ეს შეგნებულად არ ჰქონდეს ჩადენილი, – ეტყობა, ის მართლაც დარწმუნებულია, რომ ქართველები, მეგრელები და ჰერები სხვადასხვა ხალხებია. ის ქართლოსს მიიჩნევს ქართველთა ეთნარქად და როდესაც ჩამოთვლის კავკასიის ხალხებს, ქართველებს ასახელებს ისევე, როგორც მეგრელებს, ჰერებს და სხვებს. ამდენად, მას ქართველი და **"ქართლელი"** იდენტურ ცნებებად მიაჩნია, ფაქტობრივად, ქართველად მხოლოდ ქართლელს მიიჩნევს, რაც აშკარა შეცდომად მიმაჩნია.

სამწუხაროდ, ბევრი დღესაც ასე ფიქრობს, მიუხედავად იმისა, რომ **"ქართველი"** ზოგადეროვნული ცნებაა და მის ქვეშ მოიაზრება ნებისმიერი ქართული კუთხის მკვიდრი ისევე, როგორც ქართლელი; მეგრელს იმდენად მიიჩნევენ **"ქართველად"**, რამდენადაც ის **"გაქართლელდა"**.

ის რომ, ეგრესიც და ჰეროსიც აღიარებულ იქნენ ქართველთა ეთნარქებად, ისევე, როგორც ქართლოსი. ეს, ეტყობა, მოხდა ერთიანი საქართველოს ეპოქაში, როდესაც ქართლელები, მეგრელები და ჰერები ერთად იყვნენ და დიდ როლს თამაშობდნენ საქართველოს სინამდვილეში.

ჩემთვის უცნობია იმ მოღვაწის ვინაობა, ვისაც ეს გენიალური იდეა ეკუთვნის, მაგრამ ვთვლი, რომ ეს იყო უდიდესი პიროვნება, დიდი ერისკაცი, რომლის დამსახურებაც ერის წინაშე განუზომელია. სწორედ მისი დამსახურება, რომ აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოს მკვიდრები მოიაზრებიან ერთი ჯიშის, ერთი მრწამსის ჭეშმარიტ ქართველებად.

მართალია, მროველს მეგრელები ქართველებად არ მიაჩნია, მაგრამ მან შესანიშნავად იცის, რომ დასავლეთ საქართველოს ერთიანი ეგრისის სამეფოს ძირითადი მკვიდრები მეგრელები არიან; მიუხედავად იმისა, რომ ეგრისის სხვადასხვა საერისთავოებში მცხოვრები მეგრელები სხვადასხვაგვარად იწოდებოდნენ (ლაზიკაში მცხოვრები მეგრელები იწოდებოდნენ ლაზებად, აფხაზეთში მცხოვრები მეგრელები – აფხაზებად, მარგვეთში მცხოვრები – მარგველებად), რადგანაც ისინი ყველანი მეგრელებად მიაჩნია, დასავლეთ საქართველოს მკვიდრების ეთნარქად მროველმა ეგროსი დაასახელა.

აღსანიშნავია, რომ მროველის მოღვაწეობის ეპოქაში (XIსაუკ.) ეგრისის სამეფოს სათავეში აფხაზური დინასტია იყო, რის გამოც მას აფხაზთა მეფედ მოიხსენიებდნენ, ხოლო მეგრელებს აფხაზებად. ხშირად ერთიან საქართველოს სამეფოს აფხაზთა სამეფოდ მოიხსენიებდნენ და ქართველებს აფხაზებად; მაშასადამე, ის დარწმუნებული რომ არ ყოფილიყო აფხაზების მეგრელობაში, მას მორალური უფლება არ ექნებოდა, მით უმეტეს, არც აფხაზები დაუშვებდნენ, დასავლეთ საქართველოს ერთიანი ეგრისის სამეფოს მოსახლეობად მეგრელები დაესახელებინა და ეთნარქად ეგროსი მიეჩინა... ყოველ შემთხვევაში, ყველა ერი ცდილობს თავისი ეთნოსის დადგენას, ამასთან, ყველა მოღვაწე მოწოდებულია ერის წარმომავლობის გარკვევისას ერის ღირსება წარმოაჩინოს, მით უმეტეს, როდესაც საამისოდ რეალური საფუძველი არსებობს. ალბათ, ქართველი ერის წარმომავლობის მროველისეული ისტორია ის გამონაკლისია, რომელიც აშკარად უარყოფით ასპექტში წარმოგვიდგენს ქართლის შორეულ წარსულს და შეურაცხყოფს ქართლელების ღირსეულ წინაპრებს.

მიუხედავად ამისა. საქართველოში გამოჩნდნენ მეცნიერები (გ. ყორანაშვილი, რ. ბარამიძე, გ. ქავთარია და სხვები), რომლებიც უნდობლობას უცხადებენ ბერძენ სწავლულებს, უარყოფენ მათ მიერ კოლხეთზე დატოვებულ წყაროებს, კატეგორიულად მიუღებლად მიიჩნევენ მათზე დაყრდნობით ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორიის დაწყებას კოლხეთის ეპოქიდან და დაბეჯითებით გვთავაზობენ ქართული სახელმწიფოებრიობის ქრონოლოგიის დაწყებას ლეონტი მროველის მიერ ქართლში არსებული სინამდვილის შემზარავად აღწერილი ეპოქიდან (ძვ. წ. IV საუკ.), რომელსაც უშუალოდ მოსდევს ფარნავაზის მეფობის ხანა (ძვ. წ.აღ. III საუკ.).

გაკვირვებას იწვევს მათი ნდობა ლეონტი მროველისადმი, რომელმაც ასე ამაზრზენად აღწერა იმ ეპოქის ქართლის სინამდვილე და ქართლელები თითქმის 15 საუკუნის გასვლის შემდეგ, თუმცა თითქმის გამორიცხულია, რომ ის რაიმე ისტორიული წყაროთი შეზღუდული ყოფილიყო, რომელიც აიძულებდა ისეთი დიდი შეურაცხყოფა მიეყენებინა ჩვენი ღირსეული წინაპრებისათვის მაშინ, როდესაც მორალური უფლება ჰქონდა ღირსეულად წარმოედგინა ქართლის წარსულიც და ქართლელებიც.

ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორიის საწყისად კოლხეთის სამეფოს ეპოქის აღიარების საწინააღმდეგო არგუმენტად მავანნი იყენებენ იმას, თითქოს კოლხეთზე არსებული წყაროები არ იძლევიან საშუალებას დადგინდეს კოლხეთის საზღვრები, არ შეიცავენ ერთიანი საქართველოს ცნებას და არ აღწერენ, რა სახელმწიფო სტრუქტურა იყო, ხოლო მროველისეული **"ქართლის ცხოვრება"** თითქოს ამკვიდრებდეს ერთიანი საქართველოს ცნებას და დადგენილი იყოს ფარნავაზის მიერ ჩამოყალიბებული სამეფოს სახელმწიფოებრივი წყობა.

კოლხეთის სამეფოს მცნებაში მოიაზრებოდა თუ არა მთელი საქართველო, ეს სხვა საკითხია, მაგრამ ერთ-ერთი დადებითი, რაც **"ქართლის ცხოვრების"** პირველ ნაწილშია, ეს არის საქართველოს პირველი გაერთიანების აღწერა.

მართალია, ეს მოვლენა არც ერთი უცხოური და ადგილობრივი წყაროთი გამაგრებული არ არის, არც შემდგომი ისტორიული მოვლენებით დასტურდება და აშკარად ლეგენდის ასოციაციას იწვევს, მაგრამ მისმა აღწერამ დიდი როლი შეასრულა საქართველოს ისტორიაში, ჩვენი ქვეყნის გაერთიანებასა და ერთიანი ქართველი ერის ჩამოყალიბებაში.

ერთგვარ გაუგებრობას იწვევს ის, რომ პიროვნებამ, რომელმაც ასე შემზარავად აღწერა ძველი წელთაღრიცხვის IV საუკუნის ქართლის სინამდვილე, დაახლოებით იმავე ეპოქაში ეროვნული მნიშვნელობის ესოდენ ღირშესანიშნავი მოვლენა ასახა.

ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ მართლაც იყო ეს მოვლენა და არსებობდა რეალური წყარო, რომელმაც აიძულა მროველი იგი აღეწერა, ან **"ქართლის ცხოვრებაში"** ის სხვა მემატიანეების მიერ არის შეტანილი.

რაც შეეხება ფარნავაზისდროინდელი ქართული სახელმწიფოს ორგანიზაციულ მოწყობას, ნაკლებად სარწმუნოა, რომ ის რეალობას ასახავდეს.

ძნელი დასაჯერებელია, რომ ძველი წელთაღრიცხვის IV საუკუნის მიწურულს ისეთი საშინელი მდგომარეობა ყოფილიყო ქართლში, როგორც ამას აღწერს მროველი, და ფარნავაზს შეძლებოდა თითქმის კლასიკური ტიპის სახელმწიფო აეშენებინა.

მართლაც, ნაწილი ქართველი მეცნიერებისა ვარაუდობს, რომ ლეონტი მროველმა ხელოვნურად გადაიტანა ფარნავაზის ეპოქაში ის სიტუაცია, როგორიც იყო შექმნილი საქართველოში XI-XII საუკუნეებში, რაზეც მეტყველებს ის, რომ ფარნავაზის მიერ დაფუძნებული საერისთავოებიდან ძველი წელთაღრიცხვის ეპოქაში არც ერთი არ მოიხსენიება; ისინი რეალურად წარმოჩინდნენ ახალი წელთაღრიცხვის ეპოქაში და არსებობდნენ ერთიანი საქართველოს ხანაში, როდესაც შეიქმნა **"ქართლის ცხოვრება"**.

მეტიც, არათუ ლეონტი მროველის მიერ ფარნავაზის ეპოქაში ჩამოთვლილი საერისთავოები არ არსებობდა ძველი წელთაღრიცხვის ეპოქაში, არამედ მის მიერ ბიბლიურ ლეგენდაში ჩამოთვლილი კავკასიის ქვეყნებიდან უმეტესობა უცხოურ წყაროებში საერთოდ ნახსენები არ არის.

ცნობილია, რომ ძველი წელთაღრიცხვის IV საუკუნეში იბერიის სამეფოს პარალელურად კასპიის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა ალბანეთის სამეფო, რომლის დასავლეთი რეგიონი იყო ჰერეთი. მროველი კავკასიაში მცხოვრებ ხალხებში ასახელებს ჰერებს და არა ალბანებს, რაც იმაზე მეტყველებს, რომ **"ქართლის ცხოვრება"** შექმნილია იმ ეპოქაში, როდესაც ალბანეთის სამეფო არ არსებობს და ჰერეთი უკვე საქართველოს შემადგენლობაშია; მაგრამ რა დროს ალბანეთზეა ლაპარაკი, როდესაც **"ქართლის ცხოვრებაში"** საერთოდ არ არის ნახსენები არც **"იბერია"** და არც **"კოლხეთი"**. შეუძლებელია, ლეონტი მროველს არ სცოდნოდა **"იბერია"** და **"კოლხეთი"**, მით უმეტეს, ძნელი ასახსნელია, თუ რატომ არიდებს თავს მათ ხსენებას.

დადგენილია, რომ ძველი წელთაღრიცხვის VI საუკუნიდან კოლხეთის სამეფოს ეწოდა ისევ ეგრისის სამეფო, IV-V საუკუნეებში – ლაზიკის (ეგრისის) სამეფო, ხოლო VIII-IX საუკუნეებში – ეგრის-აფხაზეთის სამეფო და შეიძლებოდა მროველს მართლაც არ სცოდნოდა კოლხეთი, მაგრამ აღმოსავლეთ საქართველოს, ძველი წელთაღრიცხვის IV საუკუნიდან, იბერიის სამეფოს დაარსების შემდეგ, თითქმის ერთიან საქართველოს ეპოქამდე (XI ს.), იბერია ერქვა და გაუგებარია, რატომ უგულვებელჰყოფს მროველი აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიულ სახელ **"იბერიას"** და მას მხოლოდ ქართლად მოიხსენიებს, როდესაც არც ერთ უცხოურ წყაროში ქართლი ნახსენები არ არის. მეტიც, ტაოს კურაპალატს, დავით III-ს ბერძნები იბერების კურაპალატს უწოდებდნენ X საუკუნის ბოლოსაც კი.

რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ტერმინი **"ქართლი"** ისტორიულ წყაროებში მოიხსენიება ერთიანი საქართველოს დაშლის შემდეგ, დაახლოებით XV საუკუნიდან, რაც გვაფიქრებინებს, რომ **"ქართლის ცხოვრება"** შექმნილია ან ამის შემდეგ, ან მროველი გარკვეული მიზნით არიდებს თავს **"იბერიის"** ხსენებას, რასაც ჩვენი წინაპრებისადმი უპატივცემულობად აღვიქვამ: თავიანთ სამშობლოს მათ დაარქვეს **"იბერია"** და ჩვენც ვალდებული ვართ, აღმოსავლეთ საქართველოს იბერიად მოვიხსენიებდეთ, როდესაც ვეხებით ეპოქას ძველი წელთაღრიცხვის IV საუკუნიდან XI საუკუნემდე. თუმცა შეიძლება ტერმინების **"იბერიის"** და **"კოლხეთის"** ქართლის ცხოვრებიდან ამოშანთვა ლეონტი მროველის **"დამსახურება"** სულაც არ იყოს: როგორც ცნობილია, **"ქართლის ცხოვრების"** ლეონტისეული ტექსტი მიკვლეული არ არის, უძველესი ნაპოვნი ტექსტი კი სომხურია, რომელიც, თითქოს ქართულიდანაა ნათარგმნი, თუმცა მისი პროსომხური ხასიათი, ვფიქრობ, ამ მოსაზრებას საეჭვოს ხდის.

ეს ფრიად სადავო საკითხია, მაგრამ ფაქტია, რომ სომხები საქართველოს **"ვრასტანს"** ეძახდნენ, ხოლო ქართველს **"ვირქს"**. მიუხედავად იმისა, ჩვენი ქვეყანა **"იბერიად"** იწოდებოდა თუ **"საქართველოდ"**.

ასევე, დასავლეთ საქართველოს სომხები ყოველთვის მოიხსენიებდნენ **"ეგრისად"**, ხოლო მის მკვიდრ მოსახლეობას **"ეგრებად"**, მიუხედავად იმისა, მას ეწოდებოდა კოლხეთი, ეგრისი, ლაზიკა თუ აფხაზეთი.

ამდენად, **"იბერიის"** მაგივრად ტერმინ **"ქართლის"** ხმარება ადილი შესაძლებელია მთარგმნელის დამსახურება იყოს; მით უმეტეს, თუ ეს მოხდა ერთიანი საქართველოს ისევ დაშლის შემდეგ, როდესაც ტერმინი **"ქართლი"** უკვე დამკვიდრებული იყო, ხოლო **"იბერია"** – დავიწყებული.

როგორც დიდი ილია, ივანე ჯავახიშვილი და სხვა მეცნიერები თვლიდნენ, **"ქართლის ცხოვრება"** არ არის ის ისტორიული დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იყო საქართველოს სრულყოფილი და ობიექტური ისტორიის შედგენა; სათანადოდ, ვფიქრობ, არასწორია ზოგიერთი მეცნიერის კატეგორიული მოთხოვნა, ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორიის საწყისის დადგენა განხორციელდეს მხოლოდ **"ქართლის ცხოვრების"** მიხედვით და უგულვებელვყოთ გაცილებით ძველი ეპოქის უცხოური წყაროები კოლხეთსა და კოლხებზე, რაც ფაქტობრივად საქართველოს უძველეს წარსულზე უარის თქმას ნიშნავს.

რამდენად ობიექტურად ასახავს ისტორიულ მოვლენებს და რამდენად ზუსტია ქრონოლოგიურად **"ქართლის ცხოვრება"**, ეს სხვა საკითხია, მაგრამ ქართველი ხალხის წარმომავლობაზე, მის ეთნიკურ შემადგენლობაზე, ფაქტობრივად ერთადერთ წყაროდ მაინც ლეონტი მროველის ლეგენდა დარჩა.

მართალია, თითქოს არავის სჯერა თარგამოსის და მისი შვილების რეალობის და არც კავკასიის ხალხების ეთნიკური ნათესაობისა, მაგრამ მროველის კონცეფცია ქართლელების აღრეულ წარმომავლობასა და ქართველების ტომის სხვადასხვაობაზე, ეტყობა, ქართველმა მეცნიერებმა იმდენად გაითავისეს, რომ ეჭვქვეშ არც კი დაუყენებიათ; მეტიც, ისინი აკადემიურად დააკანონეს კიდევაც.

ყოველ შემთხვევაში, ქართველი მეცნიერები იმდენად არიან **"ქართლის ცხოვრების"** გავლენის ქვეშ, რომ მათ უმრავლესობას აზრადაც არ მოსვლია ევარაუდა აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოს ერთიანობა და ქართველებში საერთო ეთნოსის დომინანტის არსებობა მაშინ, როდესაც ამის სრული მორალური უფლება აქვთ, ვინაიდან არსებული წყაროები გაცილებით მეტ საფუძველს იძლევა, რომ ამ ვერსიას მიეცეს უპირატესობა. მით უმეტეს, ზოგადქართული სახელმწიფოებრიობის ისტორიის საწყისად კოლხეთის ეპოქის აღიარებამ ეს მოსაზრება უფრო რეალური გახადა.

ქართველი მეცნიერების უმრავლესობა ვარაუდობს, რომ კოლხეთის (ეგრისის) და იბერიის (ქართლის) სამეფოები ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი სამეფოები იყვნენ, ხოლო იბერები (ქართლელები) და კოლხები (მეგრელები) – სხვადასხვა ეთნოსის ხალხები, მაგრამ, ჩემი ღრმა რწმენით, კოლხეთის სამეფოს მცნებაში მოიაზრებოდა მთელი საქართველო, რომელსაც შემდგომში გამოეყო იბერიის (ქართლის) სამეფო, ხოლო კოლხები (მეგრელები) და იბერები (ქართლელები) ერთი ხალხის განაყოფები არიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივანე ჯავახიშვილი — ქართველ ერის ისტორია

აღნიშნულ წიგნში დიდი ქართველი მეცნიერისა და მამულიშვილის, სულმნათი მეცნიერის ივანე ჯავახიშვილის მიერ მეტად საინტერესო მოსაზრებებია მოყვანილი მეგრული, სვანური და ლაზური ფენომენის თაობაზე. მკითხველს ვაუწყებთ, რომ პუბლიკაციაში შენარჩუნებულია ავტორისეული ლექსიკა.

ამ უდავოდ საინტერესო და დღემდე უცნობ ნაშრომს ვთავაზობთ გაზეთ "ილორის" მკითხველს.

პირიქით, შედარებითი ენათ-მეცნიერება ამტკიცებს, რომ მადნების სახელები სხვა ერებს ქართველ ტომებისაგან შეუთვისებიათ. თვით ცნობილი ენათმეცნიერი ო. შრადერი ამ გარემოებას ყურადღებას აქცევს. ევროპიული ბრინჯაოს სახელი **Bronze** წარმომდგარია სპარსული **"ბირინჯ"**-ისაგან, ხოლო სპარსულში ეს სიტყვა შეთვისებულია ქართულ ენა-კილოკავების საზოგადო სახელისაგან სპილენძი, სვანურად – სპილენძ, მეგრულად – ლინჯ, სომხურად – პლინძ, რაც უდრის **"სპილ-ენძ"**-ს სპირ ენძს, და სპერის, ანუ ისპირის მადანსა ნიშნავს. (ეს ახსნა ნიკო მარს ეკუთვნის).

ბერძნების მწერლებიც ერთხმად აღიარებენ, რომ საუკეთესო სპილენძის ნივთები სწორედ ამ ქვეყნიდან გამოჰქონდათო. თვით ელადაში ხომ სპილენძი ცოტა იყო და უფრო აზიიდან შემოტანილ მადნით მიდიოდნენ იოლას. თითბრის სახელებიკი ზოგიერთ ევროპიულ ენებში – მაგალითად გერმანულად **messinc**, ანგლოსაქსურად **masting**, ძველნორმანულად **messing**, პოლონურად **mosiandz** ჰქვიან, – მოსსკნე, ანუ მოსსინიკის ტომის სახელისაგან არის წარმომდგარი. სწორედ ეს მოსსინიკები იყვნენ თითბრის ხელობაში განთქმული. ამ მადნის მეორე სახელიც **"თითბერი"** ნამდვილი ქართულია და ნიშნავს **"თუთ-ფერი"**, ე.ი. მთვარის (მეგრ. თუთა, ქართულად თთუც) ფერის მადანს.

რკინის, განსაკუთრებით ფოლადის მომზადებაც ბერძნებს, როგორც ეტყობა, პირველად ქართველ ტომებისაგან შეუსწავლიათ. ეს ფოლადის ბერძნულ სახელიდანა სჩანს: **"ხალიფს, ხალიბდიკოს"** ხალიბების ტომის სახელწოდებიდან არის წარმომდგარი და ხალიბურსა ნიშნავს. მართლაც ხალიბების გაკეთებული რკინის ნივთები ძალიან განთქმული იყო.

ერთი სიტყვით უმთავრესი და კაცობრიობის წარმატებისათვის აუცილებლად საჭირო მადნების სახელები ან ქართველ ტომებისაგან არის შეთვისებული, ან არა და მათ სატომო სახელწოდებისაგან არის წარმომდგარი. ამით ცხადადა მტკიცდება, რომ ქართველ ტომებს მადნეულობის შემუშავებაში კაცობრიობის წინაშე საპატიო ღვაწლი მიუძღვით.

კიმმერიელთა და სხვა ინდო-გერმანულ მოდგმის ტომების შემოსევამ ქართველი ტომები, როგორც ამ თხზულების პირველ თავში გამორკვეული იყო, ჩრდილოეთისაკენ წასწია და შავი ზღვის სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთის ნაპირებზე მოამწყვდია. ამ დროინდელ საზოგადოებრივ ყოფა-ცხოვრებისა და ვითარების წარმოდგენა უფრო ადვილია, იმიტომ, რომ ბერძნების მწერლებმა, განსაკუთრებით კი ქსენოფონტემ, ძვირფასი და ვრცელი ცნობები შეგვინახა ამ ქართველ ტომების შესახებ. რასაკვირველია ამ ხანის ცნობებიც უნაკლულო არ არის: ზოგიერთ ტომების შესახებ მასალები უკვე მეოთხე საუკუნედან მოყოლებული (ქრ.წ.) მოიპოვება, ზოგის შესახებ-კი, როგორც მაგალითად ამიერ-კავკასიაზე, მხოლოდ პირველ საუკუნიდან (ქრ.წ.) მოყოლებული. ამის გამო ქართველ ტომების საზოგადო და ერთდროულ ყოფა-ცხოვრების სურათის დახატვა შეუძლებელია. ამიტომ მკვლევარი იძულებულია ნაწილ-ნაწილ შეუდგეს აღწერას.

იმ ქართველ ტომების მიწა-წყალი, რომელნიც შავი ზღვის სამხრეთითა ცხოვრობდნენ, ბუნებრივ თვისებების მიხედვით ორ ნაწილად იყოფებოდა: ერთი ზღვის ნაპირი იყო, მეორე კიდევ მთა ადგილები. ზღვის ნაპირი სტრაბონის სიტყვით მეტის მეტად ვიწრო იყო: ზღვას თითქმის ზედ დაჰყურებს მაღალი მადანის მაღაროებით სავსე და ტყით დაბურული მთები, სახნავი მიწა კი ძალიან ცოტაა. ქსენოფონტეს თქმით მოსინიკების ადგილებიც მეტის-მეტი მთიანი, ღრმა თვალუწვდენელ ხეობებით დაღარული ქვეყანა იყო (**anab. lib.** V, **cap**. 4,1). მხოლოდ ტიბარენების მიწა-წყალი შედარებით უფრო ვაკე ადგილს წარმოადგენდა (**ib. lib.** V, **cap**. 5,2). მეორე ნაწილი მთლად მაღალ, თითქმის მიუვალ უდელტეხილით იყო მოფენილი: ზოგან ისეთ დაბურულ ტყით მოცული, რომ ადამიანი ძლივს ძლიობით გაივლიდა ხოლმე, ზოგან კიდევ სავსებით მოტიტვლებული, მწირი ნიადაგის მეტი არა მოიპოვებოდა-რა. თანაც უფსკრულსავით ღრმა ხეობებით და გიჟმაჟ მდინარეებითა და წყლებით დაფარული იყო (**Strabo, Georg. Lid.** XII, **cap.** III, 19 და 28). ქსენოფონტე მოგვითხრობს, ტაოხები ანუ ტაოელნი მეტად მაგარ, თითქმის მიუვალ ადგილას ცხოვრობდნენო. სადაც ისინი შიშიანობის დროს შეიხიზნებოდნენ ხოლმე გარშემო მდინარე დიოდა, ახლო-მახლო ადგილები-კი მაღალ ტყით იყო დაბურული. (**idib. Lib.** IV, **cap.** 7). მაკრონებისა და შკვითინების, ანუ შვიდსოფლელთა შუა მდებარე ადგილიც თითქმის მიუვალ ხღუდესა ჰგავდა. ძირს წყალი დიოდა და მდინარეს ორთავე ნაპირას ხშირი ტყე უდარაჯებდა (**ib. Lib.** IV, **cap.** 8,2).

რასაკვირველია ისინი, ვინც ზღვის ნაპირას ცხოვრობდნენ, უკეთესს მდგომარეობაში უნდა ყოფილიყვნენ. აქ ხალხი თევზს იჭერდა, ნაჭერ-ნაჭრადა სჭრიდა და ამარილებდა, თევზის ქონს-კი ყველაფერში ბლომადა ხმარობდნენ ხოლმე. **Strado. Deorg. Lid.** XII, **cap.** III. 19. ქსენოფონტეს უკვე IV საუკუნეში ქრ.წ. მოსინიკების სახლებში დიდ ქილებში ჩადებული, დაჭრილი და დამარილებული დელფინების (ზღვის ღორის) ხორცი დახვდა; დოქებში კიდევ დელფინის ქონი იყო შენახული, რომელსაც მცხოვრებნი ერბოს მაგივრად ხმარობდნენ. (**anab. lib.** V, **cap.** 4, 28). თუმცა სახნავი მიწა სამყოფი არა ჰქონიათ, იმიტომ რომ ვაკე ადგილი ძალიან ცოტა იყო, მაგრამ რა-კი იქ ნიადაგი ნაყოფიერი და ღონიერია, ქსენოფონტეს და მის ამხანაგებს სახლებში დიდძალი განიავებული პური დახვდათ, რომელიც მოსინიკების სიტყვით შარშანდელი გამოსავლისა ყოფილა, და ახალი ჯერ კიდევ გაულეწავი პური სდგმიათ (**ib, lib.** V, **cap,** 4, 27). კოლხების სოფლებში ბერძნების კარის კაცებმა დიდძალი სურსათი იპოვნეს და აუარებელი ფუტკრის სკები ნახეს (**ib, lib.** IV, **cap** VIII, 19-20). ერთი სიტყვით აქ ხალხი ძალიან მისდევდა მიწის-მოქმედებას და კარგი მოსავალიც ჰქონდა, მაგრამ მცხოვრებნი ბევრი იყვნენ და პური სამყოფი ყველგან არა ჰქონდათ: კაკლითა და წაბლით ივსებდნენ დანაკლისს. ახლო-მახლო მთები სავსე იყო ხოლმე ამ ხეებით. ქსენოფონტე მოგვითხრობს, რომ მოსსინიკები წაბლს განსაკუთრებით ან მოხარშულსა სჭამენ, ან არა და პურად გამომცხვარსაო. (**ib, lib.** IV, **cap** 4, 29 და 32). მიწის მოქმედების გარდა აქ ღვინის დაყენებასაც მისდევდნენ. აქაური ღვინო, (ქსენოფონტეს სიტყვით, უწყლოდ მეტად ცხარე იყო და გემოთი მწკლარტე, წყალ-ნარევი კი სურნელოვანი სა სასიამოვნო სასმელიო. (**ib, lib.** V, **cap** VIII, 4-29). ჯერ ჰეროდოტეს დროსვე შავი ზღვის ნაპირი, სახელდობრ მაშინდელი კოლხიდა, თავის სელის ქსოვილებით იყო განთქმული. ელინები ამ ქსოვილებს სარდიონის ტილოებს ეძახდნენ. (II. 105).

ყველა ეს ადგილები მრავალ საუკუნოების შემდეგ, ეხლაც-კი წინანდებურად იმავე ჭირნახულითა და მოსავლით არის განთქმული, რომელიც იქ თავის დროს ქსენოფონტემა და სტრაბონმა ნახეს. ინგლისის კონსული ბ. ჯიფფორდი წარსულ საუკუნის მე-70-ე წლებში ამბობდა, რომ ტრაპიზონის ოლქიდან ქალაქ ტრაპიზონს უცხოეთში გამოსატანად შემოაქვთ: სელი, რომელიც საუკეთესო ღირსებისაა, განსაკუთრებით რიზედან მოდის, ხოლო უფრო მდარე ტირებოლისა და ფიტსიდანა (იხ. მისი ანგარიში, Запис. Кавказск. отю Геогр. Общ. VII, გვ. 27), დელფინების ქონი (**ib,** გვ. 29); მთელ ტრაპიზონის ოლქის ზღვის პირას ბევრი დელფინებია სათევზაოდ, ამიტომ აქედან თევზის ქონი ბლომად გამოაქვთ (**ib**. 48) და იქაური მცხოვრებნი მეთევზეობით ირჩენდნენ თავსაო. (**ib,** 47, 53, 60, 61). ამის გარდა ბოლოს დროს ამ ადგილებიდან პური, ნიგოზი, ღვინო და ფიჭაც გამოაქვთ ხოლმე. (**ib**. 28, 29).

რასაკვირველია მთა ადგილებში მობინადრე ქართველი ტომები უფრო ცუდს მდგომარეობაში იქნებოდნენ: ბუნება, ცხადია, მათ ისე ხელს არ შეუწყობდა, როგორც ბარის მცხოვრებლებს, პირიქით, ბევრიგად დააბრკოლებდა კიდეც: მწირი მიწა, მკაცრი ჰავა მთა ადგილას, საჭირო სახნავ მიწების უქონლობა, აბა რა ხეირს დააყრიდა ადამიანს! ამის გამო აქ კაცი ბუნების ყურმოჭრილი ყმა უნდა გამხდარიყო და იმისთვისაც მადლობა უნდა ეთქვა, რასაც მას თვით ბუნება უწყალობებდა. მიყრუებულ და ყველაფერზე მოწყვეტილ მაღალ მთიან ადგილებში ხალხი სტრაბონის სიტყვით **"ნადირის ხორცითა და ნიგვზით იკვებებოდა"** (**Georg. Lib.** XII, **cap** III, 18). მაშასადამე მენადირეობას მისდევდა და ტყის ხილეულობით ირჩენდა თავსა. დროგამოშვებით კიდევ მთებიდან დაეშვებოდნენ, მგზავრებს სცარცვავდნენ ხოლმე (**ib**) და ამით ივსებდნენ თავის დანაკლისს; ასე იქცეოდნენ, მაგალითად, შვიდსოფლელები, ანუ ჰეკტაკომელები. მთა ადგილების მცხოვრებ ტომებს არრიანის და პროკოპი კესარიელის სიტყვით ბიზანტიის სამფლობელოს მიწების ცარცვა-გლეჯვის შემდეგ დროსაც, მაგ. მე-IV საუკ. ქრ. წ. ხელი ბადა ჰქონდათ. რაკი კეისარმა იცოდა, რომ მათ მეტად უნაყოფო და მშიერი მიწები ეჭირათ, ამიტომ, ყოველ-წლიურად შესაწევარს ოქროს უგზავნიდა ხოლმე, ეგებ ამან მაინც ყაჩაღობა დააშლევინოს და ჩემს სამფლობელოს თავი დაანებონო, მაგრამ ამაოდ (დესტუნის თარგმანი **История войнъ** I, 15, გვ. 193). დანარჩენს, უფრო ნაყოფიერ ადგილებში მცხოვრებნი მიწის მოქმედების გარდა საქონლის მოშენებასაც ძალიან მისდევდნენ. ქსენოფონტეს, მაგალითად, ტაოხების ქვეყანაში ბევრი ხარი, ცხვარი და ვირი დახვდა (**Anab. Lib.** IV, **cap.** 7, 14). დრილების ქვეყანაში კიდევ მრავალი ცხვარი, ღორი და ხარი (**ıb. Lib.** V, **cap.** 2, 3, 4). ერთი სიტყვით მეოთხე საუკუნეშიაც ქართველ ტომებს ყველა სახის შინაური საქონელი ჰყავდათ – ცხენები, ხარები, ცხვრები, ღორი და ვირი.

მაგრამ ბევრი ისეთი ადგილიც მოიპოვებოდა, სადაც არც ხეირიანი სახნავი მიწები იყო, არც ბუნება უწყობდა ხელსა ადამიანს; იქ კაცი კვლავინდებურად მადნეულობის შემუშავებას მისდევდა და სხვა-და-სხვა ჭურჭელსა და იარაღს აკეთებდა და ასხამდა ხოლმე. ქსენოფონტე მოგვითხრობს, ხალიბთა უმეტესი ნაწილი რკინის მადნის შემუშავებით ირჩენს თავსო (**ıb. Lib.** V, **cap.** 5, 1). სამი-ოთხი საუკუნის შემდეგ სტრაბონი ამბობდა, წინად ხალიბები ვერცხლის მაღაროებსაც ამუშავებდნენ, ჩემ დროს კი აღარაო (**Georg. Lib.** XII, **cap.** III, 19) მადნეულობასა და იარაღის გაკეთებით ხალიბები ძალიან იყვნენ განთქმულნი და მათი ნამუშევარი ძალიან ფასობდა კიდეც. ყალბი არისტოტელი ამტკიცებს, ხალიბური რკინა მეტად კარგი იმიტომ იყო, რომ რკინის გაკეთება მათ როგორღაც სხვანაირად იცოდნენო (**Латышевь. Известия** I, 380). მოსინიკების თითბერს, იმავე ბერძენი მეცნიერების თქმით, ლაპლაპი გაჰქონდა და მეტის-მეტად თეთრი ყოფილა თურმე. მოსინიკები სპილენძს ტყვიას კი არ ურევენ, არამედ ერთგვარ იქაურ მიწას, რომელსაც სპილენძთან ერთად ადნობენ ხოლმე... მოსინიკების ძველი ჭურჭელი საუკეთესო იყო, ეხლანდელი-კი ისე კარგი აღარ არისო. (**id.** I, 380).

მეხუთე საუკუნეში ქრ.წ., როგორც ქსენოფონტეს სიტყვებიდანა სჩანს, სოფლები მინდვრებსა და მთის კალთაზე ყოფილა გაშენებული (იხ. ჩემი **Государственный строй др. Грузии и Армении** 48-49) სახლები და სხვა შენობები, კოშკები და ზღუდეებიც კი ხისა უშენებიათ, რასაკვირველია, იმიტომ, რომ იქ ტყე ბლომად იყო, უფრო იაფად ჯდებოდა და მარდადაც შენდებოდა. სახლები ორსართულიანი სცოდნიათ, ზევით სანოვაგესა და სურსათს ინახავდნენ, ძირს კი თვითონ მდგარან.

ქსენოფონტეს დროს (IV საუკ.) ამ ქვეყანაში ქალაქები ძალიან ცოტა ყოფილა; ისიც, რაც ზღვის პირას იდო და აღებ-მიცემობისათვის მნიშვნელობა ჰქონდა ყველა ბერძნების ახალშენებსა სჭერიათ. ქართველ ტომების ქალაქები-კი უფრო ციხეებს ჰგვანდნენ, ვიდრე სავაჭრო და სამრეწველო ცენტრს; ხშირად მუდმივ იქ არც-კი ცხოვრობდა ვინმე; ციხე-ქალაქი მაღალ, მიუვალ გორებსა და კლდეებზე იყო ხოლმე აშენებული და ხშირად გალავნის გარდა სხვა შენობა არა იყო რა; ხალხი თავის ცოლ-შვილითა და ავლა-დიდებით მხოლოდ მაშინ შეიხიზნებოდა ხოლმე იქ, როცა მტრის შიში იყო და განსაცდელისგან თავი უნდა დაეხწია; თუ ციხე-ქალაქს გარშემო მდინარე არ უვლიდა, მაშინ დიდ თხრილს აკეთებდნენ ხოლმე და თხრილის თავზე მარგილები ჰქონდათ ჩარჭობილი და ხის კოშკები იყო დადგმული.

ამ მცხოვრებთა ზნე ჩვეულების შესახებ ცნობები ძალიან ცოტაა შენახული. არც გასაკვირველია: ქსენოფონტეს მხოლოდ იმის აწერა შეეძლო, რასაც თავის მოგზაურობის დროს ნახავდა; ხოლო რას ნახავს ადამიანი ხანმოკლე დაკვირვების დროს? ქსენოფონტე განსაკუთრებით მოსინიკების ქცევას გაუკვირვებია: როცა ისინი მარტოლა იყვნენ ხოლმე თავი ისე ეჭირათ, თითქოს საზოგადოებაში ყოფილიყვნენ: თავიანთთვის მაღლივ ხმივ ლაპარაკობდნენ თურმე, ხარხარებდნენ, ადგებოდნენ და ცეკვას დაიწყებდნენო. (**Anab. Lib.** V, **cap.** 4, 34). მამაკაცებს ზურგისა და წინა ტანის კანი ფერადი წამლებით დახატული ჰქონიათ (**ib. Lib.** V, **cap.** 4-32). ეტყობა ტანისამოსი ძალიან მოკლე ან წამოსასხამის მაგვარი რამ უნდა ჰქონოდათ, თორემ სხეული რომ ტანისამოსით დაფარული ჰქონოდათ მაშინ ტანის მოხატვას რა აზრი ექნებოდა. ქსენოფონტეს სიტყვით მოსინიკები ყველა ტომზე უფრო ველურები ყოფილან. (**ib. Lib.** V, **cap.** 4, 34). მოსინიკებს თურმე დაურიდებლად სქესობრივად შეუღლება სწადდათ იმ როსკიპებთან, რომელნიც ელლინებს თან მიჰყავდათ – ასეთი ზნე ჰქონიათო, დასძენს ბერძენი ისტორიკოსი (**Anab. Lib.** V, **cap.** 4, 33). ეტყობა ამ მოსინიკებს სქესობრივი სირცხვილისა არა სცოდნიათ რა და მართლაც ძალიან ჩამოქვეითებული ყოფილან. ჰეროდოტეს სიტყვით კოლხებსა და მაკრონებს წინდაცვეთა ჩვეულებად ჰქონიათ და მაკრონები ამტკიცებენ თურმე, ვითომც ეს ჩვეულება კოლხებისაგან ესწავლოთ (**Historia** II, 104). ქსენოფონტე არაფერს ამბობს ამის შესახებ; არ ვიცით იმიტომ, რომ მეოთხე საუკუნეში ამ ჩვეულებას აღარ მისდევდნენ, თუ იმიტომ, რომ ქსენოფონტემ ვერ შეამჩნია. შესაძლებელია ეს ძველ ზნის ნაშთი ყოფილიყოს. საყურადღებოა, რომ სტრაბონის სიტყვით წინდაცვეთა კაპადუკიელებსაც ჰქონიათ ადათად (**Kretschmer, Einleitung**). განსაკუთრევით კარგადა აქვს აღწერილი ბერძნების ისტორიკოსს ამ ტომების იარაღი და სამხედრო სამკაული,– ან რა გასაკვირველია: ქსენოფონტეს თუ უნახავს ვინმე, ყველა თავით-ფეხამდე შეიარაღებული იქნებოდა, იმიტომ რომ ყველანი საომრად იყვნენ მომზადებული, როცა-კი !0.000 ბერძნების ჯარი იმათ მიწა-წყალს მიუახლოვდებოდა ხოლმე. ჰეროდოტეს დროს ტიბარენებს, მაკრონებსა და მოსინიკებს თავზე ხის ჩაფხუტები წხურათ, იარაღად კიდევ პატარა შუბებსა და ფარსა ხმარობდნენ ხოლმე. შუბები დიდწვეტიანი იყო (**Hist.** VII, 78 და 79). კოლხებს კიდევ ტყავგადაკრული ფარები და ხანჯლები ჰქონდათ. (**ib.** VII, **cap.** 78)

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვა და სამშობლო

უჩვეულოდ ცხელი გამოდგა წლევანდელი ზაფხული.

დაილია მწველი ივლისი, აგვისტოს მხურვალე მესამედი, მაგრამ წვიმის არც ერთი წვეთი არ გვადირსა ელია წინასწარმეტყველმა, სანატრელი გაგვიხდა აჭარული თავსხმა. თავზარდამცემად დუღს შავი ზღვა, ცეცხლიანი ბორიოსაგან იჭინთებიან სიცხისაგან დათენთილ-დანაოჭებული ფოთლები, ფრენა ეზარებათ და უთავბოლოდ დაეხეტებიან პირდაფჩენილი თოლიები.

უამრავი დამსვენებელი ჩამოსულა ქობულეთში, ამდენი არასოდეს ყოფილანო ეგ დალოცვილები, სიხარულით გვიყვებიან დიასახლისები.

ეს არის, რომ ასე ცოტანი ვართ ქართველები და უჩვეულოდ გვიხარია ერთმანეთის ნახვა. ვინც კი იქ ვართ, – თითქოს შევთანხმდითო, მზის გამოღვიძებამდე ჩავდივართ ზღვის ლივლივა წყალში; ასე უფრო მხნედ ვართ, თანაც ადვილად გამოგვდის ერთმანეთის გაცნობა და ხალისობა. მერე კი, როცა მზე შუბისტარზე წამოდგება და სანაპიროზე გადმოგორდება, ქართველობა და ქართული ხმა თანდათან მინავლდება, ბაბილონის გოდოლის მშენებლებივით ვერ გავუგებთ ერთმანეთის და უცხოტომელთა ჟივილ-ხივილში ვიკარგებით. რას იზამ, ამბობენ, სტუმარი ღვთისაო, მორიგ დილას იმედიანად ვამხნევებთ ერთმანეთს.

ერთ მშვენიერ დღეს, ალიონის უკაცრიელ ზღვაში, ნაპირიდან საკმაოდ განრიდებით წყალში მდგარი მამაკაცი შევნიშნე. იგი მეტად მაღალი, ახოვანი, ტანადი და საკმაოდ მელოტი იყო. უცნობი მეტისმეტად გარუჯული და საბიუსტე ლოდივით იმდენად უძრავი ჩანდა, რომ თავისი მეტსახელიც მიკარნახა, – ბრინჯაოს ქანდაკი წყალში.

არც მეორე დილით მოვაცილე უცნობს თვალი, დიდხანს ყურადღებით ვათვალიერე; გუშინდელივით იმავე ადგილზე იდგა, უძრავი, იდაყვები წყალში ჩაფლული, თავი და სახე გაშშებული; გურია-აჭარის მთებისკენ პირშექცეული იდგა და უჩვეულოდ ხასხასა გორაკებს მიშტერებოდა. უზარმაზარი და უძრავი სხეულის გამო უცნობი ადამიანის მეორე სახელიც მოვიგონე, – მთისკაცი დავარქვი. მოგვიანებით კიდევ უფრო დავაზუსტე მისი, როგორც ახლა მოდაშია, **first name** და ლეჩხუმელი რაინდი ვუწოდე, უფრო მოგვიანებით, – მითებიდან გამოპარული სვანი, ან მისი ღვიძლი ძმა – რაჭველი თუ ხევსური.

ცნობისმოყვარეობამ არ მომასვენა და მორიგ დილას მე და ჩემი მეუღლე ადრე წავედით ზღვაზე, მინდოდა გავცნობოდი ზღვის ქანდაკებას. იგი იქვე იყო, ზუსტად იმავე ადგილზე და ასევე გაქვავებული. დიდხანს ვათვალიერეთ, ბევრჯერ ავუარ-ჩავუარეთ ცურვით, მაგრამ არ შეგვამჩნია – იდგა თავისთვის და დაჟინებით გასცქეროდა შორეთს.

როცა მზემ მთებიდან თოხის ტარით აიწია და სანაპიროს ხეთა კენწეროებს ჩამოეკიდა, შუა ასაკის ლამაზი ქალი, ორი ტანადი ჭაბუკი და პირმშვენიერი გოგონა კიბეებით ჩამოვიდნენ ზღვაზე, ტანსაცმელი მორიდებით გაიხადეს და კაცის შეზლონგთან მოკალათდნენ. ცოტაც და ქალი და ახალგაზრდები მოდური და ძვირად ღირებული საცურაო კოსტიუმებით შეიმოსნენ და ერთმანეთის მიყოლებით წყალში შევიდნენ. შუახნის ქალი, როცა წყალში ფართხალით გული იჯერა, დიდი ქალაქის საცურაო აუზებში ნასწავლი ნატიფი ცურვით ქანდაკს მიუახლოვდა და მის წინ გაჩერდა. ქალი გულმოდგინედ და დიდხანს უყვებოდა ქანდაკს რაღაცაზე, თანაც ისე, როგორც მრავალი წლის წინათ შეყრილ, მაგრამ უასაკოდ შეყვარებულ ცოლ-ქმარს სჩვევიათ ხოლმე. ქანდაკი იდგა ძველებურად, უსმენდა ალბათ.

ასე ხდებოდა ყოველდღე, თანაც, მანამ, სანამ მზე კიდევ სამი თოხის ტარით არ აიწევდა ზენიტისკენ და სანაპიროზე ფეხის დასადგმელი ადგილი დაილეოდა. ამ დროისთვის ქანდაკი ნელა, ტანის შეურხევლად, დაიძვრებოდა თავისი წყლის სადგომიდან, ორ მეტრიანი სხეულითა და წერწეტა ტანით გადააბიჯებდა ქაფშიებივით ერთმანეთზე მიჯრილ მობანავეებს და მასავით უსაშველოდ გრძელი და ფართო პირსახოცით ზურგს შეიმოსავდა. მალევე ახალგაზრდები გამოჰყვებოდნენ ქანდაკს, ბოლოს კი შუა ხნის ქალი სპეტაკი ქალური რიდით, მდიდრული თეძოების ბუნებრივი რხევით და თავშეკავებული ღიმილით ამოდიოდა წყლიდან.

ჩვენ უკვე ეჭვი არ გვეპარებოდა, რომ ეს ერთი ოჯახი იყო, თანაც შეკრული არა მხოლოდ საქორწინო სამართლით და ტრადიციული წესრიგის ხუნდებით, არამედ სხვა რამითაც, სადაც ყველაფერს აქვს თავისი დრო და ადგილი. ისიც შევნიშნე, რომ ქანდაკი ადრე ტოვებდა იქაურობას, მანამ, სანამ შუახნის ქალი სიცილით აშველებდა ხელს გოგონას მის წერწეტ წელზე ვიწროდ გამოყვანილი, მაგრამ ჭიპიდან ტერფამდე ჩახსნილი ქვედატანის მორგებაში. არც მზისთვალებიან ბიჭებს ეტყობოდათ გამოუცდელობა ტიტველი ლამაზმანების თვალთვალში, ხანდახან გოგონაც ააუუჟუნებდა მაყვალა თვალებს. ეს ისე, სხვათაშორის, ხდებოდა, რაც ჩემმა მოდარაჯე მზერამ შენიშნა, თორემ ნახევარ საათში ოჯახი თამარის პროსპექტზე იყო ასული და ზღვის შორეთს გასცქეროდა, მერე ქობულეთის ზღვის გასწვრივ, შორეული ლაზიკასა და აფხაზეთისკენ ერთიანად მიბრუნდებოდა ოჯახი და წინ გაგდებული საჩვენებელი თითის დახმარებით კაცი აზუსტებდა თავის მონაყოლს.

შევეჩვიე იმას, რომ ჩემი უცნობი ნაცნობები აუჩქარებლად გადაჭრიდნენ ქუჩას და უზარმაზარი ხეების ქვეშ იკარგებოდნენ, თუმცა იმასაც მივხვდი, რომ ისინი არსად არ მიდიოდნენ, რადგან მათი შეზლონგი და ამ ოჯახის მიმართ რაღაცით გამორჩეული რიდი და მოკრძალება რჩებოდა ჩემში.

კვირა კვირაა მაინც და დამსვენებელთა უმეტესობა ბათუმის ულამაზესი სანახების დათვალიერებას უთმობდა ამ დღეს, თუმცა მოგვიანებით, მზის ჩასვლისას, მობანავეებით კვლავ გადაიჭედებოდა ხოლმე ზღვის სანაპირო.

იმ კვირას, საღამოს ჩვეულზე ადრე მოვიდა **“ჩვენი”** ქანდაკება. სველ ნაპირზე დინჯად გაიარ-გამოიარა. მოგვიანებით, ჯერ თავი ჩაქინდრა, დაფიქრდა და რკინის მაღალი ღობით შემოკავებული ნაპირისკენ გასწია, რომელიც, როგორც გვითხრეს, ორი თუ სამი წელიწადია, რაც უცხოელს უყიდია. ქანდაკებამ დიდხანს უყურა ინგლისურენოვან ფირნიშს და ღობის იქითა სიცარიელეს, მერე მძიმედ მობრუნდა და უზარმაზარი თურქული სასტუმროს კუთვნილი სანაპიროსკენ გასწია, რომელიც ლითონის სვეტებითა და ლამაზი ორნამენტებით გაწყობილი ფურცლებით იყო გადაკეტილი. ჩემდა გასაოცრად, ქანდაკი მსუბუქად მიეყრდნო ღობეს. წამიც და სასტუმროდან დაცვის მუშაკები გამოცვივდნენ და ანიშნეს, რომ იგი იქაურობას გასცლოდა. კიდევ კარგა ხანი აღმა-დაღმა იხეტიალა ქანდაკებამ, მერე ჩვეულებრივად გაიხადა სპორტული სამოსი და თავის ადგილი დაიკავა ზღვაში. მოგვიანებით სხვებიც დაბრუნდნენ, შეზლონგი გადაწმინდეს, ზედ ხელ-ბარგი დააწყვეს და ძველებურად შევიდნენ წყალში. ქალი, როგორც ადრე, ღიმით და ჩვეული წესით მიცურდა ქანდაკთან. სანაპიროზე ხალხი მომრავლდა, გოგო-ბიჭები შეცვივდნენ წყალში და ქანდაკებაც გაქრა ჩემი თვალსაწიერიდან.

ცოტა ხანში ლამის გაშშდა მთელი სანაპირო; გაცოცხლდა, ამოძრავდა ქანდაკება, დაჭრილი ლომის ტკივილით აბღავლდა, უსაშველოდ გრძელი მკლავები გაშალა და ქალს გაეკიდა, მერე შედგა, უზარმაზარი მუშტი შეკრა და ისე დაიქნია, თითქოს სასიკვდილო განაჩენი გამოგვიტანა ყველას, თვით ყოვლისშემძლეს ჩათვლით. ნაპირისკენ დაიძრა ქანდაკება, წყალში დატოვა შუახნის ქალი.

შეშფოთებული ვაჟები და ქალიშვილი უმალ ამოვიდნენ ნაპირზე და შეზლონგთან დადგნენ. ქალიც ამოვიდა ბორძიკით და ხელები აიფარა სახეზე.

ქანდაკება, ძველებურად, ამაყი და წელში გამართული ამოვიდა წყლიდან და შვილებთან მიდგა.

დედ-მამამ და შვილებმა რაგბის მოთამაშეებივით ერთმანეთში ჩარგეს თავები. მომეჩვენა, რომ კაცი და ქალი შვილების თანდასწრებით არკვევდნენ ურთიერთობას. კაცი ქვებს და ფერად კენჭებს ატრიალებდა ხელში და ცოფიანივით ატრიალებდა თავს. კამათობდა ქალი, ისიც უცნაურად იქნევდა ხელებს, ჩანდა, არაფერს დაუთმობდა ჯერ კიდევ ბიკინის ამარა დარჩენილ ქანდაკებას. ახლა, აქამდე თავჩაქინდრული ბიჭები აბობოქრდნენ, ხმას აუწიეს და რაღაცას უხსნიდნენ ქანდაკებას. ეტყობოდა, დედისკენ მიდგნენ შვილები და უმცირესობაში დარჩა. გაოგნებული გოგონა ტიროდა და სახეზე ხელებს იფარებდა.

აქ თითქოს არაფერიო, დაიხარა, დინჯად აიღო და ტანსაცმლით შეიმოსა კაცი, თანაც ცნობისმოყვარედ აკვირდებოდა გადარეულ ცოლ-შვილს.

თითქოს რაღაც მძიმე ჩაარტყესო, წაბორძიკდა ქანდაკება, იქვე მოგროვილ ცნობისმოყვარეთ თვალი შეავლო და იბღავლა:

– მე სულაც არ მაწუხებს ქვის ეს ნატეხები, მოფხიკოს და წაიღოს ყველამ, ვისაც რამედ უღირს, რა ჰქვია მაგ კენჭებს, ჯანდაბა... პემზაა თუ რა. ახალი არ არის ეს, ათასწლეულები მიჰქონდათ და მიჰქონდა ჩვენგან ყველაფერი სამტროდ თუ სამოყვროდ მოსულებს. ადრეც გვართმევდნენ საუკეთესო მამულებს, ქალაქებს, სოფლებს, საცხოვრებლებს, მაგრამ მტერი თოფიან კაცებს აყენებდა შიგ, რადგან ჩვენი ეშინოდა. ახლა კი... ახლა კი ვეხვეწებით, ოღონდ მოდით, ოღონდ წაიღეთ, რადაც გიღირდეთ წაიღეთ, რა კი ჩვენ პატრონად არ ვვარგივართო! განიავდა ქვეყანა, არც არაფერი დარჩა გასაყიდი. არც ადრე მოუტანია უცხოს სიკეთე, არც ახლა ველოდოთ ვინმესგან. ეს იცის ბევრმა, ჭკვიანმა თუ უტვინომ, მაგრამ შევეგუეთ ამას, გათითოკაცდა ერი, ქვეყანა! მე ის უფრო მაგიჟებს, თქვენც დაიჯერეთ, დაიჯერეს ბიჭებმა, ჩემმა ამაყმა მეუღლემაც, რომ არაფერიც არ ხდება... აბა რა, რა მნიშვნელობა აქვს თურმე ჩემი ცოლ-შვილისთვის, მილიონი ქვის ნატეხით მეტი იქნება თუ ნაკლები აჭარაში, ქართლში თუ კახეთში, აქვს ჩვენებს რაიმე უფლება იმაზე, რაც გავასხვისეთ, რაც უტვინოდ დავკარგეთ. დაღუპულა ჩემი ოჯახი და ქვეყანა, რადგან ვერ ხვდებით რამ გადამრია მე! რაც ქვაა თქვენთვის, სულძაღლებო, მამაძაღლებო, სამშობლოა ჩემი, სისხლი და ხორცია ჩვენი! ბრმებო, ყრუებო, მიმოიხედეთ ირგვლივ, ვერ ამჩნევთ როგორ დაგვიპატარავდა ქვეყანა... მიმოიხედეთ, იქეთ ჭოროხზე დაგვიდეს საზღვარი, აქეთ ენგურზე! მოიშალა ქაჯეთის ციხე, რუხი, სათანჯოს გალავანი... მოიშალნენ დიდი საქართველოს სამანთა ოდეს უძლეველ გუშაგები, თითო-თითოდ, ზურგით და ხელით ნაზიდ ქვათა და კენჭთა ოდესღაც უძლეველ საკრებულო, და ახლა, აქ, მათგან წამოსული მცირედი ნაშალი პაწაწინა ქვებად და კენჭებად გვიყრია, უფლისგან გაფრთხილებად, იმედად, რომ ჯერ კიდევ ყველაფერი არ არის დაკარგული!

გაიხედეთ, გაიხედეთ, ახედეთ ცას, თქვენთან უხმეთ ყოვლისშემძლეს თქვე საცოდავო მედროვეებო, ჩემო მარად მოუცლელო, მაგრამ ქვეყნისთვის სრულიად უმაქნისო შვილებო, იქნებ გაიგოთ როგორმე, რომ ჭოროხს იქითაც საქართველოა, მაგრამ აწ უკვე ნაქართველარი საქართველო, ენგურს იქითაც საქართველოა, სულ ახლახან ნაწამები და ჯვარზე გაკრული საქართველო, დამონებული ხალხი და მამული, რომლის დამბრუნებლად თქვენ, ვატყობ, ვერ გამოდგებით, არც აპირებთ გაბრძოლებას! ეე, რას მასწავლი მე შენ, დედაკაცო, საქართველოს სტუმარი ჩემთვისაც ღვთისაა და ასეც იქნება, მანამ, სანამ ჩვენია ეს მიწაწყალი, მაგრამ ახლა ყველა სტუმარი მასპინძლადაც გავიხადეთ ქვეყანაში, დავუნაწილეთ და სამემკვიდროდ მივეცით ცა და ხმელი, მთა და ბარი, ტყე და წყალი, ქალაქი და სოფელი, ოდა თუ ქოხი და უსაქმოდ დარჩენილები მათგან ველით ღვთიურ სასწაულებს! კარგად დაფიქრდით, შვილებო, ჩვენ მათხოვრები, მეორადები, დასაცინი გავხდით დუნიაზე და ხელებგაშვერილი შველას ვეკედრებით ყოველი ჯურის არაკაცსა და ნაძირალას! შეხედეთ, სანამდის დავედით, აქაც ჩვენ უფრო ვგავართ სტუმრებს, ვიდრე მოსულები და უკვე დედაბუდიანად დამკვიდრებულები, ერთმანეთშიც ვერ გვისაუბრია შინაურულად, დასვენებაზე რომ არაფერი ვთქვა!

ისე ქუხდა და ბოტგავდა ზღვის ქანდაკება, რომ მზისგულზე ცოტნე დადიანივით დაყრილმა ნირწამხდარმა ქართველებმა თავები ჩავქინდრეთ, მობანავეთა უმეტესობამ კი ზღვის სანაპირო დატოვა, ზოგიც ზემოთ შემოდგა და იმპერატორივით დასცქეროდა განწირული გლადიატორისთვის გამოტანილი განაჩენის აღსრულებას.

ცოტა ხანში ყველაფერი მიწყნარდა და ჩვენც ნელ-ნელა დავიშალეთ. მათკენ არ გავიხედე. წარმოვიდგინე, ქანდაკებაც ისეთია, ალბათ, როგორც ყველა ჩვენგანი, – მოიკაკვება ყველას წინაშე, მოუბოდიშებს ცხვირაწეულ მეუღლეს, მისი წამიერი სიგიჟით დარცხვენილ შვილებს და, თითქოს არც არაფერი მომხდარაო, ტრადიციული ოჯახი ჩვეული წესით და რიგით დატოვებს სანაპიროს.

მეორე დილით მე და მეუღლე ადრე გავედით ზღვაზე. შემეცოდა მარტოხელა ქანდაკება, მომინდა მისი გაცნობა და დაწყნარება.

ადრე დილით ისინი არ მოვიდნენ, არც მოგვიანებით. რატომღაც მთელი დღე დავრჩით აგვისტოს აბრიალებული მზით ცეცხლმოკიდებულ სანაპიროზე.

და, აი, ისინიც, გვიან ნაშუადღევს, თითქოს და საქორწილოდ თუ სასტუმროდ გამოწყობილები სრული შემადგენლობით გამოჩნდნენ ზღვაზე. ნაპირზე ჩამოვიდნენ, კენჭები აკრიფეს, მარჯვენა თავს ზემოთ ასწიეს და ზურგშექცევით გამწკრივდნენ წყალთან.

გაითვალა ქანდაკებამ, ერთი, ორი, სამი და... ოჯახის წევრებმა კენჭები ზურგსუკან მოისროლეს.

თვალით გავაცილე აგრერიგად ლამაზების და ყველაფრით გამორჩეულების მიმავალი ოჯახი. დიდი შავი **“ჯიპი”** იდგა, აი, ისეთი, ასიათასიანს რომ ეძახიან. ქანდაკება მოიხარა და მარჯვნივ, საჭესთან დაჯდა, შუახნის ქალი გვერდით მიუჯდა, უკან შვილები. რამდენიმე წამში **“ჯიპი”** თბილისისკენ მიმავალი ავტომანქანების ქარავანს შეუერთდა.

ჩემმა ნაცნობმა, მოხუცმა აჭარელმა ბეჟანიძემ ამიხსნა წყლისთვის კენჭების მიყრის დედა-აზრი. ძველად ლაზ-მენავეთა წესი ყოფილა ამდაგვარი, – სადაც შენი მარჯვენით დატოვებ რამეს, თუნდაც ქვას, იქ აუცილებლად დაბრუნდები ან შენი მოდგმა დაბრუნდება და მანამ, სანამ, იქაა ქვა, შენი ქვეყანაც იქ გელოდება.

რაფიელ გელანტია.

ქობულეთი–ზუგდიდი, 15 აგვისტო, 2010 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუხის ციხე

(ჩანახატი)

ვუძღვნი ქალბატონ ლუიზა ციმინტიას ნათელ ხსოვნას.

უხსოვარი დროიდან ადამიანთა სისხლი რწყავდა ხმელეთს, ომი და თვითგადარჩენის ცხოველური ინსტიქტი დარვინისტებს აძლევთ იმის უფლებას რომ ხმამაღლა თქვან: **"ადამიანი ცხოველისგან არის წარმოშობილი"...**

მახსოვს ციტატა დიდი ქართველი პოეტის შოთა ნიშნიანიძის ლექსიდან სადაც იგი ნაპოლეონზე აღნიშნავს: **"თვითონ მსოფლიო უთვალავი გვამით მოჰფინა – იმპერატორი, ღმერთკაცი და უკვდავი გახდა"...**

დიახ ხალხს უყვარს დამპყრობლები, მათ სახელებზე ლოცულობენ. სწორედ ამიტომაც არის, რომ ბრბოდ ვიწოდებით... განა სტალინმა არ თქვა: **"ერთის სიკვდილი ტრაგედიაა, მრავლისა – სტატისტიკა."** ალბათ მართალიც არის.. ხოლო ყველაზე დიდი ომი რაც კაცობრიობის ისტორიას ახსოვს ეს არის მეორე მსოფლიო ომი, რომელმაც 60 მილიონი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა აქედან კი 20 მილიონამდე მშვიდობიანი მოქალაქე იყო... გვინდოდა თუ არა, ამ ომში ქართველებიც ვიყავით ჩათრეულნი. უფრო მეტიც, ომის სათავეებშიც კი მოვექეცით. ოფიციალურად ევროპაში მეორე მსოფლიო ომი, 1939 წელს, გერმანიის პოლონეთზე თავდასხმით დაიწყო (მანამდე იყო ეთიოპიის (1936) და ალბანეთის (1939) დაპყრობა იტალიის მიერ. ასევე გერმანიის მიერ – ზაირის მხარის, რაინის ოლქის, ავსტრიის და სუდეტის მიწების მიერთება) და 1945 წლის 8 მაისს, ვერმახტის სრული კაპიტულაციით დასრულდა...

საბჭოთა კავშირს უამრავი სამხედრო ტყვე ჩაუვარდა ხელთ. ომის კანონით კი დამარცხებულმა ტყვეებმა უნდა აღადგინონ ის, რაც დაანგრიეს. საბჭოთა კავშირმაც სხვადასხვა მხარეში გადაანაწილა ტყვეები სამუშაოდ. მათი ნაწილი ჩამოიყვანეს სოფ. ინგირისა და სოფ. რუხის ტერიტორიაზე, რომელიც მდინარე ენგურის მარცხენა სანაპიროზე მდებარეობს.

ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით რუხის ციხე ლევან მეორე დადიანმა 1647 წელს ააგო. სწორედ რუხის ციხეში იქნნენ განწესებულნი გერმანელი ტყვეები... ციხეს აქამდეც ბევრი სისხლი უნახავს, მის მიდამოებში დიდი ომებიც გამართულა, რომელიც არის 1779 წლის რუხის ბრძოლა... ეს ბრძოლა კიდევ იმითაც არის განსაკუთრებული, რომ **"მინიერთეულებად"** დაქუცმაცებულმა დასავლეთ ქართველობამ საერთო ენის გამონახვა მოახერხა და იმერეთ-სამეგრელო-გურიის ლაშქარმა სასტიკად დაამარცხა ოსმალები.

როდესაც ამა თუ იმ პიროვნებას ჯარში გაიწვევენ მისი ვალდებულებაა შეასრულოს ბრძანებები. გერმანელ ტყვეეთა შორის იყვნენ ისეთები, რომლებიც ომისთვის არ იყვნენ დაბადებულნი: მუსიკოსები, ექიმები, არქიტექტორები. მაგრამ ისინი ჯარში გაიწვიეს და მეთაურთა ბრძანებებს ასრულებდნენ უსიტყვოდ, ნებსით თუ უნებლიეთ..

გერმანელი ტყვეებისთვის ძალიან რთული იყო პირველი დღეები. სრულიად უცხო გარემოში, უცხო ჰავა, ამასთან, რამოდენიმე დღე, სატვირთო მატარებლით, საშინელ პირობებში მგზავრობა, მაგრამ ყველაფერმა ჩაიარა. სიმბოლურია ის, რომ ვისაც ჩვენ ნაცისტებს ვეძახდით სწორედ მათ დაამთავრებინეს აფხაზეთთან დამაკავშირებელი ხიდის მშენებლობა, რომელიც **"ოცარცეს"** სახელით არის ცნობილი, ხოლო დღეს ვინც ხიდის მარჯვენა სანაპიროზე დგას და თავს **"სამშვიდობოებს"** უწოდებს, ეს ხიდი უსარგებლოდ აქცია და ისტორიული კუთხე მოსწყვიტა დედა სამშობლოს... ის ფიქრები მაიმედებს, რომ სწორედ **"ოცარცეს"** ხიდით დავბრუნდებით აფხაზეთში და აფხაზებიც ამავე ხიდით მოვლენ ჩვენთან... მშენებლობისას, ტყვეთაგან, ერთ-ერთი ახალგაზრდა გერმანელი გარდაიცვალა. ტყვეებმა მას ციხის უკან სამარხი მოუწყვეს. ასე გაჩნდა ტყვეთა სასაფლაო, რომელსაც დღითიდღე ემატებოდა **"ახალი მსხვერპლი"**. ვიდრე აქ იყვნენ გერმანელები, თავად უვლიდნენ სასაფლაოს. მათი წასვლის შემდეგ სასაფლაო პირველყოფილ სახით იყო მეოცე საუკუნის ორმოცდაათიან წლების ბოლომდე, სანამ ერთ-ერთმა შეზარხოშებულმა, მაგრამ სიფხიზლეში ვანდალმა მექანიზატორმა **"ბულდოზერით"** არ მოასწორა და, ყოველივე ამის შემდეგ, სასაფლაოს კვალი სრულიად გაქრა...

მაგრამ გამოჩნდა ერთი ღვთისნიერი ადამიანი, რომელიც სიცოცხლეშივე იქცა ქალაქ ზუგდიდის გამორჩეულ კოლორიტად – ქალბატონი ლუიზა ციმინტია, რომელმაც მიზნად დაისახა აღედგინა გერმანელ ტყვეთა სამარხები და მსოფლიოსათვის ეჩვენებინა ქართველთა ესოდენ გასაოცარი ჰუმანიზმი, რომელიც თვით **"მამამისის მკვლელის"** სასაფლაოსაც კი სათანადო პატივს მიაგებს. ეს ყოველივე არ იყო იოლი საქმე, თანაც ამას დამატებული ის პერიოდი, როდესაც სამოქალაქო ომი მიმდინარეობდა. იყო არეულობა, ახლგაზრდა ბიჭები იხოცებოდნენ და ვის მოაგონდებოდა მეორე მსოფლიო ომის ტყვე გერმანელების საფლავი, მაგრამ მიზანი უკვე დასახული იყო, ხოლო, როდესაც ადამიანი მიზანს დაისახავს მისთვის უფრო რთულია უკან დახევა, ვიდრე ის სიძნელეები, რომლებიც წინ უნდა დახვდეს. ქალბატონმა ლუიზამ ვაჟიშვილთან, ბატონ თემურ კემულარიასთან, ერთად დაიარა სოფლის უხუცესები. ისეთები, რომლებსაც რაიმეს გახსენება შეეძლოთ.. ყველა ახალ-ახალ ისტორიას ყვებოდა და მათი შეკვრა ქალბატონ ლუიზას მიერ ჰგავს მოზაიკის აწყობას, სადაც თითოეულ ქვას თავისი ადგილი აქვს. ბევრი, რომ არ გამიგრძელდეს, მათ მოიძიეს საფლავები. ისეთებიც კი, რომლებიც მოშორებით, სხვა ადგილებში იყო და თანამოაზრეთა თანადგომით აღადგინეს ევროპელ სამხედრო ტყვეთა საძმო სასაფლაო დევიზით: – შრომა მშვიდობისათვის. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ყველა კანონიკა დაცული იქნა. ქალბატონი ლუიზას გეგმა თანდათან ხორცს ისხამდა. გთავაზობთ 2001 წელს წარმოთქმულ მის სიტყვებს მისსივე ინიციატივით შექმნილი დოკუმენტური ფილმიდან **"შრომა მშვიდობისათვის"** – **"ჩვენი სურვილი იყო, მშვიდობიანი გზით როგორმე გვეშრომა, გვეკეთებინა ყველაფერი იმისათვის, რომ იმ აფხაზებისთვის გაგვეგებინებინა, რომ არ შეიძლება ჩვენი ცალ-ცალკე ყოფნა. მთელი მსოფლიოს ხალხები აუცილებლად უნდა გაერთიანდნენ მშვიდობისათვის, ბავშვების ბედნიერებისათვის, სიცოცხლის გაგრძელებისთვის."**

ლუიზა ციმინტია (მარჯვნიდან მეორე) ოჯახურ გარემოცვაში

აღსანიშნავია, რომ მეორე მსოფლიო ომი არ იყო ბრძოლა პიროვნებებს შორის – არამედ ბრძოლა სისტემებს შორის და ჩვენს დროში, რომელსაც ჩვენ განვითარებულ სამყაროს ვეძახით, არ უნდა იყოს ომი, შუღლი და მტრობა. იმედია, ამას, აფხაზებიც ადრე თუ გვიან მიხვდებიან. გალღვება ყინული. მიხვდებიან, რომ ჩვენ ერთმანეთის ძმები ვართ და მიუხედავად იმისა, რომ ძმები ყველაზე ხშირად ჩხუბობენ, მაინც საკუთარ თავზე მეტად უყვართ ერთმანეთი. ქალბატონი ლუიზა ისე წავიდა ჩვენგან, რომ ბოლო სურვილი განუხორციელებელი დარჩა. მისი სურვილი იყო, საძმო სასაფლაოს მახლობლად გაშენებულიყო მშვიდობისა და მეგობრობის ხეივანი, რომელიც გახდებოდა ბევრი რამის სიმბოლო. სიმბოლო მშვიდობისა და შერიგებისა, ერთგულებისა და სათნოებისა... ხეივნის შუა გულში დამონტაჟებულ თეთრ ლოდზე – შავ დაფაზე გაეკეთებინა დიდი ილია ჭავჭავაძის სიტყვების წარწერა ქართულ, აფხაზურ, ოსურ, რუსულ, ინგლისურ, გერმანულ ენებზე: **"რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია".**

მივმართავ მთავრობას, ბიზნესმენებს, ყველა იმ ადამიანს, ვისაც ამის გაკეთება ხელეწიფება და მიუხედავად იმისა, რომ ქალბატონ ლუიზას მიზანი არ ყოფილა სახელისა და დიდების მოხვეჭა, ჩვენ ვალდებულნი ვართ მას დავუფასოთ უდიდესი ღვაწლი, ავასრულოთ მისი უკანასკნელი სურვილი... იმედია, ჩემი მიმართვა მარტო ფურცელზე არ დარჩება და გამოჩნდება უფლისმიერი ადამიანი, რომელიც ამ ისტორიულ მოზაიკას უკანასკნელ ქვას ჩაამატებს!

გიო გოგეჩია,
16 წლის, ზუგდიდი

საგადასახადოები მეწარმეების დასაჯარიმებლად მაწანწალებს იყენებენ

***საქართველოს ბიუჯეტში თანხების მობილიზება სერიოზულად ჭირს. მართალია, ჩვენი ხელისუფლება ამ ფაქტს არ აღიარებს, მაგრამ ამის დასტურია თუნდაც პარლამენტში მიხეილ სააკაშვილის ერთ-ერთი გამოსვლა. ბატონმა პრეზიდენტმა საკანონმდებლო ორგანოს ეკონომიკური თავისუფლების აქტი წარუდგინა და მთავრობის მიერ ქამრების კიდევ უფრო შემოჭერის აუცილებლობაზე გააკეთა აქცენტი. სხვათაშორის, 2010 წლის ბიუჯეტში ხარჯვითი ნაწილი საკმაოდ შემცირებულია, მაგრამ, ხელისუფლების მიერ ქამრების შემოჭერაზე რა მოგახსენოთ.. ის კი არა, ახლახან ჩამოყალიბდა (უფრო სწორედ, კულტურის სამინისტროს ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტი გადაკეთდა) სამინისტრო, რაც ბევრად გაზრდის სახელისუფლებო ხარჯებს.*

ხელისუფლება ერთგვარი დილემის წინაშე დგას, როგორ შეასრულოს საკუთარი მოსახლეობისთვის მიცემული დაპირებები, როგორ გაისტუმროს სახელფასო, საპენსიო და სოციალური ვალდებულებები და როგორ დაეხმაროს სტიქიური უბედურებებით დაზარალებულთ. მითუმეტეს მაშინ. მათ ხომ ეს დაპირებები რიხიანად გასცეს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების ჩატარდებამდე. მოსახლეობამ თბილისის მერი პირდაპირი არჩევნების გზით აირჩია. ქვეყანაში კი წასართმევ-წასაგლეჯი და გასაყიდ-გასასხვისებელი თითქმის აღარაფერი დარჩა, რითაც ხელისუფლება საკუთარი კანდიდატის წინასაარჩევნო კამპანიას დააფინანსებდა და მოსახლეობაც შეძლებისდაგვარად კმაყოფილი ეყოლებოდა. სახელისუფლებო ტერორსა და ეკონომიკურ კრიზისს შეწირულ ბიზნესს აღარ შესწევს ძალა, ხელისუფლებას ხარკი უხადოს.

ბიუჯეტში თანხების მობილიზებისთვის მმართველი ნაციონალური გუნდი აქტიურად იყენებს საერთაშორისო დახმარებებს, საბანკო სექტორიდან შიდა ვალი აიღო და პარალელურად ადმინისტრაციული მექანიზმებიც გაამაცცრა. მაშინ, როცა მიხეილ სააკაშვილი ეკონომიკური თავისუფლების აქტით, რომლის ძირითადი პრინციპები თავისუფლება, შესაძლებლობა, თანასწორობა და ღირსებაა, საკანონმდებლო ორგანოს წინაშე თავს იწონებდა, პრეზიდენტის **„ამბიციური დოკუმენტით"** აღფრთოვანებული საპარლამენტო უმრავლესობა კი ტაშის დაკვრით ხელისგულებს იტყაკუნებდა, მცირე ბიზნესს კალიასავით შესეული საგადასახადო ინსპექცია ატერორებდა. ქალაქში თითქმის არ დარჩა მეწარმე, რომელიც ერთხელ მაინც არ დაჯარიმებულა სალარო აპარატის გაუმართაობის, საქონელზე ფასის აღმნიშვნელი ეტიკეტის უქონლობის, კლიენტისთვის საერთოდ გამოუწერელი ან შეცდომით გამოწერილი ქვითრის მიზეზით. თუ აქამდე მეწარმეს შეეძლო ჯარიმის ეტაპობრივად დაფარვა, ახალი **„ინსტრუქციით"**, საჯარიმო უწყების მოსვლიდან უმოკლეს ვადაში, სრულად უნდა გადაიხადოს მასზე დაკისრებული ჯარიმის თანხა. წინააღმდეგ შემთხვევაში, გამორიცხული არ არის, მისი ობიექტი დაულუქნ და ფინანსურმა პოლიციამ მისი სამეწარმეო საქმიანობის **"დაწვრილებითი"** შესწავლა დაიწყოს. საგადასახადო ოფიცრები მეწარმეებს ადმინისტრაციული მექანიზმების გამკაცრების მიზეზს შემდეგნაირად განუმარტავენ: **„მიწისძვრამ და წყალდიდობამ ნახევარი საქართველო დააზარალა. ხალხს დახმარება სჭირდება. ბიუჯეტში ფული არ არის და დროულად უნდა გადაიხადოთ. მთავრობამაც რა ქნას"...**

საგადასახადო ინსპექცია ჩასაფრებულია, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით, როგორმე დააჯარიმოს დოლარის კურსის განუწყვეტელი თამაშით ისედაც გაწამებული მეწარმე. მიზნის მისაღწევად მაწანწალა ბავშვებსაც კი იყენებს. **„ერთი ბავშვი, რომელიც ხშირად მინახავს, ქუჩაში მოწყალებას როგორ თხოულობდა, მთელი კვირის განმავლობაში თითქმის ყოველდღე შემოდიოდა ჩემს მაღაზიაში, – აღნიშნა ჩვენთან საუბრისას ერთ-ერთმა რუსთაველმა მეწარმემ, – ხან ჯოხიან კანფეტს ყიდულობდა, ხან ნაყინს, ხან – კევს, ბოლოს 20-თეთრიანი სანთებელა იყიდა. ჩეკს ყოველთვის ვუწერდი, მაგრამ იმ დღეს ძალიან ბევრი კლიენტი მეხვია გარს და სიჩქარეში ჩეკის გამოწერა დამავიწყდა. თითქოს მიწიდან ამოძვრნენო, მაშინვე ორი ზორბა მამაკაცი დამადგა თავს. წამსვე ოქმი შეადგინეს და 600 ლარით დამაჯარიმეს. ვერ წარმოვიდგენდი, რომ ერთი კვირის განმავლობაში მაწანწალა ბავშვს მიგზავნიდნენ, როგორმე რომ დავეჯარიმებინე".**

არა ერთი და ორი ფაქტია, როცა მეწარმეების **„გამოსაჭერად"** მოზარდებს იყენებენ. ან კი რა გასაკვირია, ყველანაირი მეთოდით შეეცადონ, რაც შეიძლება მეტი მეწარმე დააჯარიმონ, მაშინ, როცა, როგორც ამბობენ, თითოეულ შედგენილ საჯარიმო ოქმზე ინსპექტორებს ფულადი პრემიებით ახალისებენ და ერთგვარი გეგმაც კი აქვთ, დღის განმავლობაში ვინ რამდენი ოქმი უნდა შეადგინოს.

ბიუჯეტში თანხების მობილიზება რომ ჭირს და ხელისუფლება ყველანაირ ადმინისტრაციულ (ფისკალურ) მეთოდს იყენებს ხაზინის შესავსებად, **ექსპერტი ეკონომიკის საკითხში, ბატონი დავით ნარმანიაც** ადასტურებს და თვლის, რომ უსაშველოდ გამკაცრებული ადმინისტრაციული მექანიზმები ბიზნესსექტორში შექმნილი პრობლემების მხოლოდ ერთი მხარეა, ხელისუფლების მიერ წარდგენილი ეკონომიკური თავისუფლების აქტი კი ზოგადი, თითქმის არაფრისმთქმელი დოკუმენტია, რომელზეც კომენტარის გაკეთება შეუძლებელია მანამ, სანამ ის კონკრეტულად გაწერილი გეგმის სახეს არ მიიღებს (თუმცა, საეჭვოა, რომ ამ შემთხვევაშიც შემოტრიალდეს საქმე მეწარმეთა სასარგებლოდ).

დავით ნარმანია: „ხშირად კანონმდებლობა ურთიერთსაწინააღმდეგო დებულებებს მოიცავს და მას სხვადასხვანაირად აღიქვამენ სახელმწიფო ორგანოებისა და ბიზნესის წარმომადგენლები. ეს განსაკუთრებით საგადასახადო კოდექსს ეხება და დღესდღეობით ქართული ეკონომიკის ყველაზე სერიოზული პრობლემაა. პრობლემას წარმოადგენს ბიზნესის მარეგულირებელი კანონმდებლობაც, რომელსაც ცალკეული ცვლილება კი არ სჭირდება, როგორც ამას ხელისუფლება გვთავაზობს, არამედ სერიოზული სამართლებრივი და ეკონომიკური ექსპერტიზა. მისაღებია ბევრი ახალი კანონი, რის შემდეგაც შეიძლება ვილაპარაკოთ მოწესრიგებულ სისტემაზე და ისეთ ბიზნესგარემოზე, რომელშიც ნაკლებად ჩაერთვება სახელმწიფო".

– ბატონო დავით, ეკონომიკური თავისუფლების აქტში საუბარი არ არის ანტიმონოპოლიური სამსახურის შექმნაზე. როგორც ექსპერტი, როგორ ფიქრობთ, აღნიშნული სამსახურის აღდგენა გააუმჯობესებს ბიზნესგარემოს?

– ხელისუფლება შეგნებულად არიდებს თავს ამ საკითხზე საუბარს, რადგან რეალურად ქმედითი ანტიმონოპოლიური სამსახური რომ შეიქმნას, ბევრი ისეთი ფაქტი გამოვლინდება ბაზარზე, რასაც ბოლო პერიოდში ჰქონდა ადგილი და რასაც ხელისუფლების წარმომადგენლები ან სახელისუფლებო წრეებთან დაახლოებული პირები ლობირებდნენ. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, ანტიმონოპოლიური სამსახურის შექმნა ხელისუფლებას ხელს არ აძლევს. როგორც წესი, დაინტერესებული უნდა იყოს ამგვარი ცვლილების განხორციელებით, რადგან გარკვეული კატეგორიის საქონლის მოსაწოდებელი ფასი აღარ გაიზრდება. ამავე დროს, ბაზარზე შენარჩუნდება შედარებით სტაბილური მდგომარეობა და საზოგადოებაც მეტად კმაყოფილი იქნება.

– ზემოაღნიშნული ლობირების კონკრეტულ ფაქტს თუ დაასახელებთ?

– ასეთი ფაქტები არც თუ იშვიათია ბაზარზე, როცა რიგითი მოქალაქე წამოიწყებს კონკრეტული ბიზნესს, მოძებნის ინვესტორს, მაგრამ მასთან მიდიან გარკვეული პირები და აფრთხილებენ, რომ ხელისუფლებიდან ესა და ეს პირი ლობირებს ამ ბიზნესს. აჯობებს, მსგავსი შემთხვევები თავად ხელისუფლებამ მოიძიოს, სად რა ხდება, ვინ რა ბიზნესს კურირებს და მერე ისაუბროს ეკონომიკის რეორგანიზაციაზე.

– ბოლო დროს საგადასახადო ინსპექცია ჩასაფრებულის პოზიციიდან უყურებს მცირე ბიზნესს. ხშირია მაწანწალა ბავშვების გამოყენების ფაქტები სავაჭრო ობიექტებში დარღვევების გამოსავლენად. როგორ ფიქრობთ, ასეთ რადიკალურ ხერხს რატომ მიმართავს ხელისუფლება?

– ბიუჯეტში სერიოზულად ჭირს შემოსავლების მობილიზება და ხელისუფლება ყველანაირი ადმინისტრაციული მეთოდის გამოყენებას ცდილობს, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ხალხისთვის მიცემულ დაპირებებს ვერ შეასრულებს. მომდევნო წელს კი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებია, შემდეგ – საპარლამენტო, საპრეზიდენტო და თუკი ხელისუფლება მოსახლეობის წინაშე აღებულ ვალდებულებებს თავს ვერ გაართმევს, შესაძლოა, არჩევნებში კოვზი ნაცარში ჩაუვარდეს.

ნათია ძაღაბიშვილი

გაზეთი “ილორი” უძღვება რუბრიკას “მსოფლიოს დიდი ფეხბურთელები”

მსოფლიოს დიდი ფეხბურთელები

მას შემდეგ, რაც მე-19 საუკუნეში ინგლისელებმა აღადგინეს სპორტის უძველესი სახეობა, მსოფლიოს ყველა ქვეყანაში იბადებოდნენ დიდი ფეხბურთელები, რომლებიც ქმნიდნენ მთელ ეპოქას და მათი მიღწევები ოქროს ასოებით იწერებოდა პლანეტის სპორტულ ისტორიაში. ისინი გვხიბლავდნენ თავიანი საფეხბურთო საშემსრულებლო ოსტატობით. ეს ხდებოდა მაშინ, როცა ფეხბურთი ის-ის იყო იდგამდა ფეხს მსოფლიოში და ჯერ კიდევ არსად არ იყო აშენებული, არამც თუ გიგანტური, არამედ ათასმაყურებლიანი სტადიონებიც კი. მაგრამ სწორედ მათმა ოსტატობამ დაუდო სათავე სპორტის ამ ულამაზეს სახეობას, რომელსაც დღეს ლამის მთელი მსოფლიო ეთაყვანება. მას შემდეგ უამრავი დიდი ფეხბურთელი მოევლინა სამყაროს, მაგრამ ჩვენი რუბრიკა მაინც წინ აყენებს იმ დიდი სპორტსმენების ხსოვნას, რომელთაც მსოფლიოს განახლებული სახით უძღვნეს ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე დიდი ხნით ადრე ჩინეთში შობილი სანახაობრივი სპორტი – ფეხბურთი! მალე დაინტერესებულ პირთა ვიწრო წრეში აღიარებული ეს სანახაობა მასიურ ღონისძიებად იქცა, რამაც წარმოქმნა შესაბამისი სპორტული ბაზების აშენების აუცილებლობა. სწორედ წარსულის დიდი ფეხბურთელების დამსახურებაა, რომ გვაქვს შესანიშნავი სპორტული კომპლექსები **“მარაკანა”**, **“აცტეკა”**, **“ნოუ კამპი”**, **“სანტიაგო ბერნაბეუ”**, **“ლუჟნიკები”**, **“ოლიმპიაშტადიონი”**, **“ჰემპდენ პარკი”** და სხვა და სხვა. სწორედ ამ სპორტულ **“მონსტრებს”** ავსებენ პირთამდე დღევანდელი ფეხბურთის **“გრანდები”**, რომლებიც მონდომებითა და წარმატებით აგრძელებენ თავიანთი დიდი წინაპრების საქმეებს.

ამ რუბრიკით ჩვენ გაგაცნობთ მსოფლიოს ფეხბურთის პიონერებსაც და იმ დიდ თანამედროვე ფეხბურთელებსაც, რომლებიც ქმნიან მსოფლიო ფეხბურთის ისტორიას.



კენი დალგლიში

დაიბადა 1951 წლის 4 მარტს, შოტლანდიაში.

თამაშობდა კლუბებში **“სელტიკი”** (შოტლანდია), **“ლივერპული”** (ინგლისი).

კენი დალგლიში დიდი ბრიტანეთის სპორტის ისტორიაში შევიდა როგორც ყველაზე ტიტულირებული ფეხბურთელი. ჯერ როგორც მოქმედმა ფეხბურთელმა, შემდეგ კი, როგორც მწვრთნელმა, 26 პრესტიჟული ტურნირი მოიგო. გარდა ამისა, დალგლიშმა შოტლანდიის საფეხბურთო ნაკრების შემადგენლობაში ჩაატარა 102 მატჩი, რაც დღემდე მისი სამშობლოს რეკორდს წარმოადგენს. გაიტანა 30 გოლი და ამ რეკორდსაც დალგლიში დენის ლოუსთან ერთად იყოფს.

“სელტიკს” დიდად გაუმართლა, როცა დალგლიში შეიძინა მას შემდეგ, რაც 1967 წელს ევროპის ჩემპიონთა თასი მოიპოვა. ამ ფორვარდის მოსვლის შემდეგ გუნდმა მრავალ პრესტიჟულ ტურნირში მოიპოვა გამარჯვება, მაგრამ შექმნილი ფინანსური პრობლემების გამო, 1977 წელს, **“სელტიკმა”** იგი 400.000 ფუნტ სტერლინგად მიჰყიდა **“ლივერპულს”**. იგი უკვე ლეგენდარული ფეხბურთელი გახლდათ, რომლის თამაშზე დასასწრებად **“ენფილდ როუდის”** სტადიონი მუდამ გადავსებული იყო მისი ფანებით. მისი თითქმის დაუჯერებელი წარმატების მთავარი კოზირი გახლდათ მაღალი სასტარტო სიჩქარე, ბურთის ფლობის ბრწყინვალე ტექნიკა და გოლის გატანის ინტუიცია. იგი ღირსეული მოქალაქეც იყო და ობიექტურად ახსნა ჰილსბოროს ტრაგედიის მიზეზები. მაგრამ ტრაგედიამ იმდენად შეძრა სპორტული სამყარო, რომ დალგლიშმა მალე დატოვა **“ლივერპულელთა”** რიგები. იგი მწვრთნელობას შეუდგა და **“ბლეკბერნი”** მალე გახადა ქვეყნის ჩემპიონი. შემდეგ მან **“ნიუკასლის”** მწვრთნელის პოსტზე შეცვალა კევინ კიგანი და გუნდი ინგლისის 1998 წლის თასის ფინალში გაიყვანა. შემდეგ ინგლისის კლუბ **“სელტიკის”** სპორტულ დირექტორად მუშაობდა.

ბილი (დიჭი) დინი

დაიბადა 1907 წლის 22 იანვარს, ინგლისში.

თამაშობდა კლუბებში **“ტრანმერი”**, **“ევერტონი”** და **“ნოთს ქაუნთი”** (ინგლისი.)

ნებისმიერი ფეხბურთელი, რომელიც ქვეყნის ნაკრებში მოხვედრისთანავე პირველ 5 მატჩში გაიტანს 12 გოლს, უდავოდ იმსახურებს დიდი ფეხბურთელის საპატიო წოდებას, თუნდაც ეს მომხდარიყო **“შემტევი ფეხბურთის”** ეპოქაში, როცა ხუთი თავდამსხმელი სამი დამცველის წინააღმდეგ გამოდიოდა და თითო მატჩში ოთხი-ხუთი და მეტი გოლის გატანა არავის აოცებდა. მაშინ ბილი დინი 20 წლის თმახუჭუჭა ყმაწვილი გახლდათ, რომელსაც წინ დიდი სპორტული გზა ედო. დიდ ფეხბურთში მისვლიდან ერთ წელიწადში ბილი დინმა ინგლისის რეკორდი დაამყარა – 60 გოლი გაიტანა ერთი საფეხბურთო სეზონის განმავლობაში. გარდა ამისა, ბილი დინმა თავი გამოიჩინა ჩემპიონატების ბოლო სამ ტურში, სადაც შედეგიანობით ერთი ბურთით გაუსწრო **“მიდლსბოროს”** სახელგანთქმულ ფორვარდს ჯორჯ კემზელს.

ინგლისის ნაკრების შემადგენლობაში ბილი დინმა ჩაატარა 16 მატჩი, რომლებშიც გაიტანა 18 გოლი, ხოლო კიდევ მოწყობილ 16 საჩვენებელ და ამხანაგურ მატჩებში 47 გოლი გაიტანა, რაც დღემდე სარეკორდოდ ითვლება. ამგვარი მატჩების ჩატარება უადრესად პოპულარული იყო მაშინ, როცა ჯერ კიდევ არ არსებობდა ტელევიზია.

მის მიერ ჩატარებული მატჩების რიცხვს მიუმატეთ თასებზე გამართულ 33 შეხვედრაში გატანილი 38 გოლი და კიდევ 379 გოლი, რომელიც ბილი დინმა გაიტანა პრემიერ-ლიგის 438 მატჩში.

ეს წარმატება დაუჯერებელია თუნდაც იმიტომ, რომ ბილი დინმა ჯერ კიდევ საფეხბურთო კარიერის დასაწყისში მიიღო თავის მძიმე ტრავმა, რაც ხშირად შეახსენებდა ხოლმე თავს ამ დიდებულ სპორტსმენსა და პიროვნებას.

ლუის დელ სოლ მირამონტესი

დაიბადა 1938 წლის 15 აგვისტოს, ესპანეთში.

თამაშობდა კლუბებში: **“ბეტისი”**, **“სევილია”**, **“რეალი”** მადრიდი (ესპანეთი), **“იუვენტუსი”** (იტალია).

ლუის დელ სოლ მირამონტესი ნახევარდაცვის მარჯვენა ფლანგზე თამაშობდა და ძირითადად შემტევი სტილის ფეხბურთელად ითვლებოდა. სწორედ მისი დიდი დამსახურება გახლდათ ის, რომ 1960 წელს, ლეგენდარულმა მადრიდის **“რეალმა”** ევროპის ჩემპიონთა თასი მოიპოვა. გუნდმა ეს წარმატება მოიპოვა დაძაბულ ბრძოლაში, რომელიც ფრანკფურტის **“აინტრახტმა”** გაუმართა **“ჰემპდენ პარკის”** სტადიონზე. შესანიშნავი ტექნიკის მქონე, სწრაფი და აგრესიული ნახევარმცველი ლუის დელ სოლ მირამონტესი თითქმის ბავშვი მივიდა მშობლიური ქალაქ სევილიის **“ბეტისში”** და მალე მიიქცია სპეციალისტების ყურადღება. მალე **“რეალის”** ხელმძღვანელობამ ჩათვალა, რომ ბრაზილიელი ფეხბურთელი დიდი ღირსეულ პარტნიორობას ვერ უწევდა ლეგენდარულ დი სტეფანოს და ლუის დელ სოლ მირამონტესის ყიდვა გადაწყვიტა. ეს გარიგება 1959-1960 წლების საფეხბურთო სეზონის მიწურულს შედგა და მართლაც, დაუღლელი ლუის დელ სოლ მირამონტესი საგოლე ბურთებით უხვად ამარაგებდა ფეხბურთისათვის უკვე საკმაოდ ხანდაზმულ დი სტეფანოსა და პუშკაშს. 1962 წელს **“რეალმა”** ლუის დელ სოლ მირამონტესი იტალიის **“იუვენტუსს”** მიჰყიდა, რათა აღებული თანხით ლეგენდარული პელე შეეძინა, მაგრამ ეს საფეხბურთო ვაჭრობა კრახით დასრულდა, საბოლოო ჯამში კი ესპანელებმა იზარალეს. ლუის დელ სოლ მირამონტესი რვა სეზონის განმავლობაში თამაშობდა **“იუვენტუსში”**, მომდევნო ორი წელი კი **“რომაში”**, სადაც თავი გამოიჩინა როგორც შედეგიანმა და საიმედო ფეხბურთელმა.

ლუის დელ სოლ მირამონტესმა აქტიურ ფეხბურთს 1972 წელს გაანება თავი და მშობლიურ ესპანეთში დაბრუნდა.

გიორგი ჯალაღანია

იუმორი

* * *

კახელი ტყეში შედის ხის მოსაჭრელად. ხელზე დაიფურთხებს, ნაჯახს აიღებს და მოიქნევს. ამ დროს გამოჩნდება მისი ნარკომანი შვილი.

– მამი, დაგეხმარები, რა?

– რით უნდა დამეხმარო, წადი სახლში!

კახელი ისევ დაიფურთხებს ხელზე და ნაჯახს აიღებს.

შვილი კვლავ უმეორებს:

– მამი დაგეხმარები, რა.

– რაში უნდა დამეხმარო?

– ხელზე დაგაფურთხებ!

* * *

გოგონა დაქალს თავის საქმროს აცნობს:

– აი, თინიკო, ესაა ის ცხენიანი პრინცი, მე რომ ვოცნებობდი!

– ვაიმე, რა ლამაზი ცხენიაااა!

* * *

ორი შინაბერა შეხვდა ერთმანეთს.

– აუ, ზოგს რა ბედი აქვს. ეს ჩვენი მეზობელი გათხოვდა, საყვარელიც ჰყავს და ამას წინათ გააუპატიურეს კიდეც!

* * *

ოქროულობის მაღაზიაში დარაჯს იღებენ.

– იცოდე,– ეუბნება მაღაზიის მეპატრონე,– სამუშაო არც ისე ადვილია. მთელი დღე და ღამე ერთ ადგილზე უნდა იჯდე. შეძლებ?

– რას ამბობ, ნაჩალნიკ, მთელი დღე კი არა, მთელი თექვსმეტი წელი ვიჯექი ერთ ადგილზე!

მარტვილში დინოზავრის ორი ნაკვალევი აღმოაჩინეს



დასავლეთ საქართველოში, მარტვილის რაიონში პალეონტოლოგებმა დინოზავრის ორი ნაკვალევი აღმოაჩინეს.

პალეონტოლოგი ვასილ გაბუნია აცხადებს, რომ დინოზავრის ნაკვალევი მარტვილის რაიონში არქეოლოგიის სტუდენტებმა უმნიშვნელო გათხრებისას სრულიად შემთხვევით, იპოვეს.

– ჩვენ დინოზავრის კარგად შენახული ერთი დიდი ნაკვალევი ჩანჩქერთან ახლოს აღმოვაჩინეთ. მეორე ნაკვალევი მტაცებელ დინოზავრს ეკუთვნის. ჩვენ აქვე ვნახეთ უძველესი ზღვის ნიჟარები, რომელთაც კარგად შევისწავლით,– განაცხადა გაბუნიამ.

პალეონტოლოგ ვიაჩესლავ ჩხიკვაძის განცხადებით, აღმოჩენილია დინოზავრის ჩონჩხის ფრაგმენტებიც. მეცნიერები ჩონჩხს შეისწავლიან და გაარკვევენ, რა სახეობის დინოზავრთა ოჯახს მიეკუთვნება ნაკვალევი და ჩონჩხი.

მარტვილის რაიონში ასევე შედგება სპეციალური ექსპედიცია, რომელიც აღმოჩენის ადგილს დაწვრილებით გამოიკვლევს.

საქინფორმი

ნუთუ

თახსირდება საქართველო,
ვხედავ ეშმა ღრეობს,
ნუთუ ერის გამყიდველნი
გაიტანენ “ლელოს”?

ნუთუ ენას რუსთველისას
დაედება ხავსი?
– ისიც, ნუთუ, რაც გადგვირჩა
შთაინთქმება ხანძრით?

ეჰ, ქართველნო, ეჰ, ქართველნო,
ეს რა მოგდით ერთი?
თვისტომს, თვისტომს რომ
ეკვეთეთ
მახვილით და ცეცხლით?

ნუთუ სულ მთლად დაგწყვეტიათ
თქვენ ნამუსის ძარღვი
და ჯალათის ნაჯახით გსურთ
დააჩოქოთ ხალხი?

ქართველებო, ქართველებო,
ეს რა მოგდით, ღმერთო,
ნუთუ თქვენში აღას სისხლი
და სიდამპლე მზეობს?

ნუთუ სულ არ გირევიათ
თქვენ ქართველის სისხლი?
და მოხვედით აქობამდე
ნიღბით, ნიღბით, ნიღბით?!

ალექსანდრე (ჯემალ) ჯღარკავა
1991 წლის 31 იანვარი

როკი ბაბუ

ჩქიმ ფრიმულამ
როკი ბაბუს
ეჩ დო ვითი
მოთა არდუ,
ოთხონეჩის
მუკაჩირთ დო
ყოროფილშა მირაბადუ...
მოგოთანეთ
გემნოტყობუნს:
– ჭკვერას ქორდა,– მირაგადუ...
– ფარა ქომუ,
ვარა ირფელს
ქოითხობელა
– ურაგადუქ...
– წიე სი მუს ოცირქინა,
გოძიცელო მირაგადუ,
დადის მუთუნ
ვაუწუა დო
ირფელ სქანო
მოკო ბაბუ...

***

ბუაეიოლშე ბუადაალით,
ბიჟღეთით დო ოჩხანეთ,
ეშელ ჩქიმ ოკოლხეშ თუთა,
გენათი დო მოჩხონე...

***

გური გოზიორილ მაფუ,
შურქ გინმართუ ყინი თირო
სი გემინწყი, ჩქიმ ღორონთი,
თენა თაშ იყინი ირო?..

***

ვა შინერს დო ვეშემლებუ
ვაიწუათი თენა მა-ნი:
მუჭო გუნა ართმაჟიას
ანაპა დო შორაპანი...

ფარა იში

ვოუჯგუნო რჯოხოდასი
ყაზაყ ჯიმ დო ქობალიში,
ფარა იში, სახელ ვეში –
კოჩიშ ხეგოფაჩილიში...

* * *

მუ მიჩქუდუ ჯუმალეფი
ვალას მემიდინუდუნი,
გური ჩქიმი ჩილამურიშ
ოკეანეს დინწყუდუნი...
პოეტ ვორექ, რამაზ კუპრა,
კოლხეფიში აიაშე,
ქიგეფსკიდი ჩილამურშა
ართკაკალი დაიაში...

* * *

შურობუმუშ
მოყოროფემს
ღურა შურო
ვა ნარღუნა,
“თელო ღურას
ირო უჯგუ
კოჩიშ კოჩანიერ ღურა...”

რამაზ კუპრა

9771987896009

ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 მე-4 სართული
სარეგ.№01018002930

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
მთ. რედაქტორის მოადგილე: დავით ქობალია
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია

www ilori.ge
e-mail:elisabetthal@yahoo.de
რეკლამის განთავსება
38-41-97
893-51-01-71
899-34-37-27